

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ.
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფოლკლორისტიკის კათედრის შრომები, 4

ზურაბ კიკნაძე
ქართული ხალხური ეპოსი



ზურაბ კიკნაძე

ქართული
ხალხური
ეპოსი



გამომცემლობა
«ლოგოს პრესი»

**გამომცემელი
ლამა ბერაია**

© გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2001
© ზურაბ კიკნაძე, 2001

ISBN 99928-924-0-4

Zurab Kiknadze
Georgian Folk Epos

© Logos Press, 2001
© Zurab Kiknadze, 2001

გამომცემლობა „ლოგოს პრესი“
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13, 380079 თბილისი
ტელ. 25-02-58

სარჩევი

წინამძღა	7
«ამირანიანი»	11
I. შობა	16
II. გადაღება	17
III. ნათლობა	18
III-ა. რძეში განბანა	19
IV. ბობოქარი ბაეშეობა	19
V. დეებთან ბრძოლა	20
VI. უკანასკნელი დევი და ცამცუმის კომქი	21
VII. შთანოქმა-ამონთხევა (მეორედ შობა)	22
VIII. იგრი ბატონის წყალი	25
IX. ყამარი	26
X. ამბრი არაბი	29
XI. ძალის განახლება	30
XII. გაბუდაყება (კუბრისი)	31
XIII. უფლის გამოწვევა	32
XIV. მიჯაჭვა	33
XV. მიჯაჭველი ამირანი	34
XVI. გათავისუფლების ამო მცდელობა	35
ამირანის სახის არატრადიციული	
ინტერპრეტაციები	44
დამოწმებული ლიტერატურა	49
ტექსტები	51
შთანოქმა-ამონთხევა	51
სასოწარკვეთა და გაბუდაყება, ორობადრძოლა და	
მიჯაჭვა	53
გათავისუფლების მცდელობა	54

«ეთერიანი».....	56
ტექსტის მორფოლოგია	60
ნაწილი I. ექსპოზიცია. ამბავი ქორწილამდე.....	60
წრე I. ეთერი-გერი	60
წრე II. ეთერი-ობოლი (უდედინაელოდ).....	62
წრე II-ა. ეთერი-ობოლი (მამით, უდედინაელოდ)....	62
წრე III. ეთერი – არწივის (დათვის) გამრდილი.....	63
წრე IV. ამბავი აბესალომით იწყება.....	63
ნაწილი 2. ამბავი ქორწილის შემდეგ.....	64
ამბავი ეთერისა, აბესალომისა და მურმანისა.....	66
ეთერი-გერი.....	66
ვინ არის გერი?.....	67
ეთერი-ტყიური.....	69
მურმანი	71
აბესალომი.....	76
ესქატოლოგიური შეხვედრა	78
დამოწმებული ლიტერატურა.....	81
ტექსტები	81
1. ეთერი-გერი.....	81
2. ეთერი-ობოლი (უდედმამო, უდედინაელო).....	83
2-ა. ეთერი-ობოლი (უდედმამო, უდედინაელო).....	86
3. ეთერი – არწივის გამრდილი.....	91
4. ამბავი აბესალომით იწყება.....	96
ლექსითი ვარიანტებისგან შედგენილი ტექსტი.....	100
არსენას ეპოსი (ეოვგია და სინამღვილე)	104
დასკვნა	120
დამოწმებული ლიტერატურა.....	122
დამატება 1.....	123
ეპიზოდები არსენას ცხოვრებიდან.....	123
დამატება 2	124
არსენა ოძელაშვილის ამბავი.....	124
დამატება 3.....	125
ოძელაშვილი და იაკობ მღვდელი.....	125
დამატება 4	126
შეხვედრა მაკაროეთან მარტყოფის გზამე, 15. VIII. 1839 წ.....	126
დამატება 5.....	127
მაალ ბარათაშვილი არსენა ოძელაშვილზე	127
არსენას ლექსი.....	128

წინათქმა

ეპოსი, როგორც ქანრი, მრავალი ფოლკლორული ფორმის მომცველია – ეს შეიძლება იყოს ზღაპარი, მითოლოგიური გადმოცემა (ანდრეზი), თქმულება, ლეგენდა, ნებისმიერი ნარატივი ანუ ყველაფერი, რაც ნაამბობია, ყოველი ამბავი, რაც მბობას ექვემდებარება, მაგრამ სტრუქტურული, კომპოზიციურად მყარად შეკრული, თავისი დასაწყისითა და გარდაუვალი დასასრულით. ცხადია, მოცულობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა (ღაპარაკობენ ზღაპრებზე ცხოველთა შესახებ, როგორც „ცხოველთა ეპოსზე“). არც იმას, პროზაულად არის მოთხრობილი, თუ ლექსად ანუ „მარგალიტად წყობილად“.

ეპოსს ფართო აზრით მივაკუთვნებთ ყველა თხრობით ქანრს, რომელიც არ არის არც დრამა, არც ლირიკა. კლასიკური განმარტებით, ეპოსი უპირისპირდება დრამას და ლირიკას, თუმცა იპოვება ეპოსი, რომელიც თავის თავში აერთიანებს სიგყვიერების ამ სახეობებს.

არსებობს საგმირო-ისტორიული ეპოსი, რომელსაც რაიმე ისტორიული ამბავი უდევს საფუძვლად. ასეთებია ელინთა ეპოსი „ილიადა“, გერმანული მოღგმის ხალხთა და ირლანდიელთა საგები, ანგლოსაქსთა „ბეოველფი“, რუსული ბილინები, ესპანური პოემა „ჩემს სიღმე“, ბერძენთა „დიგენის აკრიტასი“, სომეხთა „დავით სასუნელი“ და მრავალი სხვა.

არის ეპოსები, რომლებიც მოწყვეტილნი არიან ისტორიულ ღროსა და სივრცეს და მოგვითხრობენ „ზღაპრულ“, საარაკო ჭაბუკთა საგმირო საქმეთ. ეს საგმირო-სათავგადასაელო ანუ საფალაენო ეპოსებია. ასეთებია სპარსული დასთანები (რომლებმაც ჩვენში „ყარამანიანისა“ და სხვათა სახით ჰპოვა გამოძახილი, წიგნური „ამირანდარეჯანიანიც“ მათ რიცხვს ეკუთვნის), თურქული მოღგმის ხალხთა პოემები, ნართების ეპოსი, რომელიც

წრდილოეთ კავკასიის ბევრი ხალხის ზეპირსიტყვიერების მნიშვნელოვან წილს შეადგენს.

არსებობს ეპოსები, რომელთა მთავარი პერსონაჟები ღმერთები, ნახევარღმერთები ან ზებუნებრივ შესაძლებლობათა მქონე ადამიანებია. ეს მითოლოგიური ეპოსებია და ისინი მოვლადობის საშუალებას, მცენარეთა და ცხოველთა შექმნის, ბუნების მოვლადობის, ადამიანის, ადამიანური საზოგადოების, კაცობრიული ცივილიზაციის, საგნების, საყოფაცხოვრებო კულტურის წარმოშობის ამბავს. ამგომავ მათ მთავარ პერსონაჟებს ეწოდებათ ღმერთები - „ნახევარმემოქმედნი“ (თუ ისინი ღმერთებია) და „კულტურული გმირები“ (თუ ისინი ადამიანებია). ამ ეპოსების ვადასტრუქტურა შეამდინარულ (შემერულ-აქადურ), ვეგიეტურ, ინდურ, ძველირანულ, უგარიტულ, ხეთურ მწერლობაში. ისლანდიელებმა წერილობით შემოინახეს გერმანული მოღვმის ხალხთა მითოლოგიური ეპოსი „უფროსი ედას“ სახით, ფინელებმა „კალევადას“ რუნები...

არსებობს სამიჯნურო (რომანული) ეპოსი, რომლის კლასიკური ნიმუშია შუასაუკუნეების კელტური წარმოშობის თქმულება გრისტანისა და იზოლდას გრაფიკული სიყვარულის შესახებ ამბვე ეანრს უნდა ეკუთვნოდეს საქორწინო ურთიერთობაზე აგებული ეპოსები, როგორც არის გერმანულთა „კულტურის“. რომანული მოტივი ერთი ძლიერი ნაკადია და ხშირად თვითკმარ ღირებულებას იძენს საგმირო-სახისგორიო ეპოსში.

რა ადგილი უჭირავს ეპოსს ქართულ ფოლკლორში და რომელი სახეობებით არის იგი წარმოდგენილი?

მრავალფეროვან და მდიდარი გრადიციის მქონე ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ეპიკური შემოქმედების წელილი. შეიძლება ითქვას, მეტად მწირია. ქართულ ფოლკლორში ვერ ვადასტურებთ ისგორიული ხასიათის ეპოსს, სადაც განზოგადებულად იქნებოდა ვადმოცემული ხალხის ისგორია, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ამ ეანრის ეპოსებშია; როგორც ეს არის „ნიბელუნგების სიმღერაში“ ან თურქულ „დედე ქორქუთის წიგნში“. არ ჩანს ისგორიული ან ფსევდონისგორიული გმირი, რომლის გარშემო რეალური ისგორიის თაეისებურად გარდაქმნილ საგმირო ამბავთა ციკლიზაცია მომხდარიყოს, თუმცა საქართველოს ისგორია არცთუ ღარიბია პეროიკული ეპოქებით, ბრძოლებით და, შესაბამისად, ისგორიული გმირებით.

ჩვენ ვერ ვიფიქრებთ, რომ ხალხის ეპიკური ცნობიერება გულგრილი ღარჩენილიყოს იმ ეპოქალური სასიკეთო თუ საბედისწერო ძერების მიმართ, რომლებიც არაერთგზის განუცლია ქვეყანას.

ვერ ვიფიქრებთ, რომ ზეპირსიტყვიერ მაგიანეს არ აესახოს ესპანეთის რეკონკისტის ანალოგიური უაღრესად დამაბული ხანა. ამოგ კურაპალაგისა და მის თანამდგომთა გმირული ეპოქა, რაც ქართული მიწების კელაე შემოკრებით დასრულდა, მაგრამ ესპანური „ჩემი სილის“ მსგავსი ხალხური პოემა, სადაც უკვდავყოფილი იქნებოდა თაობათა სსოენაში „ჩემი ამოგი“, არ დასტურდება; ან მასზე აღრეული ხანა გორგასლისა, რომლის მითოს კრიხატი წერილობით მაგიანეში არის მოხვედრილი, ხალხური ეპოსის სახით კი არ ჩანს; ან, თუნდაც, უფრო აღრეული ეპოქა ფარნაეაზისა, რომლის არქეტიპული დროის, როგორც „ძლიერი ეამის“, მეფობის და სხვა სულიერ ღირებულებათა, მრავალ სახლეთა დასაბამიერი ეამის კვალი წერილობითა ისტორიამ შემოინახა, ხალხის სსოენას კი ვერ შემორჩა. რა მიზეზით? მიზეზი მარტივია: ვრცელია „კოლექტიური“ მეხსიერება, მაგრამ ის ესაზღვრო და დაუმრეგელი არ არის. მას არ შეუძლია სინქრონულად მოიცვას მთელი ზეპირსიტყვიერი ფონდი მისი „დასაბამიდან“, ერთდროულად შეინახოს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქათა ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ნაყოფები. თაობების მონაცულებობასთან ერთად იცელება, პერიოდულ განახლებას განიცდის ზეპირსიტყვიერი ტექსტები; ძველი გადადის, მის ნაცულად ახალი მკვიდრდება. „ხალხს ის მოსწონს, რაც ახალია“, ამბობენ „ოღისეაში“ ძველი მითების მომღერლის დემოდოკეს მსმენელნი. და ის ძველი, რომელიც უკან იხევს, გადაის ხალხის მეხსიერების საწიერიდან, თუ ასო-ნიშნებით არ იქნა ჩაწერილი, სამუდამო დავიწყებისთვის არის განწირული. არც ერთი ზემოხსენებული ხალხური ეპოსის ხსენებაც კი არ იქნებოდა, რომ მათ ჩაწერაზე არ ეზრუნათ. შექმნიდან ორასი წლის შემდეგ ჩაწერილი იქნა „სიმღერა ჩემს სიღმე“ (შემონახულია ერთადერთი 1307 წლის ხელნაწერი); ჩაწერით გადაურჩა დროის ღინებისგან გარიყვას „კალეკალა“. არლანდიური თუ ისლანდიური საგები, ეპიკური ციკლები დივინის აკრიტასზე; დამწერლობამ გადაარჩინა რუსული ბილისები, რომლებიც მათი პირველჩაწერიდან ასი წლის შემდეგ ხალხის სსოენაში უკვე წამილილი იყო.

დასანანი, რომ საქართველოში, უძველესი დამწერლობის ქვეყანაში, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ უცდიათ ხალხური ეპოსების ჩაწერა. ჩვენს წერილობით ძეგლებში მათი არსებობის მხოლოდ ფრაგმენტული კვალი შეიძლება დავადასტუროთ. ამ ხანამდე, როცა მათი ჩაწერის ინტერესი განსდა, ქართული ხალხური ეპოსი არასრულყოფილი, ფრაგმენტული, შეიძლება ითქვას, დაკნინებული სახით იყო მოღწეული. რა სახე ქონდა მას კლასი-

კურ, ეპიკური შემოქმედების აპოგეაში, ჩვენთვის სამუდამოდ უცნობი რჩება. მაგრამ, როგორც ოდისეესი ამბობს საკუთარ თავზე, „ამ გაღეწილი ბზიდანაც ჩანს, რა თავთაიეც ვიყაიო“, იგივე შეგვიძლია ვთქვათ ამ ეპიკურ ტექსტებზე, რომელთა ანალიზს ვთავაზობთ მკითხველს წინამდებარე წიგნში.

ეს სამი ეპოსი განსხვავდება ერთმანეთისგან. თითოეული მათგანი წარმოადგენს ეპიკური შემოქმედების განსაკუთრებულ სახეობას. ისინი განეკუთვნებიან ქართული ხალხის კულტურული ცხოვრების, ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს, შეიქმნენ განსხვავებულ კულტურულ ფენებში. პრობლემატურია „ამირანიანის“ შექმნა-ჩამოყალიბების ხანა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ „არსენას ლექსის“ შექმნა-გაერყელების პერიოდი. ამირანი მითოლოგიურ სამყაროში მოქმედი პერსონაჟია, რომლის ასპარეზი საკაცობრიოა. არსენა კი რეალური პიროვნებაა, მასზე შეთხზული „შიარსიგყეების“ თანამედროვე. მაგრამ რაც უნდა სხვაობდეს მათი „სკნელები“, მათ შორის არსებითი მსგავსებაა, რის ჩვენებასაც ცდილობს ავტორი. შეიძლება ითქვას, რომ ამირანი ხალხური ეპოსის ანია (ალფა) ანუ დასაბამი, როგორც პარადიგმა და არქეტაიპი, არსენა კი – პოე (ომეგა), მისი უკანასკნელი ვარიანტია. ასეუ შეგვეძლო გვეთქვა: „ამირანიანი“ და „არსენას ლექსი“ ერთ ეპიკურ, მაგრამ სხვადასხვა სიღრმის დინებას ეკუთვნიან; „მას ეამს“, მაგრამ არ ვიყით, როდის გაჭრილ საერთო კალაპოტში მიედინებიან. მსგავსება სიღრმისეულია, განსხვავება – ეპოქალური. ვერ ეპოვებთ სხვა ხალხურ ეპოსს, სადაც ისე მკვეთრად იყოს გაცხადებული ადამიანის ამაღლებისა და დაცემის ეგზისტენციალური დრამა, როგორც ეს „ამირანიანსა“ და „არსენას ლექსშია“.

და მესამე ჩვენი განხილვის საგანია რომანტიკული ეპოსი – პოემა „ეთერიანი“, რომელიც ადამიანის ბუნების სხვა სიღრმეებს სწვდება. აქ ნამდვილად „სხვაა ადამიანი“, არა ეპოქალურად სხვა, არამედ ადამიანის სხვა გიპი, – ასეთ სხვას ვხვდებით იმავე ეპოქის „ეფუხისგყაოსანში“. აქ სიყვარული თავის თავს უბრუნდება, იგი პოულობს თავის სტიქიას, როგორც ცეცხლი ეძებს თავის თავს და პოულობს იმ მაგერიის სიმზურვალეში, რომელსაც ის ეკიდება. სიყვარული აქ გამოცდაც არის და განსაცდელიც, ის ესქატოლოგიურია (ამთავრებს უხანო წუთისოფელს), სამარადისოდ გრძელდება.

მურაბ კიკნაძე

სოფ. აღმატი

22 ოქტომბერი, 2001 წელი.

„ამირანიანი“

ამირანის ამბავს მთელს საქართველოში იცნობენ, შეიძლება ითქვას, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. იგი დადასტურებულია საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ მხარეში (ქართლი, კახეთი, ფშავეხეუსურეთი, მესხეთი, ჯაეახეთი, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი...). „ამირანიანი“ ძველი თქმულებაა, ჩანს, მას მოუსწრია სრულიად საქართველოს შემოეღა. ჩანაწერები კი საკმაოდ გვიანდელია, არა უადრეს XIX ს-ის 60-იანი წლებისა. იგი ძველია, მაგრამ არც ისე ძველი, რომ ათასწლეულებს ითვლიდეს. ათასწლეულების შემონახვა მხოლოდ დამწერლობას თუ შეუძლია, მათ ადამიანის მეხსიერება, თუნდაც „კოლექტიური“, ვერ გაუძლებს. უძველესია „ამირანიანის“ მოტივები, მითოლოგიები, მაგრამ თავად სხეული მისი შედარებით მოგვიანო წარმონაქმნია.

ეპოსმა ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოაღწია. იგი არსებობს თხრობითი ტექსტის სახით, რომელშიც ალაგ-ალაგ ლექსითი ნაწილებია ჩართული. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ერთი მყარი კანონიკური პროზაული ტექსტი, ვერ დაედასტურებთ ერთი და იმავე ეპიზოდის ორ იდენტურ ჩანაწერს. მხოლოდ ლექსითი ნაწილებია მღვრადი, მცირეოდენი ვარიანტული ცელილებებით. უნდა შეინიშნოს, რომ სწორედ გადამწვევები ეპიზოდები არ არის გადმოცემული ლექსად, ლექსითი ფრაგმენტები ეპიზოდური ხასიათისაა. არ მოიძებნება ჩანაწერი, რომელიც თანამიმდევრულად მოიცავდეს ამირანის თავგადასავლის ყველა შესაძლებელ ეპიზოდს, რაც განპირობებული უნდა იყოს არა თქმულების თავდაპირველი ფრაგმენტულობით, არამედ ალაგ-ალაგ გრადიციული ეპიკური ხსოვნის გამერთალებით. ვჭვი არ არის, რომ ეპიზოდები იმთავითვე ერთიან ეპიკურ დროში უნდა ყოფილიყო ჩართული. „ამირანიანის“ მთლიანობას, სხვა ნიშნებთან ერთად, მისი დასაწყისი და დასასრული მოწმობს.

„ამირანიანის“ ფოლკლორული ჩანაწერების მონოგრაფიული გამოცემა ეკუთვნის პროფ. მ. ჩიქოვანს – *მიჯაჭველი ამირანი* (ოს.უ. გამ. თბ., 1947), სადაც თავმოყრილია იმხანად ხელმისაწვდომი, მეტ-ნაკლებად ღირებული ფოლკლორული გეჟსტები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან (ქართლი, კახეთი, ფშავი, მესხეთი-ჯაფახეთი, ხევსურეთი, თუშეთი, ხევი, მიიულეთი, გურია, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, ოსეთი), სულ 69 გეჟსტი. რაიმე არსებითი სიახლე „ამირანიანის“ შეცნობისათვის ამ პუბლიკაციის შემდეგ მოპოვებულ მასალას არ მოუტანია. კვლევისას ვეყრდნობი ზემოხსენებულ გამოცემას.

რა გიბისა თუ ფორმაიის ეპოსებს განეკუთვნება „ამირანიანი“? ცხადია, იგი არ არის ისტორიული ეპოსი. მასში ვერ აღმოვაჩინებ ვერც ერთ ისტორიულ რეალიას. ვერც რომელიმე ისტორიული ეპოქისა და ისტორიული ადგილის კვალს; მისი გმირების ასპარეზი განუსაზღვრელია; არაფერს გვეუბნება არც „ბაღხი“, „ბაღხეთი“ თუ „ჩაბაღხეთი“, არც „აღღეთი“ (ერთადერთი ქართული ტოპონიმი). არც პერსონაჟთა საკუთარი სახელებია ქართული ისტორიული სინამდვილიდან აღებული: ბადრი, უსუკი, ყამარი არაბულ-სპარსული სახელებია. არ ვიცი, რა ერქვა მთავარ გმირს, სანამ მას ამირანი დაერქმეოდა. მისი ეს სახელი უფრო გვიანდელია, ვიდრე მოსე ხონელის საგმირო-სათავეადასაელო ეპოსისეული „ამირან დარეჯანის ძე“, რომლის სპარსული წარმოშობა კარგა ხნის გამოკვლეულია და ეჭვს არ უნდა იწვევდეს: *ამირ ანდარე ჯეჰან* ნიშნავს: „ამირი ქვეყნიერებაზე“. ისევე როგორც *ნესე ანდარე ჯეჰან* ნიშნავს: „არ არის [მისი მსგავსი] ქვეყნიერებაზე“. სიმპტომატურია, რომ „ამირანდარეჯანიანში“ მთავარი გმირი არასოდეს მოიხსენიება როგორც „ამირანი“, ხალხურმა გრადიციამ მოწყვიტა იგი კომპოზიგს და დამოუკიდებელ ანდრონიმად აქცია, რაც ღღემლე ასეა.

ყოველივე ამით – გემოს ჩამოთვლილი ნიშნებით „ამირანიანის“ ქრონოტოპოსი ზღაპრულ დროსა და სივრცეს მოვკავისებს. მაგრამ „ამირანიანი“ ზღაპარი არ არის. მისი გრაფიკული დასახარული აუქმებს მის ზღაპრულობას. „ამირანიანი“ არც მითოლოგიური ეპოსია, სწორედ მისი ასპარეზის განუსაზღვრელი ქრონოტოპიურობის გამო. მითოსი, როგორც წესი, „დაბმულია“ განსაზღვრულ სივრცესა და დროზე. სივრცე მითოსში ტოპონიმიზებულია, დრო – წინარეწარსული, რომელიც ებმის ისტორიულ დროს.

თუ შევეცდებით „ამირანიანის“ გიპის განსაზღვრას, უნდა ვეწოდოთ მას „გრაფიკული ეპოსი“, სადაც საგმირო-სათავეადასაელო და მითოლოგიური მოტივებით შექერწილია ადამიანის აღ-

ბეუებისა და დაცემის დრამა. როგორც სანქცენები იქცევა, „ამირანიანი“ უფრო მეტი აქვს საერთო ბერძნულ კლასიკურ დრამასთან, ვიდრე პრომეთის მითოსთან (ამაზე ქვემოთ). „ამირანიანიც“, მსგავსად ბერძნული დრამისა, *ქებრისშეა* აგებული. *ქებრისი* ასე ვაბუდაყება (მთიულური გერმინია) კულმინაციაა იმ ზღვრულია შორის, რომელთაც გაიელის გრავიკული დრამის გმირი. უფრო არსებითად რომ ეთქვათ, „ამირანიანიში“ ღვას ადაპიანის პრობლემა და ეს პრობლემა, არ უნდა გავიკვირდეს, ეგზისტენციალურ ჭრილშია დასმული და გადაწყვეტილი. ამაში მდგომარეობს „ამირანიანის“ თავისთავადობა, მისი უნიკალური ადგილი მსოფლიო ხალხთა ეპოსებს შორის.

სამწუხაროდ, როგორც ითქვა, ჩვენი ეპოსი ფრაგმენტებად არის ჩვენამდე შემორჩენილი. ეს ფრაგმენტულობა ეპიკური სუსტიქის შეწყვეტის შედეგია. მაგრამ ჩვენს ხელთაა ფრაგმენტები და, როგორც ოდისეესი იტყოდა, ჩემი ბზიდანაც ჩანს, როგორი თავთავი უნდა ეყოფილიყავიო, ჩვენც იგივე შეგვიძლია ვთქვათ მათზე. ეს ფრაგმენტები ნიშნებია და ჩვენ უნდა აეადაპარაკოთ ისინი.

ჩვენი მიზანია, არსებულ მასალაში გამოვავლინოთ ის აკვილუბელი საზღვრბლო ეპიზოდები, რომელთაც გარეშე ამირანის თქმულება დაკარგავდა თავისთავადობას. ესაა ექვალთა, აგრეთვე, რომ ამ ეპიზოდებს გმირის თავგადასვლის დროემულ მდინარებაში მიეუჩინოთ მისი ბუნებრივი, ერთადერთი ადგილი. „ამირანიანის“ დღემდე შემორჩენილი მასალა იძლევა ამის საშუალებას. არსებულ ჩანაწერებზე დაკვირვებამ ცხადაკო, რომ შესაძლებელია ეპიზოდთა დალაგება მკაცრი თანამიმდევრობით, ისევე როგორც „სელები“ მისდევს ერთმანეთს ჯადოსნურ ზღაპარში (სხ. ვლ. პროპის „ზღაპრის მორფოლოგია“). ამ ეპიზოდებს ჩვენ ვეწოდებთ *ზღურბლებს*, რომლებიც აღნიშნავენ გმირის გადახვლებს მისი ყოფიერების ახალ-ახალ ვითარებებში. ამათვან ზოგი საყოველთაოა (უსიერსალურია), ზოგი კი – საკუთრივ ამირანისეული.

განსხვავებით სხვა ეპოსთა გმირებისგან, რომლებიც მთელი თსრობის მანძილზე იგივეობრივნი რჩებიან საკუთარ თავთან, ამირანის პიროვნება განვითარებას განიცდის, იგი იცვლება ყოველი ზღურბლის გადალახვის შემდეგ. ზღურბლები გმირის სკლავრ (ასევე ფიზიკურ) განვითარებაში ახალ-ახალ საფეხურებს აღნიშნავენ. ძველი და ახალი მსოფლიო ეპოსების გმირები – ოდისეესი, აქილევსი, აგამემნონი და სხვანი დასრულებული სახით გამოვიდნენ თითქოს ბევისსი თავიდან. მუღმივი ეპითეგები, რომლებიც განუყრელად თან სდევენ მათ, მოწმობენ მათი ფიზიკურ-სულიერ სახის იმთავითვე დასრულებულობას. როგორც შექმნიან ისინი

თხრობაში, ისეთივენი რჩებიან ისინი იმ კატაკლიზმებისა და განსაცდელების შემდეგ, რომელთაც განიცდიან ისინი. არც არაფერი ემაგებათ, არც აკლდებათ. ოდისეუსი თითქოს შობითგანვე მრავალნაცადი და ღიღამპკრიახია – ეს მისი ბედისწერული დასასიათებებია. აქილეუსი მუდამ ფეხმარდია, მაგრამ, რაც მთავარია, ხანმოკლე სიცოცხლე მისი ბედისწერაა, მისი ხასიათი იმთავითვე დასაზღერულია და ამგვარი შემოდის ის ეპიკურ სინამდვილეში. ასევე გერმანელი ზიგფრიდი, ჟრანკი როლანდი, ესპანელი სიდი, ბერძენი დიგენის აკრიგასი და სხვანი და სხვანი, რომელთა ხასიათსა და ბუნებაში ჩვენ ვერაფრითარ ცელილებას განსაცდელთა განვლის შემდეგ ვერ ვამჩნევთ. მათ თავგადასაჯალში არ შეიმჩნევა ვარდამტეხი ზღურბლები, რომელთაც განვითარების საფეხურებზე აკყავთ გმირი. ჩვენი ამოცანაა ამ ზღურბლთა შემჩნევა და მათთვის მათი კუთვნილი ადგილის მიჩენა გმირის თავგადასაჯალში.

ეპიკური გმირის ანუ, სხვანაირად, გრადიციული გმირის თავგადასავლის ეპიზოდებად დაყოფას კარგა ხნის ისტორია აქვს. პირველად (1864 წ.) გერმანელმა იოაჰან გეორგ ფონ ჰანმა სცადა 14 გმირის თავგადასავლის საფუძველზე დაედგინა 16-ეპიზოდიანი მოდელი, რომელიც ოთხ ჯგუფად კქონდა დაყოფილი: დაბადება, სიჭაბუკე, დაბრუნება და სხვა შემთხვევები [34, 142-3]. ისეთი გმირისათვის, როგორიც ამირანია, პანისეულ სქემაში მხოლოდ რამდენიმე ელემენტი თუ გამოდგება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ ელემენტების შინაარსს რამდენადმე გაეაფართოვებთ ან გრანსფორმირებულად წარმოვიდგენთ: გმირის უკანონოდ დაბადება, დაბადებისას დაყოლილი ნიშნები, გადაგდება, უცხო ცოლ-ქმრის მიერ აღზრდა. მის კვალს მიჰყავა (1881 წ.) ალფრედ ნატი (Nutt), რომელმაც 14-მდე დაიყვანა ეპიზოდთა რიცხვი, მიუხედავად იმისა, რომ საანალიზოდ დამატებით კელტური (არტურის ციკლი) და ფინური თქმულებები გამოიყენა [34, 143]. 1934 წელს გამოქვეყნებულ შრომაში „გრადიციული გმირი“ ფიცროი რიჩარდ სომერსეტ რაგლანმა (Fitzroy Richard Somerset Raglan) ეპიზოდთა რაოდენობა 22-მდე გაზარდა: თორმეტი კლასიკური, სამი ბიბლიური (იოსები, მოსე, ელია), ერთი გერმანიკული (ზიგფრიდი), ერთი კელტური (არტური) და ერთიც ძველყვებიკური (ნიკანგა) „ბიოგრაფიების“ საფუძველზე [34, 145-150]. ბოლოს, პოლანდიელი ფოლკლორისტი იან დე ვრიზი (Jan de Vries) 10-ეპიზოდიან მოდელამდე დაიყვანს. ჩვენი აზრით, იგი ყველაზე ოპტიმალურია და, ალბათ, უნივერსალურიც, ყოველ შემთხვევაში იგი უკეთესად ესადაგება ამირანის თავგადასაჯალს. მოგვყავს იგი მთლიანად: I. გმირი ისახება, II. იბადება, III. დაბადებულს საფრთხე ემუქრება, IV. იზრდება, V. უძლეველია, VI. ებრძვის

გველემას და სხვა ურჩხულებს, VII. ღიდი განსაცდელის გავლით მოიპოვებს საცოლეს, VIII. ჩადის ქვესენელში, IX. ბრუნდება იქ, საიდანაც გამოაძევეს და ამარცხებს მგრებს, X. კვდება [42, 143].

რა იწვევს ასეთ დამთხვევას სხვადასხვა თქმულებათა გმირების თავგადასაქვებში? რა ძალით ხერხდება მათი ერთ მოდელამდე დაყვანა? ფ.რ.ს. რაგლანი ფიქრობს, და ეს ნამდვილად ერთადერთი ახსნა უნდა იყოს, რომ ამ თავგადასაქვებში საქმე გვაქვს იმ რიტუალების მიმდევრობასთან, რომელთაც გრადიციულ სამოგადოებებში ექვემდებარებოდნენ ადამიანები, არა მხოლოდ მეფეები, მთაერები თუ ბელადები. „გრადიციული გმირის თქმულება არის არა რეალურად არსებული ადამიანის ცხოვრების რეალური ეპიზოდები, არამედ რიტუალურ პერსონაჟთა ცხოვრება-საქმიანობის რიტუალური ეგაჟები. აუცილებელი არ არის აქედან დაეასკენათ, რომ ამ თქმულებათა გმირები სინამდვილეში არ არსებობდნენ. მაგრამ, ეფიქრობთ, თუ ისინი რეალურად არსებობდნენ, მათ მოქმედებებს უმეტესწილად რიტუალური ხასიათი ჰქონდათ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი თქმულებები ისე გარდაიქმნა, რომ ერთ გიჟურ მოდელს მისადაგებოდა“ [34, 150].

ისივე უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ თქმულებათა გმირების თავგადასაქვებში, რომლებიც რიტუალთა თანამიმდევრობაზეა აგებული, ამ რიტუალებს დაკარგული აქეთ თავდაპირველი ფუნქცია. რიტუალის ფორმა აქ მისგან განსხვავებული რეალობის გამოსახატავად არის მოწოდებული და, რამდენადაც გრადიციული სამოგადოებები ყველგან ერთგვიანია, გრადიციული გმირის თავგადასაქვლის მოდელიც ერთგვიანია იქნება. ფ.რ.ს. რაგლანი, ცხადია, არ ეარაუდობს, რომ მის 22-ეპიზოდიან მოდელში ყველა გმირის ცხოვრება „ჯდება“. 22 მისთვის მაქსიმალური რაოდენობაა, რომლის რეალიზაცია ყველგან არ არის სავალდებულო. მაგალითისთვის, თუ ოიდიპოსის თავგადასაქვებში რაოდენობა მაქსიმალურია, თესევსი 20 საფეხურს გადის, პერაკლე – ჩვიდმეტს, პერსევსი – თექვსმეტს და ა.შ. აეგორი ამ ნაკლებობას თქმულების ხარეშს აწერს, მაგრამ ხარეშები თქმულების ცუდად შემონახულობის მიზეზი არ უნდა იყოს. თუ რიტუალს თქმულებაში თავისი თავდაპირველი ფუნქცია აღარ ეკისრება, აუცილებელიც არ უნდა ყოფილიყო მათი სრული რაოდენობით ასახვა, ან ვიციტ მათი კანონიკური, ყველა სამოგადოებისთვის აუცილებელი რაოდენობა. როგორც არნოლდ ვან გენეპმა (Gennep) გამოიკვლია [33], მათი რიცხვი შეზღუდულია, ყოველ შემთხვევაში, არც ოცდორამდე და არც ათამდე არ აღწევს. ეს არის ზოგადად ე.წ. გადასვლის რიტუალები (rites de passage), რომელთა მეშვეობით თუ თანხლებით

ტრადიციული სამოგადოებების წევრი იცელის ასაკობრივ და სოციალურ სტატუსს. ვადასელის რიტუალი სრულდება შობის, ისიციაციის, ქორწინებისა და სიკვდილის შემთხვევებში. ეს არის სამი ფუნდამენტური ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში და, ცხადია, ისინი (ნელი ან გარდაქმნილი სახით) ასახული იქნება ნებისმიერი გმირის ეპიკურ თავგადასაქალაქში. ვან ხენეის მიხედვით, ეს რიტუალები ქმნიან ჯაჭვს, რომელიც სამი საფეხურისგან შედგება: გამოყოფის რიტუალი (rites de separation), ვადასელის რიტუალი (rites de passage), როცა ადამიანი ბლურბლბეა (არც იქით, არც აქეთ) და მიკუთვნების რიტუალი (rites de incorporation), როცა ადამიანი — რიტუალის ობიექტი საბოლოოდ მკვიდრდება ახალ სტატუსში (ასაკობრივი იქნება ცელილება, სოციალური, თუ მეგაფიზიკური). ეპიკურ თქმულებათა ანალიზი გამოაქვს მათ ცხად თუ ლატენსკურ მონაწილეობას მთავარი გმირის ცხოვრებაში. ისინი „ამირანისაში“ იხილება. მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართული ეპოსი არ მისდევს იმ მოდელს, რომელიც ევროპელმა მკვლევრებმა დაუდგინეს კლასიკურ თუ არაკლასიკურ თქმულებებს. ამირანის საკუთარი ვა აქვს, საკუთარი ეტაპები ამ ვაზე, რომლებიც ძერწავენ მის განუმეორებელ სახეს, ერთადერთ გიოს, არც ერთ გემოხსენებულ გმირს რომ არ ენათესაება.

გერმანელი ფილოსოფოსი, თანამედროვე ჰერმენეუტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ჯ.-გ. ვადამერი ერთგან წერს: „მთელი უნდა ვა-ვიგოთ ნაწილის საფუძველზე, ნაწილი კი — მთელის საფუძველზე... ნაწილი ვანისაზღვრება მთელით და, თავის მხრივ, ვანსაზღვრავს მთელს“ [20, 72]. ამ ვამონათქვამში თითქოს მანკიერი წრეა, მაგრამ ის ჰემარიგებას ვამოსატავს. ასევე ვიტყვით „ამირანისაის“ ეპიზოდებზე და იმ მთელზე, იმ მილიანობაზე, რომლის ნაწილები ეს ეპიზოდებია. ჩვენ შევძლია ვამოვიცნოთ, რომელი მთელის ნაწილია ესა თუ ის ეპიზოდი, თუკი ამ მთელზე გვექნება წარმოდგენა. მთელამდე ვიცით ნაწილი და ნაწილამდე ვიცით მთელი. საბოლოოდ კი, ჩვენს ინტუიციამი მთელი და ნაწილი ერთიანობაშია. აი, ეს ნაწილები, რომელთა ვარემე ვერ იარსებებს მთელი.

1. შობა

ამირანი, როგორც ყოველი ეპიკური გმირი, სასწაულებრივად უნდა იმეას. მაგრამ სასწაულებრივი შობა ყველა ვარიანტში ერთი და იმავე ხარისხით არ არის აქტუალიზებული. მისი შესუსტებული ვარიანტი იქნება ბაუმეის დაბადება ხანდაზმული მშობლებისგან. თუმცა ამგვარი შობა არ ჩაითვლება საკუთრივ ამირანისეულად. მთავარი მაინც ის არის, რომ ამირანის მშობლები უცნობნი უნდა

იქნენ იმ საზოგადოებისათვის, სადაც იგი მოხელეა და გაიმრდება. არც ღელა, არც მამა მისი შობის შემდეგ ცოცხალი არ რჩება. მამა თუ არ კვდება, ის ღინარდება, რათა შენახ ელ იქნას ამირანის წარმოშობის საიდუმლო. მშეთუნახავი ღელა კვდება, როგორც წესი, ბაემის დაბადებამდე. ბაემი უნდა ამოირიღოს ღელის სამოდან და მონაცემებით უნდა გამოიმკმოს ცხოველით: ჯერ ბაგკის, მერე ბონოლას ფაშეში (კახური ვარიანტი) ან ღეკეკელის და მერე კუროს ფაშეში (ხეანური), ან ახლადმოკლელი ირმის „ხელღკეკეში“ (გურული) [10, 221]. შესაძლოა, ამ ეპიზოდში ძველ და აწკრიმიტიულ ხალხებში გავრცელებული რიტუალის ექვსი თვის შემორჩენილი. მაგ., ბანკეს ტომში ბაემებს წინადაცვეთის წინ ხაუგარებენ რიტუალს, რომელზეც ხელახლა შობა ეწოდება. მამა დაქლავს ცხვარს და სამი ღლის შემდეგ გამოახევეს მის ფაშეში ან გეკეში. მაგრამ გამოხევეამდე ბაემი უნდა წამოღვეს საწოდზე და ახალშობილით უნდა იჭყიანოს. სამი ღლის მანძილზე ის ცხოველის გეკეში იმყოფება. ამგვარად, ბაემი ეზიარება ბუნების სასიცოცხლო ძალებს, რაც მისი მომავალი ძლიერების საწინდარია.

ამირანის მამა უფრო ხშირად მონადირეა, რომელიც ამირანის ღელას საღდაც მიუქალ კლემში, გამოქვამულში ხვდება. შეიძლება გამოქვამული კომკმა შეეცალოს, სადაც მშეთუნახავია გამოცეტილი. ზოგიერთ ვარიანტში მამაც იღუპება ამ შეკვლების შედეგად. ეს მისი ბელისწერაა.

ამირანის თბლობა სტრუქტურული ელემენტით არის მას ისტორიაში.

თბლობა ექვსის დასახრულს გრაფიკულად შეიძლება მარტობით (XII) და ასე იკეროს წრე.

II. გადავლება

ამირანი გადავლებული ბაემია, თითქოს დასაღუპავად განწირული. თითქოს ის იმ მიზნით იქნა გადავლებული, რომ დაღუპოს. ჩვილის სიცოცხლე ბეწვზე კილია, მაგრამ თუ გაღარნა, მას ღიდი მომავალი ექნება. „გადავლებული ბაემის გრაფიკია ანამლაურებელია თბლობის მითოლოგიური დიდებულებით, პირველყოფილი ბაემის უკიდურესი მარტობით სამეაროში, მისი უსიკალობით. ასეთი ბაემის გამოჩენა თანხვლება საგანთა ვარიერაცს, ისტორიის ახალ ხანას, „ახალ ცხოვრებას“ რეალობის სეზისმიურ დონეზე“ [31-ა, 250]. ახლადშობილის ბელის სეზითური გამოხატულებაა მახვილი, რომელიც მას ღელის მკელიდან დაჰყვება და საბელისწერო განსაყვლეში იხსნის მას. სიმარტოვე ამირანის მკლმივი თანამლეია.

სევანურ ეპიკურ პოეზიაში შემონახულია ამბავი დაკარგული თუ გადაგდებული ჩეილი ბავშვისა. დაღს ბავშვი მაღალი კლდის გამოქვაბულიდან გადმოუვარდება. ბავშვს მგელი დასტაცებს პირს და მიჰყავს. მონადირე თოფს დასცემს მგელს, ბავშვს აიყვანს და დედამისს, დაღს, უბრუნებს გამოქვაბულში. ამის სამღაურად მონადირე დაღისგან ნადირობის იღლით ჯილდოვდება. გადარჩენილი ბავშვის შემდგომი ბედი კი უცნობია [11, 268-273]. ვინ არის ეს გამოუცნობი ბავშვი? მომავალი ამირანია?

ეს სიუჟეტი იძლევა სამუალებას სხვაგვარი დაბოლოებისა, რისი რეალიზებაც არ დასტურდება სევანურ პოეზიაში. ერთი შესაძლო ვარიანტი: ბავშვი დაღს გადმოუვარდა ან ბავშვი გადააგდეს, მგელმა იპოვნა და წაიყვანა (მონადირე არ შეხვედრია) გასაზრდელად. მგელი გაზრდის მას, რათა გაზრდილი დაუბრუნდეს ადამიანურ საზოგადოებას. ამგვარი წარმოშობის გმირები ხშირია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ფოლკლორში. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მონადირემ მგლის პირიდან გამოტაცებული ბავშვი თავისთან წაიყვანა, რადგან დედა არ ჩანს, დედა მკვდარია. მონადირე ან თავად გაზრდის ბავშვს, ან დააგდებს, რათა ახლა სხვა ვინმემ წაიყვანოს აღსაზრდელად. ხალხური თქმულებით, თამარის ძე – ლაშა-გიორგი გყეშია გადაგდებული, რათა დაიფაროს მშობლის სირცხვილი (თქმულებით, თამარს მარადიული ქალწულობა ეწადა). ასევე გადაგდებულია, მაგრამ უმოტივოდ, რაც მით უფრო ცხადყოფს ამ აქტის აუცილებლობას გმირის ბიოგრაფიაში, მისი შორეული შთამომავალი ერეკლე მეორე, რომელსაც ამგვარად უმღერს ლექსი: ბატონიშვილ ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვნია, წყალი უსვამს ალგეთისა, თრიალეთზე უძოვნია, გადუვდიათ საჩაღეში, მონადირეს უპოვნია.

გადაგდებული ბავშვები, რომლებიც მიაღწევენ მოწიფულობის ასაკს, ბრუნდებიან შობის ადგილზე და ხსნა მოაქვთ თავიანთი ქალაქისთვის თუ ქვეყნისთვის, ხალხისთვის. ასეთებია: სარგონ აქადელი, მოსე, რომულუსი და რემუსი, თიდიპოსი და სხვანი.

აკევანი მწოლარე ამირანს „იამანის წყაროზე“ დაგდებულსაც პოულობენ – ეს თითქოს შესუსტებული ვარიანტია წყალში გადაგდებისა მისი დაღუპვის მიზნით. ხან აკევანი წყლის ფსკერზეა, რამაც ბაზალეთის გბის ანდრეგში კპოვა ასახვა ესქატოლოგიური მოლოდინის სახით.

III. ნათლობა

ქრისტიანული სარწმუნოების ეს უპირველესი საიდუმლო, როგორც ზღურბლი, საკმაოდ მკვიდრად ზის ამირანის ბიოგრაფიაში.

თუ ნათლობა სიუქეგურად არ არის მოთხრობილი, ის მაინც ფიქსირებულია ამირანის ვინაობის აღნიშვნისას („ამირანი იყო ღეთის ნათლული“, კახეთი). ნათლობის გარეშე სიმძაფრეს დაკარგავდა ის გრაფიკული კონფლიქტი, რომელიც ნათლიასთან შეჭიდებაში მდგომარეობს. ყველა ვარიანტში, სადაც კი ნათლობის ეპიზოდი შემონახული, ამირანის ნათლია (ქრისტე, უფალი, იშვიათად – წმ. გიორგი) და მისი მიმჯაჭველი ერთი და იგივე პირია. ნათლია ღონეს დაანათლავს თავის ნათლულს და ეს არის მისი საჩუქარი, რომელიც ამირანმა სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს და იყენებს კიდევ თავისი ყოფიერების გარკვეულ მღურბლამდე. ნათლიავე სჯის მას. აქ ჩანს ქრისტეს ორი სახე – მწყალობელისა და განმკითხველისა (ესქატოლოგიური მრისხანე პანტოკრატორი).

ალბათ, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქრისტე ღმერთი, მისი ნათლია, ამირანს გზაჯვარედინზე დაგდებულს იპოვნის და მონათლავს [1, 119]. გზაჯვარედინი მისი შესაძლებლობების სიმბოლური გამოხატულებაა.

III-ა. რძეში განბანა

ეს ეპიზოდი მხოლოდ სვანურ ვარიანტშია დადასტურებული [14, 357]. რძეში მას დედობილი განბანს, როცა შეაგყობს ჩვილს, რომ ის არაჩვეულებრივი ბავშვია: დედობილი მასში დაღის ნაშიერს ამოიცინობს. ამ განბანით დედობილმა ამირანი თავისი ჩვეულებრივი შეილებისგან გამოარჩია. საგულისხმოა, რომ მეგრულ თქმულებებში ასევე რძეში განბანენ მძინარე გყამი მათას თმებს. რძეში განბანა არქაული მოტივია, გამოყენებული როგორც ნათლობის გაძლიერებული ვარიანტი.

IV. ბობოქარი ბავშვობა

ფ.რ.ს. რავლანს, რომელმაც გრადიციული გმირის თავგადასავლის საერთო მოდელი გამოიკვლია [34, 152], შენიშნული აქვს, რომ გმირს ყველაზე საოცარი, ანუ გმირისთვის ნიშანდობლივი ამბები მხოლოდ მოწიფულობის ხანაში გადახდება, ხოლო დაბადებასა და ამ ასაკს შორის არაფერი ხდება. შესაძლებელია, ეს ასეც იყოს მეღვინის ხელთ არსებულ მასალაში, მაგრამ ამ დებულებას არ ადასტურებს ამირანის ეპოსი. ხალხური თქმულება იცნობს ამირანის ბავშვობას, რომელიც დაუოკებელი ფიზიკური ძალის გამოვლენით ხასიათდება. ეს თითქოს ცელქობაა, მაგრამ მისი მეტისმეტი სიცილე ქეთქოს სამზადისია მომავალი ბრძოლებისათვის, რომლებიც მან აუცილებლად უნდა გადაიხადოს. მისი ეს ბობოქარი ბავშვობა ანალოგიას ქოულობს ვილგამემის ცხოვრე-

ბის პირველ პერიოდთან, როცა ვერაფერს აცხადებს მის ძალას მაგრამ ეს დაუოკებლობა თავის კულმინაციაში გამოიხატება გამოხატავს: თუ ვილაგამეფს ურქველთა ევლებს ძალით მოველსინება ეს-ქილე, რომელიც სხვა მიმართულებით წარმართავს მის ძალას და მოელ ცხოვრებას [2]. ამირანი კოკებლამხვრეული ღუდაბრის სიტყვით ერთბაშად მომწოდება იმისათვის, რომ აღასრულოს ვალი აღამიასთა სამოგალოების წინამუ, რომელსაც ასე სასწაულებრივად მოველსინა.

„ვმირული ბავშობა“ განსაკუთრებით დამახასიათებელია თურქული მოღვმის ხალხთა ეპოსისათვის. „სიუვეტერ-თემაგერი დაგვირთა ბადათურული ბავშობისა (ДОГАТЫРСКОЕ ДЕТСТВО) ეკლდურესად მნიშვნელოვანია. მუღმიეი აქტივობა, ზოგჯერ ზემდეგად მოჭარბებული კი, რაც პიკერგროფი ელ სახეს იღებს ხოლმე, ბადათურის განსხაზღვრული თვისებაა და იგი ელსინდება არა უცებ, არამედ მენახელია ფარული სახით მის ბავშობაში... ეს ერთგვარი სიკუბაყური პერიოდია, როცა მიმდინარეობს ქმნალობა და დაგროვება პერსონაჟის ქარაქტეროლოგიური თვისებებისა...“ [28, 129].

სწორედ ამ აუცილებელ პერიოდს გაღის ამირანი ბიბოქარი ბავშობის სახით. ეს პერიოდი მომღვესო პერიოდის, როგორც მისი რეალიზაციის, ზღურბლია, წინაპირობაა, რომელსაც მოსლევს სხვა, ახალი ზღურბლი.

V. დევებთან ბრძოლა

ეპიკური ვმირის ბიოგრაფიაში აუცილებელი ეპიზოდია ბიროგ ძალებთან ბრძოლა. ამირანის ეპოსში ამ ძალებს დევები განსახიერებენ. არა ჭაბუკობის გამოხენისა და ძალის ღემოსსტრაციისათვის, არა თვითმიზნურად, როგორც ხმირად ხდება „ამირან-ღარუჯანიანსა“ და სხვა საფალაენო ეპოსებში, ებრძვის ამირანი დევებს, არამედ განსაზღვრული, ერთგვრადი მიზნის მისაღწევად. როგორ არ ჰეავს საფალაენო ეპოსის ვმირებს ამირანი თავისი ერთგვრადი მეზრძოლებით, თავისი ერთადერთი ანგაგონისტი დევეით, ერთი მიზნით, როცა შიადწევს მიზანს და დევებიც მისთვის (თუ საერთოდ?) აღარ არსებობენ.

ამირანი მოწოდებულია დაამკვიდროს ამ ქვეყანაზე სიკეთე, ნათლიისგან ძალა მას სწორედ ამისთვის აქვს მიმადლებული ამირანი მამობილის თუახს, რომელიც აღამიას ურ საზოგადოებას განსახიერებს, მოველსინება როგორც მხსნიელი. იგი აღამიანებს უბრუნებს დევების მიერ მიტაცებულ გერიტორიას, ათავის ეულებს მას დევებისგან. სენური ვარიანტის მიხედვით, ამირანი თავის მამობილს, იამანს უბრუნებს დევის მიერ მოტაცებულ თვალს ეს არის

საბაბი დევებთან ბრძოლისა. ამირანი დევებს მათი ქორწილის დღეს ებრძვის. ეს მნიშვნელოვანია, აქ არის ესქატოლოგიური მომენტი: სწორედ ქორწილის დღეს, სიმბოლურად უკანასკნელ დღეს, როცა ყველანი ერთად არიან შეყრილნი, ერთიანად უნდა გაწყდნენ. ეს ბრძოლა საბოლოოა, რადგან თავად ქორწილია საბოლოო აქტი, გადახელა ერთი ვითარებიდან ახალ ვითარებაში, ძველს დასასრული ახლის მოსაპოვებლად. დევებისთვის ეს „გადასხვაეება“ (მღრ. ჯვარ-ხაგების ეპითეტი „დევეკრეთი გადამსხვაეებელი“ [18, 118]), ამიერიდან ამ ქორწილით უნდა შეწყდეს მათი ძველბერი ყოფიერება.

VI. უკანასკნელი დევი და ცამცუმის კოშკი

მართალია, ჩვენ მივიღეთ თემისი იმის შესახებ, რომ დევებთან ბრძოლა ერთჯერადია, მაგრამ ისევე როგორც ლეითისმილითა და დევების ბრძოლის ეპოქაში დევების განადგურების შემდეგ უკანასკნელი დევი რჩება, რომელსაც საბოლოოდ იახხარი მოუღებს ბოლოს [5, 11], აქაც გადარჩება ერთი დევი, რომელიც უნდა განადგურდეს, რათა გამოიხსნას ახალი მღერბლი ჯიორის გზაზე ამ დევის სახელი გამოიხსნება შესანიშნავ ბაღაღამი, რომელიც „ამირანიანის“ ბევრ ჩანაწერში იპოვება. ეს არის ლექსი, რომელიც იწვეება სიგეებით „სანაღიროდ გამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი. წინ ირეში გამოუხგათ ცას სწვდებოდა რქანი მისნი.“ იგივეა სანაღირისი ცამცუმის კოშკთან მიიქვანა, სადაც დახვდით მკვდარი ცამცუმი და წერილი, რომელიც მისი სახელით იწვევებოდა, რომ მას მოეკვლელი გადაურჩა ერთადერთი ბაებაედევი. წერილის აუგორი დევთან გასწორებისთვის და თავისი დამარხვისთვის სიბაეაზობს თავის იარაღს, ცოლს და სხვა. ეს ის ბაებაედევია, რომელიც უნდა შეხედეს ცამცუმის კოშკიდან გამოსულ ამირანს, მოიკლას მასთან ორთაბრძოლაში და სიკვდილის წინ ამცნოს მას ეპარის ადგილსამყოფელი. ასევე, ეს ის დევიცა, რომლის მოჭრილი თავიდან ამოსული სამი ჭია მომაველი ეპიშოდის ჩანახახია. ამირანი არ კლავს ჭიებს და ამით ქმნის საფრთხეს თავის მომაველ ასპარეზზე. ასპარეზი საფრთხით უნდა იყოს საესე, ეს არის მისი არსებობის ფორმა. ამირანის არჩევანი – არ დახოცოს ჭიები – თავისუფალია, რადგან არსებობს ალგერნაგევა – მძების რჩევა მოგიეციით ერთ: მოკალი, თორემ... ამირანი კი ინდობს, როგორც დაინდო ვალგამეშია ხუმბაბა, მიუხედავად ესქიდუს რჩევისა. მაგრამ აქ პირველ ხდება: ესქიდუ ვილგამეშის ნაცულად კლავს ერის ელს და სწორედ მისი სიკვდილი (არა დაინდობა, „ამირანიანისგან“ განსხვავებით) ხდება მომაველი საფრთხის მიზეზი.

ამრიგად, ბალადა, რომლის ორგანული კავშირი ამირანის ეპოსთან თითქოს ეჭვს იწვევს, გამოყენებულია ხიდად მომდევნო ეპიზოდისკენ (მღურბლზე) გადასასვლელად.

[„ამირანდარეჯანიანი“ ანალოგიური ეპიზოდი მთელი ეპოსის კარიბჭეა, საიდანაც იწყება მისი სამყარო. აბესალომ მეფე ედევნება უცხო ქურციკს, რომელიც შეიდი ღლის შემდეგ მიიყვანს უცხო ადგილას („ქვეყანა უცხოდ აუნდა“), თაეად კი ერთ კლდეში გაუჩინარდება. მეფე იხილავს ქეითკირის სახლს, რომლის შიგნით კედლებზე ამირან დარეჯანის ძისა და მისი ჭაბუკების სახეებიცა გამოხატული. მეფე მოიწყენს მათი უცხოობის გამო, როგორც როსტევეანი „უცხო მოყმის“ გამო. მთელი „ამირანდარეჯანიანი“ მათი ჭაბუკობის გადმოცემას ეძღვნება. ამისგან განსხვავებით ამირანი და მისი ძმები არ ინგერესდებიან ცამცუმის წარსულით. მათ მხოლოდ პატივი უნდა მიაგონ მკედარს და შური იძიონ ბაყბაყღეზე, ანუ გააგრძელონ ცამცუმის დაუმთავრებელი საქმე].

VII. შთანთქმა-ამონთხევა (მეორედ შობა)

გველემშათან ბრძოლის ეპიზოდი ცენტრალურია ამირანის თავდადასაეალში. ამავე დროს იგი მითო-ეპიკური გმირის აუცილებელი განსაცდელია, რომელიც უნდა გაიაროს მან, რათა ახალ ქმედებათა ასპარეზი გაიშალოს მის წინაშე. გველემშათან ბრძოლა არსებითად განსხვავდება დევებთან ბრძოლისგან. დევის სახით ამირანი ამარცხებს, ძლევს ბოროტებას, მაგრამ გველემშაპი არ არის ბოროტების განსახიერება, იგი სრულიად განსხვავებული მოვლენაა და განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს. არ უნდა მივიჩნიოთ თავდაპირველ ვითარებად, როცა რომელიმე ეარიიანგში გველემშაპის ფუნქციით დევი გვევლინება, მაგ., სევანურში, თუმცა იგი სხვა არქაულ მოტივებს შეიცავს. აქ ამირანის მამობილის თეალის მომგაცხებელი დევი, რომელსაც ამირანი ებრძვის, როგორც ბოროტ ძალას, და ამირანის მთამნთქმელი ერთი და იგივე პერსონაჟია. ბარის ვარიანტებში ეს იგივეობა არ ჩანს, თუმცა გველემშაპი აქ დევის გრანსფორმაციაა: მოკლული დევის თავიდან ამოსული ჭია გველემშაპად დახედება გმირს გზამე.

დევეები მრავლად არიან, გველემშაპი ერთია, ანუ ის გველემშაპი, რომელმაც გმირი უნდა ჩაყლაპოს.

ყველა მითო-ეპიკურ გმირს ცხოვრების გზამე, რომელიც ფაქტიურად ბრძოლის, წინააღმდეგობათა გადალახვის გზაა, თავისი გველემშაპი (ურჩხული, ღრაკონი) ხედება. იგი, ცხადია, ამარცხებს მას, მაგრამ გველემშაპის ძლევა განსხვავდება სხვა ანგაგონისგურ არსებათა, ბოროტეულ ძალთა (დეეების) ძლევისგან. როგორც

წესი, გველემაპის მებრძოლი გმირი უნდა შთაინთქას გველემაპის მიერ, რათა შიგნიდან დაამარცხოს იგი, რადგან გარედან მისი დამარცხება არ იქნება. მაგრამ შთანთქმა-ჩაყლაპეას კიდევ სხვა უფრო მნიშვნელოვანი დაგვირთვა აქვს (ამაზე ქვემოთ). ამირანი ეკუთვნის იმ გმირთა წყებას, რომლებიც ნამყოფი არიან გველემაპის მუცელში და მისი წიაღიდან გამარჯვებულნი გამოდიან. ვიდრე ჰერაკლე, ელინთა გმირი, დაამარცხებდა ურჩხულს, რომელსაც მეფის ასული ჰესიონე უნდა ჩაეყლაპა, ჯერ თავად შთანთქმება მის ხახაში, გაივლის მის წიაღს და გამოვა გარეთ. იმავე განსაცდელის წინაშეა მეორე ელინი გმირი იასონი: მითოსურად ნამდვილ იასონს მედეას მიცემული წამლით კი არ დაუძინებია ოქროს საწმისის მცველი ურჩხული, რათა ეს საწმისი მშვიდად მოეპარა, არამედ ჯერ ჩაიყლაპა მის მიერ და, როცა უკან ამოვიდა, ურჩხული გმირის ამ ამოსვლით უკვე განადგურებული იყო. ეს მითოსური სინამდვილე ერთი ეგრესიული ხანის ლარნაკება დადასტურებული [30, XV, 247], არც აპოლონიოს როდოსელის „არგონაფიკაში“ და არც სხვა წერილობით წყაროში ურჩხულის ამგვარ აღსასრულზე არაფერია ნათქვამი (როგორც ჩანს, სიგყვიერად გმირის ამ განსაცდელის გამოხატვას გაურბოდნენ). ამოსვლა, როგორც ხსნა, ყოველთვის გრიუმფალურია. ეს არის ხსნა და გამარჯვება ერთდროულად. ასევე შთანთქმება ფინური ეპოსის „კალეფალას“ გმირი ვეინემეინენი ვიპუნენ-გველემაპის მიერ. მის მუცელში მოხვედრილი, იგი ნავით გაეყრავეს მღვაური გველემაპის წიაღს (ნაწლაეებს) ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე და მღვაში ამონითხევა. ამირანივით მოუნელებელი და მტკივნეული აღმოჩნდა იგი ვიპუნენ-გველემაპისთვის (XVII რუნა). ამავე ეპოსის გმირი გველემაპისგან ჩაყლაპული მჭედელი ილმარინენი სეანური ვერსიის ამირანივით უკადრისობს მისი პირიდან ან უკანა ნაწილიდან ამოსვლას და გველემაპის მუცელშივე გამოჭედილი დანით გამოჭრის მისი ფერდიდან გამოსასვლელს [26, 507; 32, 63].

გველემაპის ეპიზოდი ორი ნაწილისგან შედგება: შთანთქმა და ამონთხევა.

რას გულისხმობს ეს ეპიზოდი გარდა მასში გადმოცემული საგმირო აქტისა? შთანთქმა თავისი წარმოშობით კოსმოგონიური მოტივია, როგორც გველემაპთან ბრძოლაა კოსმოგონიის იგავეური გადმოცემა. დამარცხებული გველემაპის სხეული სამყაროს ედება საფუძელად, მაგერიად. ამის კლასიკური მაგალითია მარდუქისა და თიამათის ორთაბრძოლა, რომელიც კოსმოსის შექმნით მთავრდება [5-ა, 97-99]. მაგრამ კოსმოსის შექმნას წინ უძღვის თია-

მათის მიერ მარდუქის შთანთქმა და მარდუქის ხელით თიაპათის მუცლის ვაჟაგერა და ამოხელა, როგორც მზისა წყეღიალიდან, რაც ქაოსიდან კოსმოსის დაბადებას ნიშნავს. ახევე კოსმოგონიურია ძველმდური ისლრასა და გველემაჲ ვრიგრას მორის შერკინების მითოსი. უხელეფხო უმარმაზარი გველემაჲი ვრიგრა, რომელმაც შთანთქა მდინარეთა წყლები და მოაქცია თავის შიგანს, ცლაპაქ მის წინააღმდეგ ვალამქრებულ ისლრას. ისლრა შიგნიდან განწვა-ლაეს გველემაჲის სხეულს, იხსნის თავს და დაგვევევებულ წყლებსაჲ, მისი სხეულისგან ქმნის სამყაროს სხვადასხვა ნივთს [26, 534].

შთანთქმა-ამონისხევის კოსმოგონიურ მითოსში ზოგან გამ-ქვირვალედ, ზოგან შეფარულად ჩანს ერთი მნიშვნელოვანი მითო-ლოგემა: შთანთქმელი ზღვაური ურსხელი, გველემაჲი შთანთქ-მულის შიშობელი ღელაა, რომლის სამოლანი ხელახლა ენლა დაბა-ლოს ღეთაება, კოსმოგონიური ვმირი. ბაბილოს ვრუ კოსმოგონი-ური ეპოსის თიაპათი („ზღვა“) ეველა ღმერთის ღიღი ღელაა, მათ მორის მარდუქისაჲ, რომელმაც შიგნიდან ვაჟაგრა ივი, რათა შე-ექმნა „მშენსერნი ნივთი“ ანუ კოსმოსი [5-ა, 81, 105-149]. ამ მითოლოგიურ ფაქტს მოწმობს პოლისეზიელი ვმარის შთანთქმელი გველემაჲის სახელი - „ღიღი-ღიღი-ღიღი ღელა“ [30, 91].

შთანთქმას, როგორც მითოლოგემას, კიდეჲ ერთი დაგვირთიჲ აქვს: ივი ნიშნავს ღამარხებას, ღაფლვას, სამომი უკან დაბრუნებას ანუ, სხვანაირად, ემბრიონად ქცევას, რათა არხება ეველავ იშვას, მეორე მხრივ, შთანთქმა-მთაფლეა სიკელილის სისოსიშია, რასაჲ ენლა მოხლეღეს აღგვომა-გაცოცხლება, საბოლოოდ, ისეჲ და ისეჲ ხელახალი შობა. ამრიგად, გველემაჲის მუეელი ღელის სამოა, საიდანაჲ ენლა დაბალოს არხება, ამიგომაც არ ენლა იყოს მოუ-ლოღნელი, რომ გეემი მღებარე იხ ქოხი, სადაჲ სრულდება მოწი-ფუღობაში ვაღახელის, შეიღლება ითქვას, სრულყოფილ აღამოა-ნად „გამომწეების“ ხანგრძლივი რიგეალი, „ღელის სამოა“ იწო-ღება და, იმაღროულად, გველემაჲის წიაღს წარმოაღგეს ზოგან ქოხში შესახელელი, სადაჲ მეღის მოწიუღობის ზღერბლს მოწე-ნილი ბაემვი, „გველემაჲის პირად“ იწოღება, კარის დახერეჲ კო გველემაჲის მუეელში მის ვამომწეღეღეს ვანახახიერებს. ახალ ვენიეაში საინიციადიო ქოხს გველემაჲის ფორმა აქვს თავისი მუ-ეღითა და ეველით. ბაემვი მეღის ქოხში, თითქოს გველემაჲის მუეელში ისთქებოღეს. ეს მისი ღიღი ღელის სამოა არის, სადაჲ ის უბრუნდება ემბრიონალურ სტატუსს და საიდანაჲ ის მეორეღ იბაღება, როგორც საზოგადოების (გომის) სრულუღახოეანი და სრულუღღებიანი წვერი [32, 35-36].

ცხადია, ამირანის შიანთქმა-ამონთხევის აღარ აქვს ის დაგვირთოა, რაც მას გრადიციულ საზოგადოებებში ქიქონდა. ამირანის თავგადასაჯვალში ეს ეპიზოდი ზღურბლია, რომლის გადალახვის შემდეგ მისი ყოფა ახალ საფეხებზე აღის.

თუ პირველი მობით გმირის სიცოცხლე იწყება, მეორე მობით — ახალი სიცოცხლე. როგორც პირველი მობის დროს გაიჭრა დედის შუკელი, ასევე ამ მეორე მობისას იკვეთება ფერდი გველემასია იმ დანით, რომელიც თან დაჰყვა მას პირველი მობიდან. ჩანს, მეორე მობა გარდაუვალი ყოფილა: ის ამ თანდაყოლილ დანამთა საგულისხმევი. ეს იმას ნიშნავს, რომ გველემასი ამირანის ბედისწერაა, თითქოს გადამწვევებ ზღურბლზე მისი მშობელი დედა ხელება მას ამ გველემასის სახით, რომელიც ხელახლა ბალებს მას. მაგრამ თუ აცნობიერებს ამას ამირანის ეპოსი, უფრო სწორად, ამ ეპიზოდის მოხრობელი თუ მისი ამ სახით შემნახველი? ყველა ვარიანტი, რომელიც კი გველემასის ეპიზოდს ინახავს, გველემასის შუკელიდან გამოსული ამირანი ახლადმოზიდის ნიშანს ატარებს, რასაც ხატოვნად გვაჩვენებს გროტესკული ლექსი:

ამირანი დაიბადა ვოჭსა ჰეკანდა, ხუხალასა
თმა და წვერი გასციქესოდა, ჩუქვარა გომარასა

ეს ორი კვლევი თაყისი სიგეყიერი ქსოვილით არ მოდის არქაული ხანისდან, მაგრამ მას ძველთაძველი მათოლოგების განმოსაჯვა აქვს საგვირთი. ეს გროტესკი ხატოვნად ვადმოსცემს ახლადმოზიდის სახეს, მის უხუხურობას. წვერ-ულვამის გაცეკვა მიგვანინებს, რომ ამირანის ბიოლოგიური დრო უკუცქეულია სამომს დაბრუნებით. დრო ხელახლა უნდა ამოდრავდეს, „ხუხალა“ უნდა გაიზარდოს, შეიმოსოს, უნდა მიაღწიოს მოწიფულობას და ეს პროცესი უნდა დანიქარდეს. ამისათვის მოწოდებელია მომდევნო ეპიზოდი.

VIII. იგრი ბატონის წყალი

ეს ეპიზოდი თაყის წინაპირობად გველემასის ეპიზოდს გულისხმობს, მასზეა დამოკიდებული, თუმცა შეიძლება თაყისთავალი ამბის შთაბეჭდილებას გოვებდეს. ამირანი იგრის წყალში უნდა განიბანოს, რაც თითქოს სათლობის წყალში განიბანის ანალიოვიურია. ამ დროს თითქოს სათლობის განახლება ხდება, როგორც მობის მომდევნო, აუცილებელი რიგუალისა. ან შესაძლოა, იგრის საბანელი იმ დეკუელისა და კეროს უამყის ანალიოვიურია, ხადაც დედის სამოდან საადრევედ გამოსული ამირანის სხეული უნდა გამოემუშებელიყო.

ამირანი განახლებული ძალით ამოდის იგრის საბანელისან. განახლება აუცილებელია მისთვის, რადგან მის წინაშე ახალი.

ძნელად შესასრულებელი ამოცანაა. მაგრამ რა უნდა იყოს იმაზე ძნელი განსაცდელი, ვიდრე დევებთან ან გველეშაპებთან (თეთრ-თან, წითელთან და, ბოლოს, შავთან) ბრძოლაა? როგორც ჩანს, არის ასეთი განსაცდელი, რომელიც ამირანმა, როგორც ეპიკურმა გმირმა, უნდა გადაიგანოს. ეს არის საცოლის ძიება.

IX. ყამარი

საცოლე ყოველთვის მოსაგაცებელია. ეს არის უდიდესი გმირობის აქტი და გეადამიანურ ძალისხმევას მოითხოვს. გმირი ამისათვის მომზადებული უნდა იყოს, ამ აქტამდე მას რაღაც უნდა ჰქონდეს ჩადენილი, ჩადებული უნდა ჰქონდეს საგმირო წინდი. „სჯობს საყვარელსა უჩვენენე საქმენი საგმირონია“, შემთხვევით არ დასცდენია ნესტანს ეს სიგყვები. ამირანსაც ჰქონდა ჩადენილი საგმირო – ეს იყო დევებთან ბრძოლა და ის განსაცდელი, რომლის შემდეგაც იგი ხელახლა უნდა დაბადებულიყო ახალი საგმიროს ჩასადენად.

ამირანის გზა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აღის. აქ მღურბლი ხედება მას და ეს მღურბლი საგმირო და მითოლოგიური ეპოსების ერთ მნიშვნელოვან მოტივთან არის დაკავშირებული. ეს არის მმეთუნახაეის მოგაცება და იგი გარდაუვალია, როგორც გმირის, ისე ქალის ცხოვრებაში: მმეთუნახაეი სამარადისოდ არ უნდა დარჩეს კომკში. ვინმემ იგი მზის სინათლეზე უნდა გაიყვანოს – მმეთუნახაემა უნდა იხილოს მზე ან მზემ უნდა იხილოს მმეთუნახაეი. ქალი მზად არის ამისათვის და ის ელის თავის გამომხსნელს, როგორც უკაცურ ბნელ სახლში მყოფი ფარნაეაში, რომელიც მზემ გამოიყვანა ველად და ახილვინა თავისი თავი „ქეემდაბლად“.

ეს ყამარს არ ეხება, მაგრამ აქ უნდა ითქვას, რომ მმეთუნახაეი, რომელსაც საგულდაგულოდ მაღაუენ სამშეოსგან, ბოლოს მაინც მზის სხივისგან მუცლადღებული აღმოჩნდება. წინასწარმეტყველება, რომლის თანახმად ნაშიერი მამას ან პაპას გახტიდან გადმოაგდებს, თან ახლავს სიუჟეტს, მაგრამ არა ყოველთვის. ის აუცილებელი არ არის. შენიშნულია კომკში ქალწულის დამწყვდევის რიტუალური წარმომავლობა [29-ა, 27]. დამწყვდევა, საზოგადოებისგან განრიდება-გამოცალკეევა ე.წ. ვადასელის რიტუალის კუთვნილებაა. განმარტოებულ კომკში შედის ასაკობრივი ცვლილების მღურბლს მიღწეული და იქიდან მოწიფული გამოდის. კომკი თუ სხვა ნაგებობა, რაც უნდა ერქვას მას, კომკი თუ „გველეშაპის მუცელი“ ან „დედის საშო“, როგორც მას ე.წ. პრიმიტიულ ხალხებში უწოდებენ, ის ადგილია, სადაც მიმდინარეობს გოგონას ფიზიკური მომწიფებისა და ქალურ „სიბრძნეში“ წვრთნის პერიოდი. და ის

მთაერდება სწორედ მაშინ, როცა ვაჟი მიაღწევს იმ ზღურბლს, რომლის გადალახვის შემდეგ მას შეუძლია ქალის მოპოვება. ასაკობრივი გადასვლის რიტუალის ყრუ გამოძახილს ახლებური მოტივაციით „ეფუხისგყაოსანშიც“ ეხედებით. ჩვენ ვიცი, რომ გარკვეულ ხანამდე გარიელი და ნესტანი ერთად იზრდებიან. მაგრამ დგება ჯამი და ვაჟს მამა წაიყვანს, ნესტანს კი მეფე საგანგებო სახლს აუგებს. გაიხსენოთ სტროფები 331-333:

მეფემან სახლი აუგო, შიგან სამყოფი ქალისა:
ქეად ჟაბარი სსდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,
პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა;
იგი მუნ იყევს, მეღების ვისგან სახმილი აღისა!

დღე და ღამე მეჯამრითა ეემოდის ალეა თლილი;
ზოგჯერ კომქს ჯდის, ზოგჯერ ბაღჩას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი.
დაეარ იყო და მეფისა, ქერივი, ქაჯეთს გათხოვილი,
მას სიბრძნისა სასწაულებლად თვით მეფემან მისცა შეილი.

სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა;
ვერეინ ეხედველით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა;
ასმათ და ორნი მონანი ჰყეიან, იმღერდის ნარდითა;
მუნ იზრდებოდის განითა, გაბაონს განაზარდითა.

ამ სტროფებში ბერი დეგალი მიგვანიშნებს ნესტანის „სამყოფის“ რიტუალურ ბუნებაზე. მისი მდიდრული სახე, ეს ფუფუნება და გარეგნული ბრწყინვალება მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ იგი უფლისწულისთვის არის განკუთვნილი. შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ აქ ნესტანის დრო უმრუნველობასა და თამაშში ვადის („იმღერდის ნარდითა“). აქ მიმდინარეობს უასაკო გოგონას წერთნა სადიაცო ასაკისთვის. ამ სტროფებში გამხელებლია ამ კომქის ჭემმარიტი დანიშნულება: იგი მხოლოდ ქალთა სამყოფია, სადაც მამაკაცი არ ჭაჭანებს. „ვერეინ ეხედველით“, ამბობს გარიელი და გულისხმობს მამაკაცებს, თვით მამა-მეფის ჩათვლით; ქალს ვერ იხილავს მამაკაცის თვალი, მშობლისაც კი, ისევე როგორც თვალი მზისა, როგორც მზეთუნასავე: „ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი“, ანუ დღის იმ პერიოდში, როცა ჩასულია მზე; აქ წერთნიან მას („მას სიბრძნისა სასწაულებლად...“) ქალურ ცოდნაში ანუ საიდუმლოში, რომელიც მამრთაგან დაფარული რჩება. ქალური სიბრძნის იდუმალება აქ გამოხატულია თითქოს ქაჯური ცოდნით, რომელშიც მას დაეარი განასწავლის. და, ბოლოს, აქ იზრდება ის ქალად, დედაკაცად: „მუნ იზრდებოდის განითა, გაბაონს განაზარდითა“; გაბაონში გაზრდილობა, პოემის ავტორის მიხედვით, სრულყოფილი გამზრდილობაა, როცა ასაკი აღწევს სათანადო ზღურბლს. ნესტანი სრულიად გარდაიქმნება კომქში, ის უცხოა, გაუცხოებულია გარიელის-

ვან, რომელმაც ვერ იცნო თავეისი გოლი, რომელთანაც ერთად იზრდებოდა. ეს უცხოობა, მოწიფულობის ეს სიუცხოვე არის მოკლილ-ნელი სიყვარულის აფეთქების მიზეზი.

P.S. დაბოლოს, ამირანის სახის და მისი ინტერპრეტაციის ისტორიიდან ბუნებაში და ბუნებიდან ისტორიაში მოძრაობის, მისი პერიოდული ტრანსფორმაციის, მისი საზრისის სახეცვლილებას (მის საბოლოოდ დაკარგვამდე) იგავერად ნათელსაყოფად მოყაყენან ფრანსუა კაჟაკს იგავეს პროშეთებე მისი „პარაბოლებიდან“:

„პროშეთებე ითიხი თქმულება არსებობს: ერთის მიხედვით, მან აღამიანების გულისათვის ღმერთებს უღალატა, ღმერთებმა კი სასჯელად კაეკასიონს მიაჯაჭვეს და არწივები მიუსიეს გულ-ღვიძლის საკორგნალ, მაგრამ გულ-ღვიძლი ისევე და ისევე უმრთულალებოდა

მეორე თქმულებაში ნისკარგებით დაძიძგნილი, ვაწამებული პროშეთე ისე ეკეროდა კლავს, რომ ბოლოს კილევაც შეეჭარდა.

მესამის მიხედვით, ათასწლეულია მანძილზე ეს ამბავი დაიწვეყნას მიეყა. მისი ღალატი დაივიწყეს ღმერთებმა და არწივებმა, თაყალ მასაც დააივიწყა ყველაფერი.

მეოთხის მიხედვით, ყოველივე უაზრობად იქცა და ამ უაზრობამ ყველა მოქანსა. დაიქანსენს ღმერთები, დაიქანსენს არწივები, ჭრილობამ კი ვაბებრდა და შეხორცდა.

ღარჩა გაუგებარი კლდე. თქმულება ცლილობს, გაუგებარი ახსნას. ვინაიდან ამ თქმულებას საფუძვლად ჭეშმარიტება უღევს, იგი გაუგებრადღე უნდა ღარჩეს“.

დამონშებული ლიტერატურა

1. არჯევანიძე ე., *ანტიკურული ბიბლიოგრაფია* (СМОНИК-ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, „მეცნიერება“, თბ., 1971.
2. ვილგამეშანი, ძველი შუამდინარული ეპოსი, „განათლება“, თბ., 1984.
3. მუხბა ს., *აფხაზური მეპირსიტყვიერება*, თსუ, თბ., 1988.
4. კაიშაური ლ., *მთიულური ტექსტები*, „მეცნიერება“, თბ., 1978.

5. კიკნაძე მ., *ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო*, ქუთაისი, 1996.
- 5-ა. კიკნაძე მ., *მუამლინარული მითოლოგია*, „საბჭოთასაქართველო“, თბ., 1979.
6. მაკალათიას, *ხევი*, ტფ., 1934.
7. *მკერული მღაპრები და მითები*, „მერანი“, თბ., 1994.
8. *ნართები*, ოსურიდან თარგმნა მერი ცხოვრებოვმა, „ირისტონი“, ცხინ-ვალი, 1988.
9. პროპი ელ., *მღაპრის მორფოლოგია*, „მეცნიერება“, თბ., 1984.
10. რეხვიამშვილი ნ., *ქართული ხალხური მეტალურგია*, „მეცნიერება“, თბ., 1964.
11. *სეანური პოეზია I*, თბ., 1935.
12. *ქართლის ცხოვრება I*, თბ., 1955.
13. ჩიქოვანი მ., *ამირანის თქმულების პოეტური ჩანაწერები*, ეპიკური კან-რები, ქართული ფოლკლორი X, „მეცნიერება“, თბ., 1981.
14. ჩიქოვანი მ., *მიჯაჭვეული ამირანი*, „თბილისის უნივერსიტეტის გამომ-ცემლობა“, თბ., 1947.
15. ჩიქოვანი მ., *ქართული ეპოსი I, მიჯაჭვეული ამირანი*, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბ., 1959.
16. ჩხვიძრე, *ამირანის თქმულება*, თბ. „ნაკადული“, 1991.
17. ხორენაყი მოვსეს, *სომხეთის ისტორია*, „მეცნიერება“, თბ., 1984.
18. *ჯვარ-სატა სადიდებლები*, თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის შრომე-ბი 2, თბ., 1998.
19. Бердяев Н., *Эрос и личность*, Изд. „Прометей“, М., 1989.
20. Гадамер Г.-Г., *О круге понимания*, Актуальность прекрасного, „Искусст-во“, М., 1991.
21. Гадамер Г.-Г., *Прометей и трагедия культуры*, Актуальность прескрас-ного, „Искусство“, М., 1991.
22. *„Давид Сасунский“*. Армянский народный Эпос, „Советский писатель“, Ленинград, 1982.
23. Дестуинис Г., *Разыскания о греческих богатырских былинах средневеко-вого периода*, СПб, 1883.
24. Лосев А. Ф., *Проблема символа и реалистическое искусство*, „Искусст-во“, М., 1976.
25. Мейендорф Иоанн, прот., *Православие в современном мире*, New York, 1981.
26. *Мифы народов мира*, т. I, „Советская Энциклопедия“, М., 1980.
27. *Нарты*, Адыгейский народный эпос, „Наука“, 1974.
28. Неклюдов С. Ю. *Героическое детство*, Историко-филологические ис-следования, М., 1984.
29. *Песни южных славян*, „Художественная литература“, М., 1976.
- 29-ა. Пропп Вл., *Исторические корни волшебной сказки*, „Лабиринт“, М., 2000.
30. Campbell J., *The Hero with a Thousand Faces*, Bollingen Series XVII, Princeton University Press, 1973.
31. Charachidzé G., *Prométhée ou le Caucase, Essai de mythologie contrastive*, Flammarion, 1986.
- 31-ა. Eliade M., *Patterns in Comparative Religion*, New American Library, New York, 1974.
32. Eliade M., *Rites and Symbols of Initiation, The Mystery of Birth and Rebirth*. Harper Torchbooks, New York, 1965.
33. Gennep Arnold, van, *Les rites de passage*, Paris, 1909.

34. Raglan L., *The Hero of Tradition, The Study of Folklore*, ed. Dundes A., University of California and Berkley, 1965.

35. Tuite K., *Achilles and Caucasus*, *The Journal of Indo-European Studies*, vol 26, N 3-4, 1998.

ტექსტები*

შთანთქმა-ამონთხევა

I

გაუძლეა შიკრიკი ძმებს და გაიყვანა ერთს ტრიალს მინდორზედ. გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ის სამნი ჭიანი, ბაყბაყ-ღვეის თავებიდან რომ ამოცოცდნენ, ვეშაპებად ქცეულიყვნენ. ერთი თეთრი იყო, ერთი – წითელი და ერთიც – შავი. მინდორში მიდიან და მიიმღერიან:

მინდორში სამნი ჭიანი მიდიან მიიმღერიან,
თვალს უცემს ღარეჯანისძეს, მავათთან ომი მწადიან.

ამირანმა უთხრა ძმებს: აბა, ძმებო, მეგი ღონე აღარ არის, უნდა მაგ ვეშაპებს შეეებნეთო. თეთრი ბადრს, წითელი უსიპს, შავი ჩემდ გინებუიათ. თეთრიც შენა და წითელიც, შავიც შენ ნაგონარია, უქასუხა უსიპმა, აკი გითხარ, ინანებო, შენი გაფუჭებული საქმე შენვე გააკეთე. შენი გამრუდებული გზა შენ გაასწორეო. – ჯაი, უსიპო, უსიპო! უთხრა ამირანმა:

უსიპო, ჩემი სიმუსთლე სულმუდამ გულში გდებია,
ტვინი, საღები თავშია, ჩაბალასშია გდებია.

მამ შენ მაინც მომეშეელე, ბადროეო, უთხრა ბადრს ამირანმა, მაგრამ ბადრმაც უარი უთხრა. მაშინ ამირანმა უთხრა ბადრს:

არა ჰყოფილხარ, ძმავ ბადრო, ფერი არქაგე გქონია.
დაჯე და ჰკერე გყაეები, სხვა სელი არა გქონია!

კიდევ უთხრა უსიპს, მომეშეელებითო, მაგრამ უსიპმა უარი სთქვა: შენისა ცოლის გულისთვის სულ ძმები დავილიენით! მაშინ ამირანი თავის აბჯარს მიუბრუნდა და უთხრა: ჩემო ხმალო და აბჯარო, საძალედ მომეშეელებით! და დაუწყო სასტიკი ომი გველეშაპებს. მოჰკლა თეთრიც, მოჰკლა წითელიც.

თეთრი მოჰკლა და წითელი, შავსა შეება მამერალი.

გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ბადრი და უსიპი წასულან და გადადიან მთაზე, დაუძახა:

რომელი მისხალ მა მთასა, რომელი მოჰკეც მა გზასა?
გადადი და დაუძახე ბადრსა, უსიპსა ჩემს ძმასა:
თეთრიც მოეკალ და წითელიც, ნულარ გადივით მა მთასა.

* მოგვეყავს მსოლოდ ძირითადი, საკუთრივ ამირანისეული ეპიზოდები: შთანთქმა-ამონთხევა და გაბუდაყება-ორთაბრძოლა-მიჯაჭვა, გათავისუფლების მცდელობა.

დაბრუნდითო. მეება მაგ გველეშაპს დაღალული და დამამკრალი.

მეება აიღო, ჩაელაპა, მაგი ჩლეხსაკენ გასწია

ჩაელაპა მაგსა და გასწია თავის დეღისაკენ. რაკ დაინახეს მძებმა, ამირანს უქონსო, მამისეუ გაიქცნენ ამირანის ხამეულად. დაეწივნენ ქარეუცხლს, ესროლა უხიშა თხარს და ესრა აღლა კელი მოსწევიტა გველეშაპს. ქარეუცხლს იხე მოსწევიტისი კელი არ სკოილა, როგორც ჩაელაპური ამირანი ატკიებდა მუეელს. დარეჯანისიძე აკლევდა გელ-მუეელს და თელაკნებოდა ქარეუცხლით ხამისლად. ქარეუცხლს ერთი რქანას ბოძი ქიონდა, რომ ენსეუ ჩაელაპა, მიუიღოდა, შესიოხეუეოდა ამ ბოძს გარს, დაამტკრევედა და მოინელებდა. ესლდე ამირანის დამტკრევეა უნლოდა, შემოიხეუა ბოძს, მავრამ კელი პარს აღარ მოსწევა, რადგან უხიშა მოსწევიტა. მიუიღა დელახთან ქარეუცხლი და შესხიელა: მუეელი მგერეკს, იეეხლი მეკიდებო. ვაიმე, მიუიღო, თუ დარჯანიანთი ენსეუ ჩაელაპე, იმათ კაცს მენ ეერ მასიელებო. რა კაცი იყო, რა ფერი ქიონდო? ხაეერეით თეალეუბი ქიონდა და ერთი თქროს კბილი ედგო. ამირანი ყოფილა, მიუიღო, დარეჯანისიძე.

ამირანს ჯიბეში აღმახს დაწა ელეა, მავრამ არ მოაგონდა ბოლოდ უხიშა უთხრა ბაღრს: მხოო, ჩახსახე, შენი ხმა მშეუნიეროა. დანა მოაგონეო.

ჩალი, ბაღრო და ჩახსახე, ხმა შენი მშეუნიეროა
მაულის დარეჯანისიძეთი ჯიბეს ჩაღება დანისა,
ამოღება და გამოჭრა მაგ მაგის გველეშაპისა

მართლდე, მოაგონდა ამირანს დანა, ამოიღო, გამოსტრა ქარეუცხლის მუეელი და გამოიღა, მავრამ წვერო და თმა კი გასეუციხიო. უხიშა მფხედა გაქიხაეუბელს ამირანს, გაეუცხა და დასეცინა:

ამირანი დაიბადა, ვოჭხა აქეანდა სქახლახა,
წვერო-ელეაში გასეუციხიოდა, ჩაეუარა გომარანა
[14, 316-317, ფიწვე, კახეთი]

II

...ეგ დევი რომ მოკლა, იხეე წადინენ ხანადროთო, კიდეე მიუდინენ ერთ უღაბურ აღვიღას და ხამი ეემაპი ნახეს: მაგი, წითელი და თეთრო, ამირანმა უთხრა ბიბებს, რომ ხამიეუე გაეციოთო და ვიბრძილიოთო მათ უარი უთხრეს და ამირანი თრ ეემაპს მეება. თეთროც მოკლა, წითელიც, მე გველეშაპს კი მოღალელმა ვერაფერი ვერ ექნა. ვერ შაშა ვადეელაპა ამირანი თავის თარადიოეე მამინ უსეუმა და ექახა:

დარეჯანიანთი იციან ჯიბეში დანის ღებო,
ამოიღე და და გამოიჭერ, გამოიღი ვარეღვანო.

ამირანმა მართლდე გამოიყო თავი ვეერდიდან, გამოსტრა და გამოიღა ვარეთ. გველეშაპი მოკლა, ამირანს სელ-წვერო-ელეაში გასეუციხიოდა. უსეუმა კიდეე უთხრა მამინა:

ამირანი დაიბადა, გაეღა ქოსა ქუხალასა,

წვერულებამი მოპარსიოლა, ჩალაგოლა გომარასა [9, 334, რაქა]

სასონარკვეთა და გაბუდაყება, ორთაბრძოლა და მიჯაჭვა

I

ერთი მკვდარი ღევი მოიკაეღათი. ღევის ღეღა თურსიე ურემზე ეკა და და ღევის კლაეი ძირს ქონდა ჩამოფარდნილი. ღევის ღეღამ დაქოსა ამირანს: შეილო, ღეღამეილობასაო, ეს კლაეი აუწიე და ურემზე შემოდე ისეეო. ამირანი მივიდა, ბევრი ეყადა, რომ ღევის კლაეი აუწია, მაგრამ ვერ შესძლო. ღევის ღეღამ უთხრა: შეილო, რომ არ მყოქვა შენთიენაო, მოგკლამდიო. მაგრამ რახან შეილი გიწოდე, არაუფრს გობამო. იმ ქალმა მათრახის გარით აუწია კლაეი. მამის ამირანს ძალთან შერცხეა და თავის ნათლია ქრისტეს შეეხეუწა: ასე უღონო რად ვამაჩინეო. თავის ნათლია გამოეცხადა მას და უთხრა: ღონეს მოგეკმ, მაგრამ ვერ შეიმშენიებო. ამირანმა უთხრა: შენ ღონე მომეცი და ვე მყოციო. მან მისეა ღონე ათი უღელი ხარ-კამეხისა ამირანმა შესთარა მთელი ხმელეთი, ვეღარ კმოეა თავისი ბადაღი. ამირანმა რაღა თავისი გოლი ვერ კმოეა, თვით ქრისტესთან მოსდღოსა შებმა. შერე უთხრა თავის ნათლიას: მოდი, მე და შენ დაეჭადითიო. ნათლიამც, უთხრა: მე ჩემს ყაეარჯენს დაეხომი სიწაზე, თე იმას დახირამ, მამის ვიჭადითიო. უთხრა: დაახეო, დაახე... ამირანი ბევრს ეყადა. მაგრამ სიწიდან ვეღარ მოგლიჯა. შერე ზეღეე მიაბა ამირანი ქრისტეს თავისი ჯაქეთი. შერე თავებე კაგარა გორახი დააღეა და უთხრა: ეს ღედ მთად გექეესო. ქვეშ დაიქეა ამირანი წელსწადმი ერთსეღ მას კარი ვაეღეღა და ყორანი წყალს მო ეგანს. [14, 335 მესხეთი]

II

...გზამი ერთი მკვდარი მიიქონღათი მარხილითი, ცხრა უღელი კამეხი ებათ და მაინც ძლიესა ძრადენენ. მკვდარს მარხილიდგან მკლაეი ვადმოფარდნოდა და მიწას გუთანიეთითი ხიხრიდა. მწქსარე ღეღა მკვდარს ცხენით მისდეუდა და ხელში მათრახი ეჭირა. დანახა ამირანი და უთხრა: ღეღამეილობას, ვე მკლაეი გულზე დაადეო. ამირანი მივიდა, უნღოდა, მკლაეი გულზე დაედო, მაგრამ საძრათბეე ვერ ეყო. ღეღა და მკვდრისა გაჯაერდა, გადმოსწედა ცხენიდან მკვდარს, მათრახის გარით მკლაეი გულზე შეუღო და ამირანს უთხრა: ღეღამეილობა რომ არ მეთქვა, ამ მათრახით გაგაქრეღებდიო.

ამირანი დაღონდა და დაუწყო ეღერება თავის ნათლიას-უყალსა. ამირანს გამოეცხადა უყალი. ამირანმა ხიხიეა, რთი მომეცი ღონეო, და აგრეთეე შესხიედა, რომ ერთის მკვდარს მკლაეი ვერ აუწიეო. უყალმა მისეა ამირანს კიდეე იმღენი ღონე, რამღენიე იმ ცხრა უღელ კამეხს კქონდა. გახარებულმა ამირანმა გამოსწა და, რაც ვზამს სე ხედებოდა, სულ აქეთ-იქით ისროდა მამის უყალსა ხიქვა: ეს ამიღეღა

ლონე რომ მიეყიცი, ხალხს სულ გამიწყვეტსო და გამოეცხადა ამირანს სხვა კაცად. ამირანმა უთხრა უფალს: მოდი, დამეჭიდო. უფალი და ამირანი დაუკიდნენ და, როგორც უნდა წაეყცია ამირანს, უფალი გაემეცინა და უთხრა: აი ამ ყაეარჯენს ამოკვლეჯაუო? უფალმა ყაეარჯენი დაარკო მიწაში. ამირანი მივიდა და რამდენიც ამოსწია, იმდენი უფრო მიწაში ჩავიდა. მამინ უფალმა დასწერა პირჯუარი და ამირანი ჯაჭვით დააბა და ზედაც დიდი უმარამაზარი მთა გადააფარა. [14, 277, ქართლი]

გათავისუფლების მცდელობა

I (მწყემსი)

ყოფილა ერთი მეცხვარე, რომელიც ამირანის მთასთან მისულა და უნახავს, რომ მთის კარი გაღებულია. დაუძახია ამირანს მეცხვარესათვის, მოდი ჩემთანო. ამას შემინებია, ვერ მოვალო. დიდრუანი თვალები აქვს ამირანს. ნუ გეშინია, მოდიო, უთქვამს კიდეც ამირანს. მეცხვარეს გაუბედია და მისულა. ამირანს უთქვამს: თქვენი პური ენახოთ, როგორი გაქეთო. ამირანს მოუქერია ხელი და სისხლი დაქცეულა იმ პურიდან. მერე უთქვამს: თქვენ სისხლის პურს სჭამთო. კიდეც უთქვამს: მომიტა, აი, იქ ჩემი პურიაო. თავის პურისათვის ხელი რომ მოუქერია, რძე გასვლია; რძიანი პურით ეცხოვრობ მეო. ახლა ის ხმალი მომიწიეო. ჩემი ხმალი იქაა და მე კი აქ ჯაჭვით ვარ დაბმულიო. ვერაფერი ვერ უპოვნია მეცხვარეს, რომ მეება და მით მიეწია ამირანს თავისკენ ხმალი. შენ მოვიბო. მეცხვარე მოზზია და ამირანს თავისკენ მიუწევია. კლავები რო სტკენია მეცხვარეს, უთქვამს: აბა, წადი სახლში და სახარე გყავი მომიტანეო. ქალმა თუ ხმა გაქცეს, არაფერი უთხრა, თუ არა – ჩემი კარი დაიხურებაო. წასულა მეცხვარე სახრეს მოსატანად, ჩამოუღია სახლში. ხმა არაეის არ უნდა გასცეს, მოაქვს სახრე, მაგრამ ცოლი გამოსდგომია: რად მიხეაღ, რატომ მივაქვს, კაცო, რატომ არაფერს გვეტყვიო? რა გამიჭირე საქმე, დედაკაცო, მიუბარებია ბოლოს მეცხვარეს და მამინ მთაც დახურულა. როცა მისულა მეცხვარე, დახურული დახედრია მთა. ამირანი დარჩა ისე დაბმული. ამბობენ, თუ აიშვა, მოვა ქვეყანაზე და ქალებს დახოცავს, მათზე გაჯაერებული არისო. მაგრამ ვინ იყის, ვისი ჯაერი აქვს! დაბმული კი არის მთის ქვეშ. [14, 335-336, მესხეთი]

II (მონადირე)

ერთხელ, ახალწლის წინა დღით, ერთი მონადირე მყინვარისაკენ სანადიროთ წასულა. მას აქ ჯიხვი მოუკლავს, შემოღამებია და ბინას თურმე ეძებდა. ის შესულა ერთ ღია ქოხში, სადაც დაუნახავს დაბმული უმარამაზარი ადამიანი. მონადირეს შემინებია და გამოქცეულა, მაგრამ ამირანს მისთვის დაუძახია და უთხოვნია, იქვე მდებარე ხმალი მიეწოდებინა. მონადირეს ხმალი უწევია, მაგრამ ადგილიდან ვერ დაუძ-

რავს. მაშინ ამირანს უთქვამს: მენ ხმალს ხელი მოკიდე, მე კი ხელს ფეხზე მოგკიდებ და ხმალი ისე გამოვართვითო. მონადირეც ასე მოქცეულა. ამირანს მისთვის ფეხი უტკენია და ხმალიც ვერ გამოუჩოჩებია. ახლა ამირანს მონადირისათვის უთქვამს: წადი ახლავე, სანამ ახალწელიწადი გათენდებოდეს და სახლიდან საკიდელი უმძრახად წამოიღეო, მიაბი ამ ხმალს და მას მე დაეითრეო, რომ ძაღლის ლოკიით გათხელებულ ჩემს ჯაჭვს ეს ხმალი დაეკრა და გავწყვიტოო.

მონადირე შინ გაქცეულა, საკიდელი ჩუმად ჩამოუხსნია და უკანვე გამოქცეულა. მაგრამ ცოლს ეს დაუნახავს. უკან დასდევნებია და დაუძახია, საკიდელი სად მიგაქვსო. მონადირე ძლიერ ცდილა, უკან არ მოეხედა და ცოლისთვის პასუხი არ გაეცა. მაგრამ დედაკაცი მას არ მოშვებია, სანამ პასუხი არ გასცა თურმე. მონადირე ამირანის ქოსს მიუახლოვდა თუ არა, მკედლებმა საახალწლოდ კეერები იურძქ დააკრეს. ამირანის ქოსს კარი დაეკეტა და მისი შეთხელებული ბორკილიც ისევ გასქელებულა. [14, 346, ხევი]

„ეთერიანი“

„ეთერიანი“ ცამეტი ვარიანტის საფუძველზე პირველად ქ. უმიკაშვილმა გამოაქვეყნა 1975 წელს. გამოცემელი მას „ზღაპარს“ უწოდებს („აბესალომ და ეთერის ზღაპარი ისეთი რამ არის...“) და, მართლაც, ამ ამბავს ვარიანტთა უმეტესობაში ზღაპრის სამოსელი მოსაეს თავისი ტრადიციული წინკარით – „იყო-და-არა-იყო-რა“. ზოგიერთ ჩანაწერში გაზღაპრების პროცესი ბოლომდეა მისული: ამბავი ზღაპრისული კლასიკური დასასრულით – ქორწილით და „ჭირი-იქა-ლხინი-აქა“-თი მთავრდება, რადგან არ გამოჩნდება მურმანი თავისი დაუოკებელი ვნებით და, ცხადია, არც იმ გრაგედის რჩება ადგილი, რომელიც „ეთერიანის“, როგორც სამიჯსურო ეპოსის ინდივიდუალობას ქმნის. ამ სახის, თუმცა მცირერიცხოვან ვარიანტებში, ეპოსი მთლიანად ძლეულია ზღაპრის სტიქისაგან. გაზღაპრების გენდენცია გასაგებია, რამდენადაც ეს თხრობითი ჟანრი, როგორც მისი *საკუთრება*, სხვა ჟანრთაგან ყველაზე უკეთესად მიესადაგა ხალხის ცნობიერებას (როგორც დავინახეთ, „ამირანიანიც“ ვერ ასცდა ამ გენდენციას).

მსგავსად „ამირანიანისა“, „ეთერიანიც“ პროზისა და ლექსისგან შედგება. პროზა და ლექსიც მთელი საქართველოს ფარგლებში (და მის გარეთაც) არის დადასტურებული. „ეთერიანის“ პირველი გამოცემელი წინასიტყვაობაში წერდა: „ეს ეთერიანი, შედგენილი სახალხო ლექსებისა და პირად ნათქვამობისაგან, რომელნიც დარჩენილან დღევანდლამდე საქართველოს ყველა ნაწილებში. ზემოხსენებული ლექსები და პირად ნათქვამობანი (რიცხვით ცამეტნი) ეკუთვნის შემდეგ ადგილებს: ქართლს, კახეთს, იმერეთს, სამცხეს (ახალციხის მაზრას), ხევსურეთს, ხევს (თერგისას) და ქალაქ მოზდოკს“ [3]. აქ „ნათქვამობა“ პროზაულ მონათხრობს გულისხმობს, რომელიც საკმაოდ სხვაობს ვარიანტებში. არ არსებობს კანონიკური პროზაული ხალხური ტექსტი. ლექსი კი უცვლელია და მეტნაკლებად ინარჩუნებს თავის სახეს ჩანაწერი-

დან ჩანაწერში. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პოეტური გექსტი „ეთერიანში“ პირველადია, არქეტაქულია, პროზაული კი – მეორადი, შემავსებელი. ამიგომაც ზღაპრადექვეულ ვარიანტებში პოეტურ ჩანართებს ვერ ვხედებით – ასეთია ვარიანტთა წრე I (იხ. ქვემოთ). თუმცა სხვა შეხედულებით, „ეთერიანის ეპოსის ბირთვი პროზაულია“ [8, 115] და, უფრო მეტიც, ეპოსი ზღაპრის ნიადაგზეა ჩამოყალიბებული, ანუ მისი პირველწყარო არის ზღაპარი [8, 114, 113]. ძნელია ამ თვალსაზრისის მიღება, რამდენადაც ზღაპარში, როგორც ასეთში, ვერ აღმოვაჩენთ ისეთ „ბირთვს“, რომელიც მისი სიუჟეტის გრაფიკულ განვითარებას განისაზღვრავდა ზღაპრის პრინციპული ოპტიმიზმი არ იძლევა ამის შესაძლებლობას ზღაპარი ვერ გარდაიქმნებოდა იმ ზომამდე, რომ თავის თავს დაჰრისხებოდა.

„ეთერიანის“ არაზღაპრულ წარმომიზობას ისიც მოწმობს, რომ მისი სხეულის მღვრადი ყენა – ლექსითი ნაწილი ძირითადად დიალოგურია, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ „ეთერიანის“ არქეტაქული გექსტი რომანტიკული დრამა იყო. დიალოგურობა შეიძლება მის თავდაპირველ ანგიფორურ შესრულებასაც მოწმობდეს [8, 119]. ეს დიალოგებია: დიალოგი აბესალომსა და ეთერს შორის, რომელიც მთავრდება აბესალომის ფიციო ეთერისადმი; დიალოგი აბესალომსა და მურმანს შორის; დიალოგი მარქსა და ეთერს შორის; უკანასკნელი დიალოგი აბესალომსა და ეთერს შორის. დიალოგებში ჩაბმულია ეპოსის ყველა პერსონაჟი, ვისც კი ინდივიდუალურ სახეს აგარებს. მთავარი პერსონაჟების დიალოგები იწყებს და ამთავრებს ნაწარმოებს. ლექსითი ვარიანტები ეპოსის მთელს შინაარსს მოიცავს დაწყებული სტრიქონებით „აბესალომ და ეთერი ღმერთმა შევეყარა ერთფერო“ და დამთავრებული სტრიქონებით „შენ, ჩემო მოყვრის დანაო, უბეს მიდექარ განაო, ამოვიღებ და დავიცემ მარჯვენა ძეკ ქსიანაო“ [4, N 44].

ამჟარაა, რომ „ეთერიანი“ არ არის იმ ხასიათის ნაწარმოები, რომლის სიუჟეტს ზღაპარში უნდა ეპოვა სორცმესხისა. არსებობს ვარიანტთა სხვა წრე, სადაც ეთერის წარმომიზობა არ უკავშირდება ზღაპრის სიუჟეტს და ამბავშიც არ მონაწილეობენ ზღაპრის გრაფიკული (კანონიკური) პერსონაჟები (აქი ლეღინაყვალს, კეთილს დედაბერი). ვარიანტების განსხვავებულ წრეთა არსებობა ხაკმაოდ აბუნდოვანებს „ეთერიანის“ წარმომიზობას და, კერძოდ, ეთერის, როგორც პერსონაჟის, ვინაობის საკითხს. რამელია პირველადი – „ეთერი-გერი“ თუ „ეთერი-გეიური“? ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მისი არქეტაქი საერთოდ არ არსებულა და „ეთერიანის“ ლემდე შემორჩენილი ვარიანტები ორი ერთმანეთისგან განსხვავებული წყაროდან მომდინარეობს? ახევე და-

ისმის კითხვა „ეთერიანის“ დაწყების თაობაზე. ვარიანტთა უმეტესობაში ამბავი ეთერთ იწყება (აქედან დაკანონებული სახელწოდება „ეთერიანი“). მაგრამ იპოვება ვარიანტები, არცთუ მცირერიცხოვანი, სადაც ამბავი აბესალომის სანადიროდ გასულით იწყება. რომელია პირველადი? აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ხალხური თხრობა, ჩვეულებრივ, იწყება იმ პერსონაჟით, რომელიც მთავარია თხრობაში, ანუ რომლის ამბავიც არის მოსათხრობი. და, საერთოდ, რომელია „ეთერიანში“ მთავარი გმირი? ან როგორ პოულობს აბესალომი ეთერს – ძეხნით, როგორც გაზღაპრებულ ვარიანტებშია (წრე I-II), თუ – გყეში შეხვედრით (წრე III)?

გაჩნდა არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ „ეთერიანი“ წიგნური წარმომოხიხაა. პ. ინგოროყვა „ეთერიანს“ ჩამოთვლის იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის, რომელთაგან ან ფრაგმენტებია შემორჩენილი ან მხოლოდ სახელები. „როგორც თავის დროზე გამორკეული გეჟენება, – ამ რომანიდან არის წარმომოხილი ღღემდე შენახული ხალხური თქმულება „აბესალომ და ეთერი“, – ისევე, როგორც შოთას ვეფხის-გყაოსნიდან შემდეგ წარმოიშვა ხალხური ვეფხის-გყაოსანი“ [5, 486]. მკვლევარი შეეცადა უცხოურ საკუთარ სახელთა საფუძველზე ემტიკიცებინა თავისი ვარაუდი [6, 37-9].

მთელი წყება ნიშნებისა, რომლებიც შეინიშნება მასში, შეიძლება ამხელდეს მის წიგნურ წარმომოხიას:

- ღრმა ემოციების, ჩვენს შემთხვევაში, სიყვარულის დინამიკური გამოვლენება, მაშინ როცა „ხალხურ ეპოსში სიყვარული, ჩვეულებრივ, სტატიკურ ფორმაშია მოცემული“ [1, 197]. თუ შევადარებთ, ერთი მხრივ, ამირან-ყამარისა და, მეორე მხრივ, აბესალომ-ეთერის ურთიერთობას და მურმანის დამოკიდებულებას ეთერისადმი, მათ შორის ფუნდამენტურ სხვაობას დაინახავთ. ამირანისათვის ყამარის მოპოვება საგმირო საქმეა, მისი, როგორც საჟალაენო ან მითოლოგიური ეპოსის ან გმირის, გარდაუვალი ვალდებულებაა. ამირანის მიზანი უფრო გამოსხნაა კომპი გამოკეტილი მზეთუნახავისა, ვიდრე მისი, როგორც ქალის, დაუფლება. ამირანის შემდგომ თავგადასავალში, მის მორიგ ზღურბლებზე ყამარი აღარ ჩანს. ხოლო რაც აბესალომს და მურმანს ამოძრავებთ ეთერის მიმართ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ღრმა ადამიანური სიყვარულის გრძნობაა.
- „ეთერიანის“ პერსონაჟები, განსხვავებით ფოლკლორული წარმომავლობის პერსონაჟებისგან, არაგაპიურნი, ინდივიდუალურნი და უნიკალურნი არიან. მათი სახეები არსად სხვაგან არ მეორდება. ხალხური პოეტიკისთვის კი მხოლოდ გიპიური, განმეორებადი თვისებებია ყურადღების ღირსი.

- მოქმედების მოტივირება, რაზეც აგებულია „ეთერიანის“ დრამა, პრინციპულად უცხოა ფოლკლორისთვის. ფოლკლორული გმირის მოქმედებას არა აქვს მოტივაცია. თუ ფოლკლორის გმირი სჩადის ბოროტებას, ის სჩადის მას, როგორც ბოროტების განსახიერება – სხვანაირად მას მოქცევა არ შეუძლია. ასეთი არ არის მურმანი: იგი სჩადის ბოროტებას არა იმიტომ, რომ ბოროტია, არამედ იმიტომ, რომ სხვა გამოსაქვალს ვერ ხედავს [1, 202-203].
- ფოლკლორისთვის უცხოა გმირის ფერისცვალება, როგორსაც განიცდიან ჯერ მურმანი, მერე აბესალომი. ვერ ვიფიქრებთ, – ასეთია ნაწარმოების ლოგიკა, – რომ მურმანი თავიდანვე, ეთერის გამოჩენამდე, აბესალომის ორგული ყმა ყოფილიყო.
- ხალხური ეპიკური – ზღაპრული თუ არაზღაპრული – თხრობა არ აღინიშნება მრავალპერსონაჟიანობით. არსებობს ერთი, მხოლოდ ერთი მთავარი გმირი, რომელიც ატარებს ეპოსის იდეას, ყველა დანარჩენი პერსონაჟი დამხმარენი არიან და არა თავისთავადნი. ზღაპარში მათ თავ-თავისი ფუნქციები აქვთ, რომელთაც ისინი მთავარი გმირის მიმართ ასრულებენ და ფუნქციის ამოწურვასთან ერთად უჩინარდებიან. რომ არ ვილაპარაკოთ ზღაპარზე, „ამირანიანის“ პერსონაჟებიც ასევე დამოკიდებულნი არიან მთავარ გმირზე, მათ, კერძოდ, ამირანის ძმებს, თავისთავადი არსებობა (ეგზისტენცია) არ გააჩნიათ. ისინი უჩინარდებიან, როგორც კი მათი ფუნქცია ამოიწურება. „ეთერიანში“ სამი დამოუკიდებელი, თავისთავადი პერსონაჟია (როგორც „ვეფხისტყაოსანში“, როგორც „ვისრამიანში“).
- დაბოლოს, ანალოგია კელაე „ვეფხისტყაოსანთან“ (პინგროყვას ძირითადი არგუმენტი): რომ არ შემორჩენილიყო რუსთაველის პოემა, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ ანუ „ტარიელიანი“, ისიც, მსგავსად „ეთერიანისა“, გეპირსიტყვიერი წარმოშობის ნაწარმოებად იქნებოდა მიჩნეული. ეს ირიბი არგუმენტია, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს.

ეს არგუმენტები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ „ეთერიანის“ ელიტარულ წარმოშობაზე, ანუ ჩავთვალოთ ის ე.წ. *დაძირული კულტურის დოვლათის* (Gesunkenes Kulturgut) ერთ კერძო გამოვლინებად ხალხურ სიტყვიერებაში [12, 44-5; 10, 556-7]. ქართულ ფოლკლორში ასეთებია: „ტარიელიანი“, შაქნამეს ხალხური ვერსიები „ბეჟანიანი“, „როსტომიანი“, „რუსუდანიანი“ და სხვანი, რომელთაც თავ-თავიანთი წიგნური წყაროები ეძებნებათ.

დღესდღეობით მეტნაკლებად სრული (რამდენადაც შეიძლება ჰქონდეს სისრულის პრეტენზია ხალხური ჩანაწერების კორპუსს)

გამოცემა „ეთერიანის“ ვარიანტებისა ეკუთვნის მ. ხიჭოკანს [4]. აქ თაყიმოყრილია 42 ყოლკლორული ხანაწერი საქართველოს ათამდე ეკუთხიდან.

ვარიანტები ქვემოთ ყველგან ამ გამოცემაში მისენილი ნომრით არის მითითებული.

ტექსტის მორფოლოგია

„ეთერიანი“ ორი ნაწილისაგან შედგება:

1. ეთერის ამბავი აბესალომთან ქორწილამდე.

2. ამბავი აბესალომისა და ეთერისა და მურმანისა ქორწილის შემდეგ.

არსებობს „ეთერიანის“ ვარიანტთა სამი წრე (დამატებით მეოთხე), რომლებიც ერთმანეთისგან არსებითად სხვაობენ ამბის მსოლოდ პირეულ ნაწილში, სადაც თხრობა აბესალომისა და ეთერის ქორწილამდე აღწევს. ეს ნაწილი ძირითადი ამბის (გრაჯულის) ექსპოზიციას წარმოადგენს. წრეები ერთმანეთისგან ეთერის წარმომავლობით (ვისაობით) განსხვავდებიან. ვარიანტთა ერთ წრეში ეთერი გერია (დედით ობოლი, დედისნაცელით). მეორეში დედით ობოლი (უდედისნაცელი), მესამეში გეიერი, არწივისა (ან დათვის) გაზრდილი (უდედმამის). მეოთხე წრე თხრობის დასაწყისის მიხედვით არის გამოყოფილი: აქ ამბავი აბესალომის გამოხენით იწყება.

ნაწილი I ექსპოზიცია. ამბავი ქორწილამდე.

აქ წამოიჭრება პრობლემა: რომელია თაყდაპირეული ექსპოზიცია ეპოსისა?

.. ვარიანტთა ის წრე, სადაც ეთერი გერია?

- თუ ის, სადაც ეთერი უდედისნაცელო ობოლია?

.. თუ ის, სადაც ეთერი არწივის (დათვის) გაზრდილია?

რომელი წრიდან არის ნამდვილი ეთერი?

განვიხილოთ ვარიანტთა ეს წრეები რა ეპიზოდებისგან შედგება თითოეული მათგანი (ვიმეორებთ, რომ ერთმანეთისგან მათ ეთერის წარმომავლობა განასხვავებს).

წრე I. ეთერი-გერი

ვარიანტთა ამ წრეში „ეთერი-გერის“ მთელი თაყდადასხვავალი ქორწილამდე ჯალოსნური ზღაპრის შინაარსს შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წრის ვარიანტების ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი პოეტური ნაწილების არარსებობაა. ეს მენიშნულია ლიტერატურაში [9, 12].

ის მთლიანად თხრობითია, ანუ, პ.უმიკაშვილის გერმანის თუ გა-
მოციეცნებით, „ნათქვამობისგან“ შეღვება.

ძირითადი ეპიზოდები

I. დღითი თბილი ვიერი დედინაეულის მიერ დეჩილი ვერია; მას
ქეაქს ანგაგონისტი („კერუკმირი“) დედინაეულის ასულის ხასით. რი-
მელიც მისი სრული (ფიზიკურად და სულიერ-შეუობრივად) ანგაბოლია
იგი მხოლოდ ქახიური იარაღია დედის ხელში ვიერის წინააღმდეგ,
ზოგ ვარიანტი დედინაეულის ასული ხაერთოდ არც მისაწადეობს
ვიერის ქეაქს ძროხა, რომლის ხამუალებითაც დედის ხელი შემწკობათ
უწევს მისი ცხოვრების გადამწვევებ ვაშს.

II. ვიერი ვარუთ, კერძოდ, გვიწმინდა აღმოსნდეს, რომ ბუღს
ეწიოს, რომელსაც ვანგება უმზადებს მას. დედინაეული მას ხამწვე-
სურში ვზაენს, მაგრამ ამ ვახგუქმებას ვაგვლებს ხასე აქეს. ვიერ-
გერს დედინაეული თითქოს ავზაენის გრადისეული მხელი დავალე-
ბით, რომელსაც ვიერი შემწის შემეუობათ ასრულებს.

III. შეხვედრა შემწვითან (დედაბერი). ეს არის მისი მწყალობელიც,
ეს შეხვედრა ვანხაედელია, რომლის შემდეგ ვიერი უერისცვალებას
ვანხედს. თქროსუერი თმა, რომელსაც თაქისი ხიკეთის წოდ მთა-
პიეებს, მისი მიმავალი დიდებულების პირველი ნიშანია. მაგრამ
ვარკვეულ დრომდე ეს ნიშანი დავარული უნდა იქოს, რომ დედინაე-
ლის აქმა თვალმა არ დანახოს [II, № 480] [დედინაეულის ვოვო ვერ-
უძლებს ამ ვანხაედელს და კიდევ უფრო მახინჯი ბრუნდება მის].

IV. დედის წყალობა. დედაბრის წყალობას დედის წყალობა მთა-
ეეება. ვერი, რომელშიც დედის ხელია ხახახლებული, დიკელის, მისი
ძელები ჩამარხება ხაიდუმლო ადვილას, ხადაც ვიერს დახელება
მეორეობა ხამოსელი, თქროს ქიმი და რამი [II, № 510 A].

V. ეკლესიაში. ხადელოლოდ ვამოწებითა ვიერი უქსი ასულად
ვამოწნდება ხალხში, რომელთა მორის დედინაეულიც არის თაქისი
ქალიშვილითური.

VI. ქიმი თქარება. უქანა ვზაბე ვიერის ეალი ქიმი წყალში ვქარ-
დება

VII. აბეხალომს მთარომევენ ნაპოვნ ქიმს ან თაქად პიკლომს.

VIII. მიუღი ხამეუო ებებს ქიმის პაგრონს.

IX. დედინაეული ცდილობს, თაქისი ქალიშვილი შეგვეკეთოს აბე-
ხალომს.

X. ქიმის ნამდვილი პაგრონის ვამოწენა და ცრუ ვიერის მხილება.
ამ დროს ხედებიან პირველად ერთმანეთს აბეხალომი და ვიერი. ქრო
მესხერ ვარიანტი ეს ეპიზოდი რეგარდაცულია: როგორც კი აბეხა-
ლომი დროებით დავოეებს ხადელოლოდ ვამზადებულ ვიერს. დედი-
ნაეული ვახდის მას ხამოსელს, მთაქროს თქროსუერ თმებს და თაქის
შეღს ვამოაწეობს აბეხალომისთვის, ვიერს კი თინეში წააგვებს

ეთერის წასაყვანად უკან მობრუნებული აბესალომი თონიდან ამოიყვანს ეთერს, კვლავ შემოსავს და წაიყვანს).

XI. ფიცი აბესალომისა.

XII. ქორწილი. აქ მთავრდება ზღაპარი. მაგრამ სადაც ზღაპარი მთავრდება, იქ იწყება აბესალომისა და ეთერის ამბავი. ქორწილის დროს შემოდის ახალი პერსონაჟი – მურმანი. დროებით შეეწყვიტოთ შინაარსის გადმოცემა ამ ეპიზოდზე და ენახოთ რა ეპიზოდებისაგან შედგება ვარიანტთა მეორე წრე.

წრე II. ეთერი-ობოლი (უდედინაცვლოდ)

(№ 9, ქართლი)

ქართლს გარდა „უდედინაცვლო“ ვარიანტები დადასტურებულია ფშავეში (№ № 28, 29), ხევსა (№ 33) და რაჭაში (№ 42).

ეპიზოდები

I. „იყო და არა იყო რა, იყვნენ ღარიბი ცოლ-ქმარი“, ეთერის მშობლები, რომლებიც დაიხოვნენ.

II. დედ-მამით ობოლი ეთერი მარაგზაზე გამეღელ-გამომეღელს თავს უხილავს მშობლების სულის საოხად (თანახმად ღეთისთვის მიცემული ფიცისა). ზოგიერთ ვარიანტში ეთერი თმას დედაბერს უხილავს, რომელიც ამის სანაცვლოდ ასაჩუქრებს მას.

III. სანადიროდ გამოსული აბესალომი ეთერს ხის ძირას შეხედება, ან მარაგზაზე, სადაც ეთერი გამეღელ-გამომეღელს თავს უხილავს.

IV. ეთერი თავს უხილავს აბესალომს ღეთისადმი მიცემული აღთქმის თანახმად.

V. ჩაძინებულთ ქრისტე ღმერთი დაავიროვინებს (გვირგვინებს დაადგამს თავზე).

VI. აბესალომის ფიცი.

VII. ქორწილი.

წრე I-ა. ეთერი-ობოლი (მამით, უდედინაცვლოდ)

(№ 4, ქართლი)

ეპიზოდები

I. ეთერის მამა „ძალიან ღარიბი მოხუცი კაცია“. დედა არ ჩანს.

II. ეთერი გადის სამწყესურში. ეთერი თავად სთხოვს მამას – მენახირედ გაუშვას. „დედინაცულიანი“ ვარიანტების გაგდებას აქ ნებაყოფლობითი გასვლა ენაცვლება.

III. შეხედრა გყვში. აბესალომი გაჰყვება მუქს, რომლის წყაროა მუხის ფულუროში ჩაძინებული ეთერი. ეთერი გრძელთმიანი მზეთუნახავია. ხე და გრძელთმიანობა იმ ვარიანტებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებშიც ეთერი არწივის ბუდეშია გაზრდილი (წრე III).

გრძელი თმა თითქოს მიუთითებს თავის არქექტიპზე: გყიური მმეთუნასავეის ერთადერთი სამოსელი თმაა.

IV. აბესალომის ფიცი.

V. ქორწილი.

ნრე III. ეთერი – არნივის (დათვის) გაზრდილი

(№ 13, კახეთი)

დასაწყისი აქ ზღაპრულია: „იყო და არა იყო რა...“ მაგრამ ეთერი არა ჰგავს ზღაპრის პერსონაჟს: ის არც გერია, არც ობოლი. ის უჩვეულოდ ნამობია და გყეშია გაზრდილი (გყიური).

ეკიმოდები

I. უშვილო ცოლ-ქმარი.

II. ქმარი მიდის მკითხაეთან.

III. კაცი ჰამს ცოლისთვის განკუთვნილ სამ ვამსლ.

IV. ეთერი ჩაისახება კაცის კანკში. V. მოჭრილ და გადაგდებულ კანკს არწივი თუ ორბი (ან დათვი) წაიღებს თავის ბუღემი (ბუნაგში), კანკიდან დაიბადება ეთერი.

VII. სანადიროდ გამოსული აბესალომი მუქზე მიაგნებს ეთერს (მღრ. 2, III).

VIII. მეხეედრა და აბესალომის ფიცი.

IX. აბესალომი საქორწილო (სადედოფლო) სამოსელით შემოსავს ეთერს და წაიყვანს სასახლეში.

X. ქორწილი.

ნრე IV. ამბავი აბესალომით იწყება

(№ 2, ქართლი, № 15, კახეთი)

ეკიმოდები

I. „აბესალომი მეფე იყო“. აბესალომს ესიზმრება ეთერი. კახური ვარიანტის მიხედვით, აბესალომი სურათით ეძებს დასიზმრებულ ეთერს. ეთერის წარმომავლობა უცნობია.

II. აბესალომი სანადიროდ გადის.

III. მეხეედრა აბესალომისა და ეთერისა „ამურ-წყალზე“ ან „სოფლის ბოლოს, წყლის პირას“.

IV. ფიცი აბესალომისა.

V. ეთერის შემოსვა (№ 15).

VI. ქორწილი („მეიდი ღლე-ღამე“).

როგორც ვხედავთ, ექსპოზიციის (ქორწილამდელი ამბის) ვარიანტებში მთავარი პერსონაჟი ეთერი სხედასხვა წარმომობისაა: სხეა ეთერი, როგორც დედინაცულის გერი; სხეა ეთერი, როგორც უდედინაცულო ობოლი; სხეა ეთერი, როგორც გყეში გამ-

რღილი (თუშკა აქ შემოგასილია თბლიობის ახალი სახე. სეხსგან-ციური უღელმამობით გაძლიერებულა). ასევე განსხვავებულა ამ ვარიანტებში აბეხალომისა და ვიერის მესველრის პირობები: ვიერი-გერი და აბეხალომი ვიერის სახლში ხელდებიან. თქროს ქომია მესველრის (პოენის) პირობა. უღელმამოცელო ვიერს აბეხალომი გყემი პოულობს; ასევე გყემი პოულობს არწივის (დათვის) გაბრლილ ვიერს აბეხალომი.

ნანილი 2. ამბავი ქორწილის შემდეგ

ჯერისწერისა თუ ქორწილის შემდეგ ამბის გადმოცემასი ეველა ვარიანტში ეპიზოდები ერთმანეთს არსებითად ემთხვევა. აბეხალომისა და ვიერის ამბის საკუთრივი ნაწილი სწორედ ეს არის. თუ ზღაპარი ქორწილით მთავრდება, აბეხალომისა და ვიერის ამბავი ქორწილიდან იწყება, რითაც ისინი ემოჯინებიან ზღაპრის პერსონაჟებს. სადაც მთავრდება ზღაპარი, იქ იწყება გრაფიკული ამბავი, რომელიც შემდეგი ეპიზოდებისაგან შედგება:

I. მურმანს შეუყვარდება ვიერი, რომლის ხელში ჩაგდებასათვის ემზადს მიაყიდს ხელს. ვარიანტთა უმრავლესობის თანახმად, მურმანი ჯერისწერისა თუ ქორწილის დროს მესილის თხრობაში.

II ხელმეკრელება ემზადიან. ხელის მიყიდვა (მურმანი ემზადისგან შეიკეობს ვიერის ხელში ჩაგდების ხერხს და ქორწილის ან ჯერისწერის დროს გამოიყენებს მას). ზოგიერთ ვარიანტში დედა გათლებს თავის ხელს (N 16, კახეთი).

III. სახეზე ფეგვის შეერა და ვიერის დახველება. ერთ მესხერ ვარიანტში (N 26) ვიერს ფეგვს დედინაცეალი (ზღაპარი ამ ნაწილშიც არის შემოქრული!) აერის და არა თაუად ემზადს ან მურმანი. ასე რომ, აქ მურმანი თავისუფალია ცოლესაგან. მურმანის სახე (ის არ არის ემზადისთან წილნაყარი) გაფერმკრთალებ ღლია.

IV. ვიერის სხეულება რას ნიმნავს იგი? ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, ვიერის სხეულება მოხვევებითაა. ვიერი აბეხალომს მხოლოდ ეხვევებოდა ამ სახით (N 33, ხვეი).

V. აბეხალომი გადასცემს ვიერს მურმანს, რომლის ხელში ვიერი განაკურნება. ეს ორი აქტი ერთდროულია. ხად ხდება გადაცემა? ჯერისწერის დროს, ქორწილის დროს, ბედნიერების კელმანაციაში.

VI. აბეხალომისა და მურმანის დაადლოვი. აბეხალომის ხერხს, გაავოს ვიერის ამბავი. ეს დაადლოვი (ერთ-ერთი საკუთრივი ადვალს მთელს „ვიერიანში“, რომელიც თითქმის ეველა ჩანაწერშია მესიონახული) დექსის სახით არის გადმოცემული: „მურმანი, მურმანი, მესხა მშესა, ჩემს ვიერ რა დღეშია?“ (ვარ. „მესი ცოლი რა რიგია?“). კითხვას მოსდევს მურმანის ვრცელი პასუხი: „რას კითხვობ, ეათა სწორი, ცოლის ქება აუგა...“ მურმანი აღუწერს აბეხალომს „ბროლის ცისქმს“

გამოკეტილი ეთერის სილაბაზე, რომელიც ამიერიდან მიუწვდომელია აბესალომისთვის.

VII. აბესალომი უეთეროდ - სნეული.

VIII. მურმანის გაგზავნა უკვდავების წყლის მოსაგანად ან სალაშქროდ (ძნელი დაელება). მურმანის გაგზავნის მიზანი აბესალომისა და ეთერის კვლავ შეყრაა. ერთ ვარიანტში მურმანს დასნეულებული ეთერი აგზავნის უკვდავების ქაშის მოსაგანად ფარული მოტივით, რომ დიდხნით (ან საბოლოოდ) მთარიდოს „ბროლის ციხეს“, თავად კი აბესალომის სანახავედ წავიდეს (№ 16, კახეთი)

IX. ასპარეზზე გამოდის აბესალომის და მარისი, როგორც ელჩი სნეულ აბესალომა და დაგყევებულ ვიერს მორის. ზოგიერთ ვარიანტში სნეული აბესალომის შესაიდუმლე დედაა. ფშაურ ვერსიამო ის კითხულობს შეილის სნეულობის მიზეზს:

„შვილო, ვისი გვლავს სურვილი, ძილს არ გაძინებს მძინარსა, წაველ და იმას ვიპოვნი, წყალს ჩავეღვები მძინარსა“ (№ 28)

აბესალომის დედა, ისევე როგორც დედა მურმანისა, ყველაფრისთვის მზად არის. აბესალომი აგზავნის მარებს ამ დაელებით: „ადექი. მარეს-მარსკვლავო, ეთერსა კარსა უარე. თუ გკითხოს ჩემი ამბავი, დაჯედ და წერილად უამბე“. ვარიანტებს მეორე დაე - „მარიამ-მარსკვლავი“ ან „ვარეს-მარსკვლავი“ - შემოქაყეთ. ხალხური თხრობის კანონის თანახმად, ეთერი მესამე მისელაზე უნდა წამოიყვას ელჩს. ეს სამსუცა ამგვარად შეიძლება განაწილებელიყო, რისი კვალაც შემორჩენილია ვარიანტებში: ა. „მარეს-მარსკვლავი“ მისის სამჭურ, მესამე მისელაზე წამოიყვება ეთერი. კახურ ვარიანტში (№ 14) მარესს ორჯერ უხდება ეთერთან მისელა. ბ. ეთერთან მისის ჯერ დედა, მერე დეი საოთითაოდ. ბოლო მისსელელს უნდა წამოიყვას ეთერი. სრულად არც ერთი შესაძლებლობა არ არის რეალიზებული (ან არ არის შექმნილი).

აღსანიშნავია ეთერის საყეუდური, რომელიც ყველა ვარიანტში თანაბარი მხატვრული მთლიანობით არ არის შექმნილი. ეთერი ასე მიმართავს აბესალომის გამოგზავნილს: „მარეს-მარსკვლავო, რას ბრძანებ მაგ შენის ტკიბილი ენითა, თავს გვირგვინი აისადა, სხვა დაადგა ხელითა“ (№ 14, კახეთი); „ღვთისგან დაღვმული გვირგვინი ძალით ვადივდო ხელითა“ (№ 9, ქართლი). სხვა ვარიანტის მიხედვით, ამ სიგევეს ეთერი აბესალომის მეორე დას, მარისის მიმართავს: „მარსქალო, იქით წადი, ნუ დამფერულე ენითაო, თავ გვირგვინი აისადა, სხვა დაადგა ხელითაო“ (№ 10, ქართლი). ამ ვარიანტში ეთერი უარყოფს მარეს-მარსკვლავის ელჩობას და მარი-ქალს მიიყვება აბესალომთან.

X. ეთერი მისის აბესალომთან. ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, მას მარტიოკას არ უშვებენ „ბროლის კომქიდან“ - მაზღები გამოიყვებინან (№ 16, კახეთი), ან ყველანი - „სულ თან გაყენენ“ (№ 2, ქართლი). ის ნამდვილი ჰაგიმარია.

XI. უკანასკნელი მეხვედრა. ის, რაც აბესალომსა და ეთერს შორის ითქმის მათი მეხვედრისას, არ არის ადექვატური იმისა, რასაც იგი უნდა იწვევდეს. თითქმის ყველა ვარიანტი მომაკედავი აბესალომი სთავაზობს ეთერს „გარჯისათვის“ („ჩემი ნახვისთვის“, № 19, კახეთი) ოქრო-ვერცხლს, მარგალიტებს, რაშს, მოახლეებს, ანუ მეფურ ძღვენს (№ 2, ქართლი), ზოგან – მხოლოდ ცხენს: „ეთერსა ცხენი მიართვით, გავა სქელი და მაღალი!“ (№ 14, კახეთი). საჩუქარი შეთავაზებულია თითქოს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ეთერს შესაძლებლობა მიეცეს განაცხადოს: „ეთერსა ცხენი არ უნდა, დანა უბოძეთ აღმასი“ (№ 14). ამას ამბობს, თუმცა მას თანა აქვს აბესალომის ნაჩუქარი დანა: „ეთერსა ცხენი რად უნდა, დანა უბოძე შეგარი. აბესალომის დანაო, უბეში დეუხარ განაო, ამოგიღებ და დაგიკრამ მარცხენა ძუძუსთანაო“ (№ 2, ქართლი).

XII. აბესალომის სიკედილი და ეთერის თვითმკვლელობა. ბევრი ვარიანტის მიხედვით, აბესალომი კედება ეთერის მოსვლისთანავე: აბესალომს ეთერის ფეხის ხმა ესმის მხოლოდ – „ეთერი ბანზე შემოდგა, კარი და ბანი დაიძრა“ (№ 8, ქართლი), ერთ ჩანაწერში კვითხულობთ: „აბესალომმა იცნო ეთერის ფეხის ხმა“ (№ 9, ქართლი). ეთერს ესმის მისი ნათქვამი, მაგრამ აბესალომის ყურამდე ეღარ მიდის ეთერის ქასუხი.

XIII. ორი საფლავი. ვარდი (და ია) და თასი ოქროსი. ამბავი საფლავზე ლექსად არის შემონახული და ამ ლექსს თავად ეთერი წარმოთქვამს, სანამ გულზე დანას დაიკემდეს. ეთერი თავად თხზავს თავის და აბესალომის „ეპიგრაფიას“. ზოგი ვარიანტის მიხედვით, მურმანის ბელიც ნაწინასწარმეტყველებია (№ 2, ქართლი).

XIV. მურმანის დაბრუნება და თვითმკვლელობა.

XV. მესამე საფლავი. მურმანი თავის საფლავს აბესალომისა და ეთერის საფლავს შორის გაითხრის. მასზე ეკალი ამოდის და ია-ვარდის გადახვევას უშლის ხელს. ეკალი ცოდვის სიმბოლოა (აღამის ცოდვის დაღი მცენარეზე), ვარდი – ნეტარების. ეკალი იმასაც გვახსენებს, რაც ჯვარისწერის დროს მოხდა – ეშმაკეულის შეჭრა ახალდაგვირგვინებულთა შორის სიკედილშიც მეორდება. ეკალი – არიმანის (ეშმაკთა თავადის) შურია ორმუზდისადმი. მურმანის სიყვარული ეკლად გადაიქცა.

XVI. ესქატოლოგიური ეპილოგი. „ერთი კაცი“ (მწყემსი, გამელელი, სოფლის ხალხი) ამოძირკევას ეკალს (არიმანის შურს, მურმანის დამანგრეველ სიყვარულს), რომელსაც მურმანის ძელებიც ამოჰყვებია. ია და ვარდი კვლავ ჩაეხვევიან ერთმანეთს.

ამბავი ეთერისა, აბესალომისა და მურმანისა

ეთერი-გერი

„ეთერიანში“ სამი მთავარი პერსონაჟია. უკვე ეს „სამება“ მოწმობს, თუ რაოდენ უცხო უნდა იყოს ეს ხალხური ნაწარმოები

ჯადოსნური ზღაპრისთვის, რომელიც შეჭრილა მის სხეულში, შეზრდია მას და თითქმის მის სხეულად ქცეულა. ამბავი აბესალომ და ეთერისა თავისი გრაგიკული დასასრულით საფუძელიანად განსხეაედება ჯადოსნური ზღაპრისგან, რომელსაც გმირთათვის სასიკეთო დასასრული აქვს. და მაინც, „ეთერიანის“ დღემდე შემორჩენილ ძირითად ვარიანტებში მისი ერთ-ერთი მთავარი გმირი – ეთერი ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟის ბიოგრაფიით არის წარმოდგენილი. მისი პირველი ნაწილი („ამბავი აბესალომ და ეთერისა ქორწილამდე“) მთლიანად, ყველა მისი ეპიზოდითურთ, ფართოდ გავრცელებული საზღაპრო სიუჟეტის ერთი ვარიანტია [1, № № 480, 510 A].

„ეთერიანის“ ეთერის ვინაობის გაცნობისას და გადმოცემისას ჩვენ იმედროულად ვეცნობით და გადმოცემთ ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟის – გერის ვინაობას და მის თავგადასავალს. ამ ზღაპრის გმირი – დედინაცელისგან მოპულეებული გერი – და რომანტიკული ეპოსის გმირი ეთერი ერთი და იგივე პიროვნებაა.

აბესალომთან შეხვედრამდე და ქორწილამდე მათ ერთი ცხოვრება აქვთ გაელილი.

ეპოსის ხალხურ მთქმელებს დაებადათ სურვილი, აბესალომის რჩეული ეთერი გერის სტატუსში წარმოედგინათ.

რა არის გერობაში ისეთი, რასაც ეთერის ბუნების გამოხატვა უნდა დაკისრებოდა?

ვინ არის გერი?

არსებობს წუთისოფლის ბაემეი, წერს ერთგან ნ. ბერდიაევი, და არსებობს ღეთის ბაემეი, რომელსაც „ბედი სწყალობს“ და დასაბამიერი თავისუფლებით არის დაჯილდოებული. დედა გამოხატავს ღეთის სამეფოს, ხოლო დედინაცეალი – ამ წუთისოფელს. შესაბამისად: ობოლი და გერი, როგორც ღეთის ბაემეები, არ ეკუთვნიან ამ წუთისოფელს – ისინი არ არიან მისი მკვიდრნი. ობლობა და გერობა აქ გოვებს სოციალურ სფეროს და სხვა განზომილებაში გადადის. დედინაცეალი ცდილობს, თავისი ღვიძლი შვილი, ასული წუთისოფლისა, შეუნაცელოს წუთისოფლის გერს. და საკვირველია, რომ მამა ჩუმი დასტურით მონაწილეობს ამ ბოროტეულ შენაცელებაში. გერი, მართალია, დაიბადა ამ ქოხში, მაგრამ ეს ქოხი არ არის მისი ნამდვილი სახლი, მისი სახლი სხეავან ღვას, ის სასახლეა. ასე, გადღოფლებული გერი, მაგრამ დედინაცელისგან დენილი, უფლისწულს წისქვილში შობს [11, № 403], რომლის ნამდვილი სამშობლო მეფის სასახლეა. გერის ოქროსფერი თმა, რომელსაც ის დედაბრისათვის გაწეული სიკეთის წილ მოიპოვებს,

ამის დასტური და ნიშანია. ოქროა მისი ნამღვილი ფერი, რომელიც გარკვეულ ღრომდე დაფარული უნდა იყოს, რათა თავის კაპს გამოზრწყინდეს. ღედის გამოვზაენილი ძეირფუასი შესამოსელი, ოქროს ქოში, სადღოფლო შესამოსელია, რომლითაჲც ის შედის ეკლესიაში მომავალი ქორწილის ღდის წინასწარსაუწყებლად.

გერს გზაში ეკარგება ქოში, რადგან ის ჩქარობს შინ დაბრუნებას, რომ არ გაცხადდეს მისი საიდუმლო, რადგან ღედინაცუალი ჩასაფრებულია სახლში. მაგრამ ქომის დაკარგვა ის აუცილებელი დაბრკოლებაა, რომელმაც მას სიკეთე უნდა მოუტანოს, ისევე, როგორც ღედინაცულის დავალებებმა. ასე რომ: ღედინაცუალი თავისი ძნელი დავალებით თუმცა პარადოქსად ჩანს, მაგრამ ისეთივე შემწეა მისი, როგორც ღედის სული და კეთილი ღედაბერი, რომელიც, შესაძლოა, მისი ღედის განსორციელება იყოს. ყოველი მისი მეტოქე განწირულია დასამარცხებლად, რადგან ოქროს ქოში მხოლოდ მას ეკუთვნის და სხეას არაჲის ღედამიწის გურგბე. მთელს წუთისოფელში არ მოიძებნება ასული, რომელსაც მოერგებოდა ეს ქოში. ქოში და ეთერი ერთად დაიბადნენ. მის ფესს დაჲყვა რჩეულობის ღიდება. ეთერისათჲის განკუთვნილმა ოქროს ქოშია შეიძლება მოიაროს ქვეყნიერება, მაგრამ ის კელავ ეთერს დაუბრუნდება, რადგან მისი ცალი მასთან არის, როგორც დასაბამიერი ჯიღო. და ცალი ცალს შეხდება, მიესადაგება. შეიკრება, როგორც სიმბოლო. ყოველივე ამას მოკლებულია ღედინაცულის ასული, მას არა აქვს ბედი, ის ვერ უძლებს გამოცდას: მას იმსხვერპლებს განსაცდელი, რადგან ის არ არის ღეთის ბავშვი, ის წუთისოფლის ღეიძლი და მკეიდრი შეილია.

ძირველი კონტურები გერის ბედისა მაშინ ისახება, როცა ღედინაცულისგან ღეენილი გყეში ღედაბერთან ერთადერთი სწორი ურთიერთობის (სიგყეა-პასუხისა და საქციელის) გამოცდას, როგორც განსაცდელს, გაიელის. საიდანა აქვს ობოლსა და გერს ამგეარი ქეეის გამოცილება? ცხადია, ის თანდაყოლილია. კეთილშობილება, კემმარიგად ღედოფლური, უსაზღვრო სიკეთე ღედის საშროთგანეე დაჲყვა მას. ის საჩუქარი, რომელსაც გერი ღედაბრისგან იღებს, მას დამსახურებული აქვს თავისი მაღალი წარმომობით — იგი სრულიად ბუნებრივად, ყოველგეარი ყოყმანის გარეშე იპოვებს მას. ეს მისი ბეღია.

გერი გოგონა ზღაპრის მთავარი პერსონაჲია. ეაჲი, რომელიც მოძებნის და აიჩრევეს მას, მოკლებულია თავისთავადობას მასზე არ არის შეჩერებული მთხრობელის ყურადღება. ის მხოლოდ სამუალებაა იმისათჲის, რათა გერი ეწიოს თავის ბედს. დახსნილ იქნას ამ დამყირებული მღგომარეობიდან. უფლისწული (მისი მისხელი,

მხსნელი, როგორც წესი, უფლისწულია) აუცილებლობით არის მოვლინებული გერის გადასარჩენად – მისი გადარჩენა ცაშია გადაწყვეტილი. ვერი, ცოცხალთაგან მოძულებული, თვით მშობელი მამისგანაც კი მიტოვებული, დედოფლის ღირსებაამდე აღწევს.

აქა აქვს გამართლება და საზრისი გერების ზღაპარს, რომელიც გვიმხელს იმაზე მეტს, რასაც გერის სოციალური მინაარსი ინახავს.

იმ ეარიანტებშიც კი, სადაც გოგონა არ არის გერი, არამედ მხოლოდ ობოლი და არაეინ აიძულებს მას ღირსების „დამამყიერებელი“ სამსახურის გაწევას, იგი თავისი აღთქმით ასრულებს ასეუ სამსახურს. ის თავისი ნებით გადის შარავგზაზე და გამკლავდამომეღელს თმას უხილავს დედ-მამის სულის საოხად ღვთისადის მიცემული აღთქმისამებრ. ასეთი ნებაყოფლობითი სამსახური არასოდეს რჩება საზღაურის გარეშე, თუმცა თავად მსახური არაფერს მოითხოვს სანაცულოდ. ეს ისეთი სამსახურია, რომლისგანაც არაფერს გამოუღიან. დედოფალი, როგორც მეფე, ჩამოდის გახგიდან და ემსახურება თავის ქვეშეურდომთ. ეს არის ყველაზე მაღალი სამსახური, როცა უზენაესი უღაბლესის მსახური ხდება (ამის არქიტგიი განკაცების საიდუმლოშია). ზღაპარში ობლის შესრულებული სამსახური არ არის განპირობებული მისი დაბალი სოციალური მდგომარეობით. მისი მსახურება არაჩვეულებრივი წარმომოძიხაა.

ეთერისთვის არ უნდა იყოს შემთხვევითი გერის სტატუსი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეთერის ეპიკურ ვინაობაში აქნებოდა რაღაც ისეთი ნიშანი, რომელიც სწორედ გერობას უნდა გამოსეხატა. ჩვენ ამის მხოლოდ ეარაული შეიძლება გვექონდეს.

ეთერი-გეიური

სულ სხვაა ეს ეთერი.

ეთერის არაჩვეულებრივი წარმომოძიხა თვალსაჩინოა იმ ეარიანტებში, რომლებიც არ იღებენ მასალას ჯადოსნური ზღაპრებიდან. ეისი შეიღია იგი? არაეისი. ის იბადება სასწაულებრივად, როგორც ღიონისე ბევის ბარძაყიდან. ამგვარად მობილი ეთერი განსხვავდება დედინაცულის ხელით დეენილი და შეეწროებული გერი გოგონასაგან. მაგრამ ეს განსხვავება ზედაპირულია. გერი და ობოლი ქოსში არიან დაბადებულნი და ქოსში იზრდებიან (თუმცა ფარულ ბრწყინვალეობას აგარებენ), ქოსშივე აღმოაჩენს მას აბესალომი. არწივის (თუ დათვის) გაზრდილი ეთერი კი არაიუ არ მობილა ქოსში, არამედ აღამიანთია საზოგადოებაშიც არ გაზრდილა. მას არც დედისგან (სად არის მისი დედა?) უცნაურად გამოგზავნილი ბრწყინვალე სამოსელი და ოქროს ქოსი აქვს. მისი დიდებულების ერთადერთი ნიშანი მისი ბუნებრივი თმაა. ეთერი

ტყეშია გაზრდილი და გყეშიეუ წააწყდება მას სანადიროდ გამოსული აბესალომი. ამრიგად, ეს ეარიანტი საგრძნობლად შეკუმშულია. გზა ეთერისა თაეისი ადგილსამყოფლიდან მეუის სასახლემდე უკიდურესად შემოკლებულია. მაგრამ რაოდენ ვრძელია გზა იმისათვის, ვისაც არასოდეს უნახავს ადამიანთა საზოგადოება! მან უნდა დაძლიოს ის მანძილი, რომელიც ძევს გყიდან სასახლემდე.

ამ ეთერის სილამაზე პირველქმნილი, ბუნებრივი სილამაზეა, რისი ნიშანი ვრძელი თმებია, ეთერის ერთადერთი შესამოსელი; მას ესაჭიროება შემოსვა და აბესალომი შემოსავს კიდევ მას; შემოსავს, რათა შესაძლებელი გახდეს მისი სასახლეში შეყვანა. ამავე დროს შესამოსელი აბესალომის ძღვენია, სასძლოსათვის თითქოს საქორწინო ნიშნად მირთმეული, ანალოგიურად დედისაგან ნაწყალობევი საჩუქრისა, როგორც მზითვისა. იმ ეარიანტში, სადაც ეთერი არწივის გაზრდილია, გამზრდელი არწივი იტაცებს მისთვის შესამოსელს და მოსავს მას.

სოციალურ დაპირისპირებას, რომელსაც გაზღაპრებულ ეარიანტებში ქმნის ეთერის წარმოშობა, ანუ დაპირისპირებას ქოხსა და სასახლეს შორის, ეარიანტთა ამ წრეში ენაცულება დაპირისპირება გყესა და სასახლეს შორის. თაეისთაეად ეს არის კერძო შემთხვეეა უუნდამენტური დაპირისპირებისა ბუნებასა და კულტურას შორის, რაც შეიძლება ლეთის ქმნილებასა და ადამიანის ქმნილებას შორის დაპირისპირებაში გადაიზარდოს. აქ ერთმანეთის პირისპირ დვანან არა მხოლოდ ეაეი და ქალი, არამედ არსებანი, რომლებიც ყოფიერების განსსეაეებულ სფეროებს ეკუთვნიან.

აქ ისეთივე დაპირისპირებაა აბესალომსა და ეთერს შორის, როგორც „ვილგამეშიანის“ შამხათსა და ენქიდუს შორის, ოღონდ როლები შეცვლილი აქვს ქალ-ეაეს: თუ „ვილგამეშიანში“ ენქიდუ ეაეი ბუნებას განასახიერებს, შამხათი-ქალი – კულტურაა, რომელიც ურბანისტულ ცენტრს წარმოადგენს, „ეთერიანში“ – ქალია ბუნება, ეაეი – კულტურა. საგულისხმოა, რომ შეხვედრა ქალ-ეაეს შორის სანადირო ადგილებში ხდება, როგორც ჩვენს, ისე აქადურ ეპოსში. როგორც „ვილგამეშიანში“ უსახელო მონადირე გადის სანადიროდ უდაბნოში და მიჰყავს ქალი შამხათი, ურუქის კულტურის გამომხატველი და მატარებელი, რათა ეელური ენქიდუ შეიგყოს ურუქში, ამიაროს მის საზოგადოებას, კულტურას, ასევე იქეეეა აბესალომი.

გაუხედნელი და გახედნელი – ეს დაპირისპირებაც ერთი კერძო შემთხვეეა იმ ძირეული დაპირისპირებისა, ბუნებასა და კულტურას შორის რომ არსებობს. პომეროსი გაუხედნელს უწოდებს ქალწულს, რომელიც არ შეგბულა საქორწინო უღელში. ნიშანდობ-

ლიეია, რომ საცოლის მოპოვება გყეში ხდება: აბესალომს ეთერი მიჰყავს სასახლეში, როგორც ნანადირევი, მონადირეული. ბუნებრივად ქლერს საქორწინო სიმღერა:

მოედეარო, მოგვისარია,
მოგვეყავს დედალი ხოხობი...

ეს, შესაძლებელია, აბესალომის სიმღერა ყოფილიყო, როგორც მონადირისა – მასში ერთიანდება მეფე და მონადირე. მონადირე ხომ, ჩვეულებრივ, იმაზე მნიშვნელოვანს მონადირებს, რისთვისაც სანადიროდ გადის (მღრ. ჟარნაეაზის აღმოჩენა გვილისის ღირღალებში, მირიან მეფის განსაცდელი თხოთის მთაზე).

მურმანი

„ეთერიანის“ სპეციფიკას, მის ინდივიდუალობას, როგორც თქმულებისა, ქმნის მურმანი. მის გარეშე აბესალომისა და ეთერის ამბავი ზღაპრად დარჩებოდა. მას გაჰყავს ზღაპრის სიერციდან ეთერი და აბესალომი. იგი უხსნის მათ გზას სხვა დასასრულისკენ. მურმანია, რომელიც ეშმაკის მანქანებით გარდაიქმნის თავს ჩვენს თვალწინ და გარდაქმნის აბესალომსაც, მეუცელის ადგილს ეთერსაც. მურმანის ტიპი უნიკალურია ქართულ ფოლკლორში, მის გამო ეთერიც და აბესალომიც იძენენ უნიკალობას და ისინი ერთგვარად ახალი, მოულოდნელი სახით წარმოგვიდგებიან. მათი ნამდვილი, საკუთრივი ცხოვრება მურმანის გამოჩენით იწყება. მურმანი არ არის უბრალო ანტაგონისტი, რომელიც ჯადოსნურ ზღაპარში გამოჩნდება ხოლმე მთავარი გმირის გზაზე. მას თავისი მკვეთრი ინდივიდუალობა, თავისი შინაგანი სამყარო, თავისი ცხოვრება, თავისი მიზანი აქვს. ის დამოუკიდებელი პერსონაჟია, ის თითქოს აბესალომის ყმაა, მაგრამ ეთერის „მოპოვების“ შემდეგ არც ყმას ჰგავს – ის სრულიად ავტონომიური ხდება თავის სამფლობელოში. სადაც აბესალომს ვერც კი მიესვლება.

მურმანი, თუ ზღაპრის ეთოსიდან გამოვალთ, დედინაცელის ასულის ერთგვარი გამოძახილია: თუ ეთერის გვერდით არსებობს ცრუგმირი (*ყრუეთერი*), რომელსაც ეთერობას აკისრებენ, აბესალომსაც აღმოაჩნდება ცრუგმირი (*ყრუაბესალომი*) მურმანის სახით. მურმანის სიყვარული „ძლიერია სიკედლილივით“, და მური მისი „სასტიკია ჯოჯოხეთივით“ („ქებათა ქება“). ასეთი სიყვარული უჩვეულოა ზღაპრისათვის და სამოგადოდ ფოლკლორული პროზისათვის. ის გულისხმობს პიროვნებას, ინდივიდუალობას, რაც ასევე უცხოა ფოლკლორისთვის. მურმანი სიყვარულისათვის სულს მიჰყიდის ეშმაკს, მიჰყიდის იმას, რაც მისი ერთადერთი განუყოფელი საკუთრებაა. სულს გასცემს იმის სანაცვლოდ, რაც მას არ

ეკუთენის და კანონიერად ვერ მოიპოვებს. აქ პრობლემა იმდენად მსუბუქი არ არის, რამდენადაც ეგზისტენციალური. სიყვარულის საგნის მოსაპოვებლად მურმანი მზად არის „სხეად“ იქცეს, „გარდასხეაუდეს“, რადგან ისეთი, როგორც ის „ამჟამად“ არის, ვერ დაუფლება ვიერს. ის უსათუოდ ეშმაკთან უნდა იყოს წილნაკარი, რომ შეუძლებელი შეძლოს: დაეპატრონოს იმას, რაც მას არ ეკუთენის. აქ შეიძლება გავისხენოთ წმიდა საგანძურის მითოსი: როგორც განძის მპარაიე ხდება „ანტიმისხვერპლის“ შემწირველი უსურმაგი ცხოველის სისხლს მიახსურებს განძს, რაათა წაართვას მას მისი მყარეული სიწმიდე და უცნებელ-კაცის ხელყოფისათვის [7, 253]. ასე იქცევა მურმანიც: ჟეგეი მის ხელში ის მაგიური სამუქალე-ბაა, რომლითაც იგი სახეს უცელის ვიერს, რაათა თავისთავის, როგორც აწ უკვე ეშმაკეულისთვის, ხელმისაწვდომი გახადოს.

მურმანი-ყმა ვიერის ხელში ჩაგდებათ არ შეიძლება, არ განსიყ-დიდეს უპირატესობას, მაგრამ ეფემერულს, უვიეროდ დარჩენილი აბესალომის მიმართ, უვიეროდ, რომელიც მისი სიცოცხლის მი-ზანი იყო. ის გამოიხატება თუნდაც მიმართულებაში „რას კითხულობ, ცათასწორო...“ ეს უპირატესობა უნდა ქბადებდეს ყმაში *ქებრისს* და, საბოლოოდ, მცდელობას იერარქიული თანასწორობის მოპო-ვებისა. ის ვიერმა უნდა აიყვანოს აბესალომის საყვებურზე (რო-გორც თინათინს აკყავს ავთანდილი გახტზე, ან ნესტანს გარიუ-ლი). მაგრამ ვიერი არ ნებდება მას, ვიერი არ არის მისი, ის მაინც აბესალომისაა. სული - anima, რომლითაც ის ვიერის სიყვარულს მოიპოვებდა, გაყიდილი აქვს და ვედარახოდეს დაიბრუნებს. მას აღარ გააჩნია სულის ის უნარი, რომლითაც შესაძლებელია სიყვარ-ული. როგორც აბესალომია ღვთის ფიცით სამუქალმოდ შეკრული ვიერთან, ასე მურმანია სამუქალმოდ შეკრული ეშმაკის ფიცით. ამის შემდეგ მას არ უნდა უკვირდეს, რომ ვიერის დაუფლება მას არ შეეძლება. „შენი ბრალია, ვიერო, მზის ქონით ჩრდილში ბერება, შენ ამიკრძალე ის წესი, რაც ცოლ-ქმართ შეეფერება“. წუხს მურმანი. ვიერი მისთვის კელაე მიუწვდომელია. მურმანი ცოცხლიე ჯოჯოხეთშია: წეავს სურვილი, მაგრამ ვერ ისრულებს საწადელს. ფლობს განძს და ვერც ფლობს, ვერ გკბება მისი ქონე-ბით, რადგან სული დაკარგული აქვს.

რა შერჩა მურმანს? *ქებრისი*, სიამპარგაენე, არ არის შემოსიყ-ვითი, რომ აბესალომ-მურმანის დიალოგში აბესალომი „ცათას-წოროდ“ იწოდება ყმის მიერ. „რას კითხულობ, ცათასწორო...“ პასუხი, ამაპარგაენულია, მაგრამ ის გამოხატავს ობიექტურ მდგო-მარეობას: აბესალომი ცათასწორია. მურმანი ვერ მოიგაყვებს აბე-სალომის ამ ღირსებას, როგორც ეშმაკი ვერ შესწვდება ცას. არსე-

ბობს ჩანაწერი, სადაც აბესალომის საკუთარი სახელი „ცათას-წორია“. მურმანმა იცის, რომ ცათასწორს ვერ გაუსწორდება და ეს არის მისი ბედისწერა.

არის კიდევ სხვა ნიშანი *ქუბრისხისა*. მურმანის „ბროლის ციხის“ აღწერილობა მიგვანიშნებს, რომ მურმანი, მსახური, გამზადებულია მეფობის მისაგაცეხლად. ის ყველაფერს ფლობს, რომ შეიქნას მეფე, გარდა ერთისა, რომელიც გადამწყვეტია: ეს არის ეთერი. მისი დაუფლების გარეშე ის მეფობის მარადი მაძიებელი ან უბურჰაგორი იქნება (ამიტომ ვერ ეუფლება ინდოეთის გახგს უნესგანოდ დარჩენილი გარიელი). მას აქვს ციხე, მაგრამ არ აქვს დედოფალი. რომელმაც ეს ციხე სამეფო სასახლედ უნდა აქციოს. თუმცა გახგის დაუფლება არ არის მურმანის მიზანი – ის მიჯნურია ანუ სიყვარულით შეპყრობილი, როგორც გარიელი, რომელსაც ნესტანის გადაკარგვის შემდეგ აღარ გახსენებია თაყისი კანონიერი უფლება სამეფოზე.

„ბროლის ციხეს“ აქვს სხვა ასპექტიც. მის შენებაში მქდაწვდება *ქუბრისხის* უკიდურესი სახე, უარუხი, ვიდრე ამქვეყნიერი სიუბურუნის მიმართ ამპარტაყენობა და ჯანყის სამზადისია.

„კარვად იცი, ბროლის ციხე
როგორ ცამლი მაღალია...“

„ბროლის ციხის“ დახასიათება - „ცამლის მაღალი“, „ცას წვეერი მიუბჯენია“, „წვეერი ცამლის მაღალია“, „ცის წვეერამლი ამიგია“ მოწმობს მისი ამშენებლის ამპარტაყენობას არა მხოლოდ თაყისი სიუბურუნის მიმართ, არამედ ჯანყსაც ცის წინააღმდეგ. „ბაბილონის გოდლის“ ამ მითოლოგემას ქართულ ფოლკლორში გამოძახილი აქვს: „ცამლის მაღალი“ ციხისა თუ კოშკის მამშენებელი ღვთის რისხვას დაითევინ“ [7, 176]. ასევე მერისხულია ღვთისაგან მურმანიც: ეშმაკისათვის სულის მიყიდვა და „ცამლის მაღალი ციხის“ აგება უღვთო საქმის ორი, ერთმანეთის შემაჯებელი, გამოსატყუებაა.

არსებობს მურმანის ვინაობის განსხვავებული ინტერპრეტაცია. კითხვა ასეა დასმული: როგორი უნდა ყოფილიყო ლიკურატურული „ეთერიანი“ და მისი გმირი მურმანი? რ. ჩხეიძე [9] ამოდის რა ძირითადად სწორი უარაუდიდან, რომ „ეთერიანის“ ეპიკური სხეული დაზიანებულია, ასეცნის, რომ „ყველაზე ძლიერ ალბათ მურმანის სახე დაზიანდა“. იგი ხალხური ექსიციების წერილობით დედანში უარაუდობს მურმანს, როგორც „ღირსეულ პიროვნებას“. ფაუსტის მონათესავეს, ვისთვისაც „სიყვარულის სრულყოფილი განცდა“ სამყაროს საიდუმლოთა შეცნობის გოლფასია, ადამიანს, რომელიც „ამაღლებულ მიზანს მიეღგვის“. გმირს, რომელიც „იქნებ უშუალოდ შეება გველემას, იქნებ სიკვდილის წყლები

გადალახა“ და ა.მ. მაგრამ, ვიკითხოთ, თუ არსებობენ ფოლკლორში ან ლიტერატურაში ამგვარი ეკლექტური გმირები? თუ არის წარმოსადგენი გველეშაპმებრძოლი გმირი, ქალწულის გამომსხნელი, რომელიც სიყვარულის მოსაპოვებლად, გამოსხნილი ქალწულის გულის გასადებად სულს უთმობს ბოროტეულს, რომელიც წესით მისი ანტაგონისტი უნდა იყოს? ან თუ ჩანს რაიმე კვალი ხალხურ ჩანაწერებში მურმანის ფაუსტური ძიებისა?

გარდა ამისა: სიყვარული ღრმადპიროვნული გრძნობაა, მითოსური გმირის შინაგანი სამყაროსგან იგი შორს არის. გველეშაპმებრძოლნი სიყვარულისთვის არ იბრძვიან, არც ამირანი იტაცებს სიყვარულისთვის ყამარს.

თუ მიზნად დავისახავთ მურმანის რეაბილიტაციას, — „აღამიანი, ვისაც ასეთი სიყვარულის უნარი შესწევს, შეუძლებელია დაცლილი იყოს სულიერებისაგან“, ამისათვის სრულიადაც არ არის აუცილებელი მისი გადაყვანა საპირისპირო ეანრში, მისი პეროიზაცია ან ფაუსტურ პარადიგმაში ჩასმა იმ პერსონაჟის სახით, რომელიც სიყვარულში ეძებს წუთისოფლის საიდუმლოს ამოცნობას. ბოლოს და ბოლოს, მურმანი მხოლოდ ნაწარმოების გმირია, ის „ტექსტის გყვეა“ და არა რეალური პირი, რომლის შინაგან სამყაროში ახალ-ახალი მოულოდნელი თვისებების აღმოჩენა შეგვეძლოს. მისი ამბავი ჩვენ ერთადერთი წყაროდან — ხალხური ჩანაწერებიდან ვიცით და უფლება არ გვაქვს, არ მივიღოთ ის განაჩენი, რომელიც გამოგანილია მის მიმართ და ჩაწერილია მის ტრაგიკულ ბიოგრაფიაში — ტექსტში. საეპეოა, ლიტერატურული „ეთერიანის“ ავტორს სხვა განაჩენი გამოეგანოს მისთვის. თუმცა „თანაგრძნობაც“ შეიძლება და „გულწრფელი სიყვარულიც“ (როგორც ჯონ მილტონის „დაკარგულ სამოთხეში“ მოჯანყე და დაცემული ანგელოზის მიმართ), რადგან სამუდამოდ დაიღუპა აღამიანის სული, ჩასაფრებულმა მტერმა იგივეა ღვთის საგზე გამარჯვება. მაგრამ არც ჩვენი სინანული, არც თანაგრძნობა არაფერს შეცვლის მის ბედში, რადგან თავად არა აქვს სინანული. ხალხური ვერსია ჩვენ გვაფრთხილებს მურმანის მაგალითით. თუმცა ის არ ეწევა მიშველ მორალიზებას, არ გვასწავლის ჭკუას. ის გვაფრთხილებს სწორედ ისე, როგორც ღვთის ხმა აფრთხილებდა პირველ კაცისმკვლელს: „ყოდეა ჩასაფრებულია კართან: შენკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე“ (დაბ. 4:7). თუ ეს სიტყვები არ გაუქმებულა არათუ ამ ჩვენს ყოელისდამტვე და ყოელისმოსალოდნელ საუკუნეში (ერონში) ცოცხალი აღამიანების მიმართ, არამედ ტექსტებში, სიუჟეტურ დროში ჩაკეტილთა მიმართაც, მაშინ თუ ეყოფა

ვისმე მორალური ძალა, შეეცადოს მურმანის აპოლოგიას იმ არგუმენტით, რომ მას „ასეთი სიყვარულის უნარი შესწევს“?

რ. ჩხეიძე ფიქრობს, რომ გარდარეულ სიყვარულს შეუძლია გამოისყიდოს დანაშაული, რომელიც ადამიანმა ჩაიდინა სულის წინაშე. მაგრამ თუ სული დაიდუპა, როგორღა იცოცხლოს სიყვარულმა? სული, რომელიც არის ღვთის ნაპერწკალი ადამიანში, ხოლო „ღმერთი არის სიყვარული“? და „რაი მისცის კაცმან ნაცულად სულისა თვისისა?“ (მ. 16:26).

ბოლოს და ბოლოს, ის საეპარაულო თხზულება, დავარქვათ მას „ამბავი მურმანისა“, თუ ის შუასაუკუნეებში დაიწერა, ხომ ქრისტიანულ მნებობრივ და ესქატოლოგიურ მრწამსზე იქნებოდა დაფუძნებული. ანალოგიისთვის არ გამოდგება ჯ. მილტონის „დაკარგული სამოთხე“, სადაც მოჯანყე ანგელოზი რეაბილიტირებულია, შეწყალებულია ადამიანის მიერ. მისი ავტორი „უგებს“ მას ადამიანური პოზიციიდან. მაგრამ ეს ნაწარმოები არ ეკუთვნის შუასაუკუნეებს, ის პროტესტანტული ეპოქის ნაყოფია, რომლის მსგავსი არ შექმნილა აღმოსავლეთ საქრისტიანოში.

ემმაკისტვის სულის მიყიდვის აქტის მნებობრივი შეფასება მხოლოდ ქრისტიანობაშია შესაძლებელი. ამ აქტში, რომლის ძალითაც საბოლოოდ დაიდუპა სული, შეუძლებელია ღირსების რაიმე კვალის დანახვა: „ღირსების ის სხივი, რასაც მურმანს საკუთარი სულის გაწირვა სძენს...“ თითქოს ეს *საკუთრება* ჩვენი მოპოვებული იყოს, რომ შეგვეძლოს მისი გაწირვა. ან თითქოს აქ მურმანის საქციელში იგულისხმებოდეს მოყვასისთვის სულის (სიცოცხლის) გაწირვა, რასაც ქრისტე სიყვარულის უმაღლეს გამოხატულებად უთელის ადამიანს. „უფროის ამისა სიყვარული არაეის აქვს, რაითა სული თვისი დადევას მეგობართა თვისთათვის“ (ი. 15:13). თუ უღვეს წილი აქ ნახსენებ სიყვარულს იმ სიყვარულთან, რისთვისაც მურმანი სწირავს თავის სულს? ან ამ გაწირვას თუ აქვს რაიმე საერთო იმ თავგანწირვასთან, რასაც მაცხოვარი ახსენებს ადამიანს? (ისიც უნდა ითქვას, რომ აქ „სული“ ნიშნავს არა იმ ნაწილს ადამიანისას, რომელიც შეიძლება ემმაკის კერძი გახდეს, არამედ სიცოცხლეს).

მურმანი უკვე, *ღღესვე* (ემმაკეული ვადის გასვლამდე) ჯოჯოხეთშია: ნდობა აქვს, სწევას სურვილი, მაგრამ ვერ ეწევა სურვილს... ემმაკმა გააყურა მურმანი. სული გამოსცეუა, სიყვარული კი ვერ მოაპოვებინა, რადგან ემმაკი ის არსება არ არის, რომელსაც სიყვარულის გაცემა შეეძლოს. მურმანის სურვილი განუხორციელებელი რჩება. ეთერი მისთვის სიკედილშიც მიუწვდომელია. მის საფლავზე ამოსული ეკალი უსიყვარულობის ნიშანია. ეს არის

მურმანის ტრაგედია, რასაც არაფერი ეშველება: ფლობს განის და ვერც ფლობს.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას ასეთ მურმანზე. — სხვა მურმანს კი არ იცნობს ფოლკლორი, — რომ მან „სრულყოფილად განიცადა სიყვარული“ [9, 49].

აბესალომი

იმ დიალოგის შემდეგ, მას მერე, რაც მურმანისგან აბესალომმა ეთერზე მოისმინა — მის სიმრითელზე, სილამაზეზე და მიუწვდომლობაზე, რომ ეთერს ბროლის კომკში დაუბრუნდება თავისი სილამაზე, რომელიც საქორწილო ტახტზე მჯდომარეს ფეკეკა დაუფარა, როგორც ადრე კონკები ფარაედა, — აბესალომი სწეულდება. ის არ ჰგავს იმ აბესალომს, გალაღებულს, სანადიროდ გასულს, ეთერის მომნადირებულს. ახლა ის სწეულია მიჯნურობით, საწადელის მიუწვდომლობით, სასურველის „ეერ-მისელომისა წყენითა“. სად არის გამოსაეალი, ხსნა, განკურნება? ერთადერთი, რასაც ამ დროს გრადიციული ეპოსი და ცხოვრება სთაუაგობს სასომისდომ მიჯნურს, სასურველის მოგაცებაა. მაგრამ „ეთერიანში“ ეს არ სერხდება. ეპოსი საბოლოოდ ემიჯნება ზღაპარს, სადაც გასაჭირში ჩაეარდნილ გმირს შეესეულად ეელისება შემწე. აბესალომს არ გამოუხსნა შემწე, რომელიც მას მოაგაეეხისებდა ან თაეად მოუგაეეხებდა ეთერს.

წუთისოფლის ტყეში აბესალომმა აეოეა თავისი ეალი ანისა. მაგრამ დაეარგა იგი. და მისი ეს მღვომარეობა გრადიციულია: სეობდა, ეეელაფერი სიზმარი ეოფილიყო! აბესალომი გეისეეეებს ანისა-დაეარგული ადამიანის სახეს. ის განახეერებულია, ის ეალია მსოლოდ და, როგორც მსოლოდ ეალი, განწირულია დასაღეეეეად. ის გარიელის მღვომარეობაშია. გარიელმა იეის, რომ არსებობს ანისა, მაგრამ არ იეის მისი ადგილსამეოფელი, მისი მოეეეების გზები და იგანეება. აბესალომმა თუმეეა იეის ეთერის სამეოფელი, მაგრამ მას არა აეეს მისი დაბრუნების სახსარი და ეელება. ნესგანი და ეთერი — ორიენი მიუღვომელ კომკში არიან სასიძოს მოლოდინში გამოეეეილნი. ორიენი უნდა მოელოდნენ მსსნელს. მართალია, ნესგანის წერილი იუწეება, რომ მას იმედი არა აეეს ამ წუთისოფელში გარიელთან შეეედრისა, მაგრამ ეპოსის ლეიკით. იგი გარიელმა უნდა იხსნას. ეს მის ბელშია ჩაწერილი. მაგრამ რა ღღეშია ეთერი? ეთერიე ელის მსსნელს, მაგრამ მას, ეინე მსსნელი უნდა იეოს, არ ეალეეს მისი გამოსხნა „გარდაეეეული“ მურმანის კომკიდან. ის თუმეეა არ მღებარეობს საღდაე დასაეარგაეეში, არამედ აეეეა, მისი სასახლის მეზობლად, მაგრამ ეს მეზობლობა. ეს

სიასლოვეა სწორედ, „სიმორის სიასლოვე“, რომ აახკევებს აბუ-სალომის მწუხარებას, თვალნათლივ აჩვენებს რა მის უძღურებას.

ასეთი უძღური იყო დიღხანს გარიელი და დასასრული არ უჩანდა მის ურვას. ის დაღუპული იყო ამ უსასრულო წეხილში. ამ უდაბნომ, ამ კიდევანობამ, ამ სულიერმა დეკრესიამ მის ყოველდღიურ ყოფაში დაისადგურა, შეიქნა მისი წეხი ცხოვრებისა, რომელიც მისი ბუნება ხდებოდა, რომ აეთიანდის არ მოესწრო.

გარიელს გამოუჩნდება შემწე, რომელიც მის ნაცვლად ეძებს მის დაკარგულ საგროს. ის აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც გარიელს თავის მდგომარეობაში არ შეუძლია.

ერთადერთი შემწე, ვინც უნდა შეწყვიდა აბესალომს დაკარგული ეთერის დასაბრუნებლად (წარმოვიღვინოთ, რომ ის ქაჯებს ჰყავს მოგაცეხელი). სხვა ვინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა მკრმანი. ის არის მისი ყმა, ქვემეყრომი, ვეზირი, ვეზირმა უნდა ემელოს მას სიყვარულში, რადგან მუყის სიყვარული და ყველაფერი, რაც მას მოსდევს, როგორც შედეგი (ქორწილი, ძეობა). სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენებია და ძალა ღვას ვეზირის პირადულ ბედნიერებაზე.

მაგრამ ვეზირი აბესალომისა არის მისი უბედურების წყარო. თუ ზღაპრის ენით ვილაპარაკებთ, მურმანი აბესალომისთვის ცრუგმირია, რომელიც იტაცებს შთაუარი ვმირის მონაპოვარს და სურს, მისი პიროვნებაც მიითვისოს. მურმანი ანტიგმირია: გრადიციული ეპოსის კუთხიდან თუ შევხედავთ მის საქციელს, ის სწადის იმის საწინააღმდეგოს, რასაც ვმირი უნდა სწადიოდეს. ვმირი უნდა ათაეისუფლებდეს კომკიდან მჭეიუნსახავს, მურმანი კი ამწყვედევს მას. გყვე მოელის მხსნელს და მხსნელიც თავის ღრობე მოველინება მას. ეს გარდაუვალი წესია. მაგრამ „ეთერიანი“ იმით არის განსაკუთრებული, რომ ის არღვევს ამ წესს: დაგყვევებულ ეთერს არ ჰყავს გამომხსნელი. მეტიც: ის ნამდვილად არ მოელის მას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მურმანმა ემპაკის შემწყობით არა მხოლოდ ეთერი დააზიანა, არამედ აბესალომაც. ეთერთან ერთად აბესალომს წაერთვა მხსნეობაც. წაერთვა ის, რასაც რუსთაველი ერთ-ერთი პირობად უყენებს კემპარიც მიჯნურს: „დათმობა, მძლეთა მებრძოლია მძლეობა“. აბესალომი აღარ არის ის მიჯნური, რომელსაც სიყვარულის ძალა აძლევს საგმირო აქტის ჩადენის სტიმულს. ის დაძაბუნებულია ხორციელად და სულიერად. ეს სიძაბუნე, შეიძლება ვიფიქროთ, ემპაკური ქმედების შედეგია.

რაგომ მოხდა ასე?

ასე მოხდა, რადგან აბესალომი დააკცა, თუმცა თავისდა უნებურად, ემპაკის ნებას. თავისი არჩევანით საშუალება მისცა ემპაკს

მისი ჯოჯოხეთური გეგმის განსახორციელებლად. „ვის გინდათ ქალი ეთერი?“ – სწორედ ამ სიტყვებს, რომლებიც აბათილებენ გყვმი მიცემულ სამინელ ფიცს, მოელოდა მისგან ეშმაკი. აბესალომი არ არის ეშმაკის გყვე, როგორც მურმანი, მაგრამ ის დასჯილია იმისათვის, რომ არ ეყო თმენა ეშმაკის განზრახვის ჩასაფურშავად. ეს იყო ჩავარდნა აბესალომის ნებაში. მურმანის ხელით შემოდის განსაცდელი აბესალომისთვის. განსაცდელის წინაშე ღვას არა მხოლოდ მურმანი, რომელსაც, როგორც თავისუფალი ნების მაგარებელს, შეეძლო უარი ეთქვა ეშმაკის რჩევაზე, არამედ აბესალომიც, რომელსაც ასევე შეეძლო არ დაეთმო ეთერი. მაგრამ აბესალომი თმობს ეთერს, განსაცდელში მარცხდება იგი და ამის გამო გყვმი წარმოთქმული ის ფიცი დამოკლეს მახვილივით დაღირებულია მის თავზე. აბესალომს არა ჰყავს აეთანდლილი, მაგრამ მას ჰყავს მარეხი, რომელიც ასმათობას უწევს მას. მაგრამ ასმათი უძლურია აეთანდლის გარეშე. ასევე უძლურია მარეხიც, მაგრამ მას არ შეიძლება ჰქონდეს ვინმეს იმედი. რა შეუძლია მარეხს? მას მხოლოდ ის შეუძლია, რასაც იგი სჩადის აბესალომისთვის: მას მხოლოდ მიაქვს მისი სიყვარულის ამბავი ეთერთან. მარეხი შუამავალია ანიმუს-სა და ანიმა-ს შორის.

ესქატოლოგიური შეხვედრა

აბესალომი და ეთერი შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს შეხვედრა არ ჰქავს სამიჯნურო შეხვედრას. აბესალომი განწირულია, ეთერის ნახვა ვერ განკურნავს მას. რატომ ხდება ასე? მხოლოდ იმიტომ, რომ ეთერს დაუგვიანებია? „ძმაო, მოვიდა ეთერი, თულა გაქ თვალში ნათელი!“ მომაკედავი პასუხობს: „მოვიდეს, თულა მოვიდა, არა მაქვს თვალში ნათელი“ (№ 5, ქართლი). ჩანს, ეთერის შუქმაც, ერთ დროს მუხის ფულუროდან რომ ანათებდა, ვერ იხსნა იგი. ისიც ჩანს, რომ ხსნას აბესალომი საჭიროებს, არა ეთერი. რა შეიძლება ითქვას ამ დამასრულებელ ეპიზოდზე? ეთერი ბრუნდება აბესალომთან, მაგრამ აბესალომი კვდება. სიცოცხლეში შეუყრელნი სიკვდილში შეეყრებიან ერთმანეთს. რატომ ხდება ეს? ნუთუ ისე ღრმად შეაღწია ეშმაკის მანქანებამ ადამიანის ყოფაში, რომ სიყვარული უძლური აღმოჩნდა მის წინაშე და ვერ მკვიდრდება წუთისოფელში? ეს თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო – რადგან „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა ღვას“. ასე ხდება წუთისოფლის საზღვრებში. ეთერის დაბრუნება, რომელიც მხოლოდ შენაცვლება მისი ხსნისა, არაფერს ცელის აბესალომის ტრაგიკულ ბედში. ეთერი კი არ უნდა დაბრუნებულიყო, არამედ უნდა გამოსხსნილიყო, უნდა გამოჩენილიყო გმირი, პიროვნება, რომელიც ჩაიდენდა ამ

აქტს, დაამხობდა ბოროტებას, როგორც ნათქვამია, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. მხოლოდ ეს აქტი ხსნისა, ნებელობითი აქტი, გაარღვევდა წუთისოფლის საზღვრებს და გაიყვანდა ყოფიერებას აბსოლუტურ დასასრულში. ის ესქატოლოგიური ეამის გმირი, რომლისგანაც მოელის ხსნას არა მხოლოდ წუთისოფლის გყვე ეთერი, არამედ მთელი ყოფიერება, აკლია „ეთერიანს“. ის, ვისაც უნდა ეკისრა ეს ამოცანა, სწეულია და მისი სწეულება, პირველ რიგში, ნების სწეულებაა. ხსნა არ არსებობს თავისუფალი ნების გარეშე. მართალია, გარიელი უკეთიანდილოდ ვერ მიაღწევდა საწადელს, მაგრამ აეთიანდილიც უძლური იქნებოდა უგარიელოდ, თუ რომ გარიელის ნება არ გათავისუფლებულიყო საგანის საკერელთაგან. აეთიანდილს არ შეეძლო გარიელისთვის ქებაში მიეგვარა ნესტანი, ეს არ იქნებოდა ხსნა. ნესტანის გამოხსნაში გარიელის ნება და ხელი აუცილებელი იყო. გარიელის ხსნა და ნესტანის გამოხსნა ერთდროულად უნდა მომხდარიყო. ისინი პარალელური აქტებია.

თითქოს „ეთერიანის“ დასასრული გრაფიკულია. სიყვარული ამქვეყნად მარცხდება. მაგრამ მისი მეუფება გააღწევს ამ წუთისოფლის მიღმა, სადაც ხდება გაყრილთა შვერთება. ამის ნიშანი მათ საფლავებზე ამოსული ია და ვარდია. ამოდის მათ შორის ეკალიც, ეშმაკის მოქმედების ნიშნად, მაგრამ გაივლის ვინმე გამვლელი და ამოძირკვავს უკალს. განა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეშმაკის მანქანება ჩაფუშულია? ჯადოსნურ ზღაპარში, რომელიც „ეთერიანის“ მხოლოდ ექსპოზიციას წარმოადგენს, მოქმედება იმ ზღურბლამდე მიდის, რომლის შემდეგ იწყება ახალი ერა, უბოროტო და უეშმაკო, რადგან ზღაპრის გმირმა არ დაგოვა პირობები ბოროტებისა და ეშმაკის მანქანებათა ასაღორძინებლად. გაყრილთა ბედნიერი შეხვედრა ამ წუთისოფელშივე ხდება ზღურბლთან და ისინი გადადიან ახალ ეონში.

ხოლო რაც ხდება „ეთერიანში“, ზღაპრის უარყოფაა. ასეც შეიძლება გავიზაროთ მასში გათამამებული დრამა. „ეთერიანის“ საკუთრივი ამბავი ქორწილიდან იწყება, რაც ზღაპრისთვის დასასრულია. მაგრამ რაც ზღაპრის დასასრულია, ის დრამის დასაწყისია, რომელიც მთავრდება სიკედილით ანუ წუთისოფლის წესით. ზღაპარში კი წუთისოფლის წესი გაუქმებულია. რა ხდება „ეთერიანის“ ქორწილზე, რომელიც ზღაპრის ესქატოლოგიური ქორწილის ყოფითი სახეა? მურმანის სახით ზღაპრის ცრუგმირი აღდგა თითქოს სასჯელიდან და კელაე დაისაკუთრა ნამდვილი გმირის მონაპოვარი. აქ იმარჯვებს, მაგრამ დროებით, ის, ვინც ზღაპრის ბოლოს მხილებულია, როგორც ანტიგმირი. ის ჩაფუშავს ნამდვილ

ქორწილს და ეკლის სახით ჩადგება მეფესა და რძალს შორის. ეშმაკი, კაცობრიობის მგერი, ანგრევს აშენებულს ისევ და ისევ ალა-მიანის ხელით. ის გამოჩნდება ზღაპრის ბოლოს და უკან დააგრი-ალებს ყველაფერს. კელაე წვალება, წუხილი, სინაკლელე, რაც, როგორც ვიცით, იწვევს გმირის ვასელას სახლიდან. მის გადა-კარგვას. ეთერი კელაე მოსაპოვებელია. ის კელაე ამ წუთისოფ-ლის ეშმაკულ კომპენია გამოკეტილი. ეშმაკი, რომელთანაც მკრ-მანმა ხელშეკრულება დადო. ესქატოლოგიური ქორწილის მკე-რია. ის ხელს უშლის ახალი ცისა და ახალი მიწის შექმნას, მას სურს სამარადისოდ გავრძელებს დაცემული სოფლის ჯამთა დინება. წუთისოფელში ის უდარაჯებს ყოველ მურმანს და უცდის შესაფერ-ვამს, რომ გამოიყენოს იგი თავისი მიზნის მისაღწევად. ეშმაკს სურს ადამიანის სულის ხელში ჩაგდება, მაგრამ უფრო მეტად მას სურს, რომ ჩაიფუშოს საბოლოო ქორწილი და სამუდამოდ გაყა-როს ერთმანეთს მეფე და სძალი. მაგრამ საბოლოოდ ეშმაკი უძლუ-რი გამოდგა. მან მხოლოდ მურმანის სული ჩაიგდო ხელში. ქორწი-ლი კი ვერ ჩაფუშა. ქორწილი დაუსხლგა მას ხელიდან და ამ სამე-ფოში გადაინაცვლა, სადაც ეშმაკს აღარ ძალუქს შეღწევა. იმ სამე-ფოს ნიშნები ია და ვარდია, სხუადასხვა ჯამის ყვაეცლნი. ამიერო-დან მარადისობაში განუყოფელნი (ეკალი მათ შორის ყუე-მერულია, მას აქვე ამოძირკეავს ყოველი გამელელი), და წყარო-ოქროს თასითურთ სიმბოლოდ მათი შენდობისა.

P.S. თავის დასაწყისში ნახსენები იყო პიპოთეზა „ეთერიანის“ ლიტერატურული წარმომობის შესახებ. მოყვანილი იყო არგუმენ-ტებიც ნარკევეში ვაგარებული იყო პარალელები „ვეფხისტყაო-სანთან“. ახლა შეიძლება ითქვას, რომ „ეთერიანი“, თუკი ის მართ-ლაც ლიტერატურული წარმომავლობისაა, „ვეფხისტყაოსანს“ წინ უნდა უსწრებდეს, თუმცა მის ეპოქაში უნდა იყოს შექმნილი. „ვეფ-ხისტყაოსანი“ შესახება „ეთერიანის“ რეპლიკად, იმის საჩვენებ-ლად, რომ არსებობს ხსნა, რომ არათუ ბროლის კომპი, არამედ ქა-ჯეთის ციხის ძლევეც შესაძლებელია, რადგან არსებობს ამქვეყ-ნად, ამ დაცემულ წუთისოფელში, მკობრობა, სიყვარული, ერთგუ-ლება. „ეთერიანის“ სამი პერსონაჟი და ერთი გო.ოსი „ვეფხისტყაო-სანში“ პოულობენ თავიანთ შესაგვეცისებს: აბესალომი - გარს-ელში, ეთერი - ნესტანში, მარეხი - ასმათში, ბროლის ციხე - ქა-ჯეთის ციხეში. აუთანდილის ადგილი „ეთერიანში“ ცარიელია. და ეს არის სწორედ „ეთერიანის“ გრაველის მიზეზი. „ვეფხისტყაოსანი“ აუთანდილის გამოჩენით ძლევს ამ გრაველის შესაძლებლობას.

დამონმებული ლიტერატურა

1. ბარდაველიძე ჯ., *ინდივიდუალური ხასიათის პრობლემა ფოლკლორში*, ქართული ფოლკლორი III, „მეცნიერება“, თბ., 1969.
2. *ეილეამუშიანი*, ძველი შუამდინარული ეპოსი, „ჯანათლება“, თბ., 1984.
3. *ეთერიანი, ამბავი აბესალომ და ვთერისა*. შედგენილი სახალხო ლექსები და ნათქვამებისაგან პეტრე უმიკაშვილის მიერ. დაბეჭდილი ვესთსიხ სუფლაძისაგან. ტფ., 1875.
4. *ეთერიანი*, ხალხური სიგყვიერება IV, მეორე სერია, რედაქცია, შესავალი სტატია და შენიშვნები მ. ჩიქოვანისა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბ., 1954.
5. ინგოროყვა პ., *ჩახრუხაძე პოეტი. მოგზავრი*, „კავკასიონი“ 1-2, ტფ., 1924.
6. ინგოროყვა პ., *რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა*, „რუსთაველის კრებული“, 1938.
7. კიკნაძე მ., *ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საქმო*, ქუთაისი, 1996.
8. ქერდოვანიძე თ., *ეთერიანი*, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1974.
9. ჩხვიძე რ., *მურმანის ტრაგედია, ლიტერატურულ-ფოლკლორული ცდა*, „ლომისი“, თბ., 1995.
10. Коккьяра Дж., *История фольклористики в Европе*, М., 1960.
11. Курдованидзе Т., *Указатель сюжетов грузинской народной сказки*, „Мерანი“, Тб., 2000.
12. Bausinger H., *Formen der "Volkpuesie"*, Erich Schmidt Verlag, Berlin, 1980

ტექსტები*

I ეთერი-გერი

(№ 18 კახეთი)

აბესალომ და ეთერი ღმერთმა შეაყარა ერთფერი! ერთი კაცი იყო და ამ კაცმა სხვა მიიყვანა ცოლი. იმ კაცსა ყვანდა ერთი გერი და, ვინც მიიყვანა, იმასაც ყვანდა ერთი შვილი. მემრე იმ შვილსა სწავლამა ატარებდა ის დედინაცვალი და ის ეთერი, როგორც იცი დედინაცვალს ამბები, ბარათა ყვანდა ძროხის მომელელად. რამწამ აღვებოდა. მაშინე იმ გერს ეგყოდა, რო ე ძროხა წაიყვანე. ერთ პატარა ნაგეჩ პურს მისცემდა და ეგყოდა: შენცა ჭამე, გამვლელსაც აჭამე და აქაც მოიგანეო. მაინც რას იზამდა, აღვებოდა და გამვლელსაც აჭმევდა, გამომვლელსაც და შინც მიიგანდა. მშიერი რჩებოდა. მემრე გაავლო ის ფური. ბებერმა დედაკაცმა დაინახა, ეთერს კეირიგაგი ეჭირა, მაგელს და საქმე. ბებრის სახლთან წყალი მიდიოდა. ეთერს ჩაუყარდა კურისგაგი და დაუძახა: დედი, მომანოდო. მოდი, შეილო, ძირს ჩამოსადი, მკლაეი მტკიეა და დამიზილეო. ჩაეიდა და დაეჭილა. ბებერმა ისწავლა: ეირიფერ წყალმა რომ ჩამოიაროს, არ ჩაყო თაეიო. შაეში არ ჩაყო და ოქროსფერში ჩაყო. ყველამ ჩამოიარა. ოქროსფერმა რომ ჩამოიარა,

* ყველა ეთერიანი მოყვანილია მ. ჩიქოვანის გამოცემის მიხედვით [4].

ეთერმა მაშინ ჩაყო თავი და ოქროსფერი თმა გაუკეთდა. მემრე შახი-
 ვია თმა. ფური მიაგლო და მივიდა დედინაცუალთან. როცა გამოუჩნდა
 ბეწვი ოქროს თმისა, დედინაცუალმა კითხვა: ვვა რა არიო? შეეშინდა
 და უამბო: ვვერ, ვვრე, ჩამიფარდა გარი, ბებერმა დამიძახა და იმან
 მასწავლაო. მემრე დედინაცუალი ადგა და თავისი ქალი გამოიყვანა
 სკოლიდან და ის გავზავნა ფურთან. ქალმა ძალად ჩაავლო გარი და
 დაუძახა: კე, ბებერო, მომწოდე გარიო. — ჩამოდიო, როგორც ეთერს
 უთხრა, იმასაც ვვრე უთხრა, დამზილეო. ჩავიდა და დაუზილა და იმა-
 საც უთხრა: ოქროსფერში არ ჩაყოო. შაეში არ ჩაყოო და ეირიფერში
 ჩაყოო. ეირიფერში ჩაყო და გარშემო შემეერტყო ჭუჭუები რგოლივით.
 რო მოვიდა, დედი, აი, რა მაქო! დააჭრიან და მოუეა, დააჭრიან და
 მოუეა. მემრე ისევე ეთერი გააყოლა ძროხას და ის ქალი შინა ყავს.
 მემრე კარგი დღეობა მოდის და, რაც სოფლებია, იქიდან ხალხი სულ
 მოდიან ეკლესიაში. დედინაცუალი და ის ქალი წავიდნენ და ეთერს
 უთხრა, ის ფური უნდა დაკლან, რომელსაც ეთერა დასდევდა. ეთერას
 უთხრეს: ეარელი ცრემლით უნდა აავსოო. ეთერი გირილით იკლავს
 თავს, როგორ უნდა აეავსოო. ფურმა უთხრა: მე რომ დამკლავენო,
 წაილე ჩემი კერძიო და სარდაფში ჩაასხიო. რო დაკლეს და მიაწოდეს
 კერძი, შეილო, სარდაფში ჩაასხა. ავიდა და ადგა და იმ ბებერს
 შეეკითხა: რა უნდა გავაკეთოო? აი, შეილო, რა უნდა გააკეთო. მარილ-
 იანი წყალი გააკეთე და ეარელში ჩაასხიო. ფეტვი ქონდა კიდევ
 ასაკრეფი და ასწავლა: დაუძახე, შეილო, ქათმებსა და აკრიფეო.
 დაუძახა ქათმებს და აკრიფა, სანამ დედინაცუალი ეკლესიიდან მოეა.
 ფურმა უთხრა, როცა გავიკირდეს, ახადე ორმო და ვიმეელიო. ახადა
 ორმო და ამოვიდა ოქროს ცხენი, ოქროს ქოშები და ტანისამოსი.
 ქოშები ჩაიყო, შეაჯდა ამ ცხენს და მიდის და მიდის. სანამ ის დედი-
 ნაცუალი მოეა, უნდა მოვიდეს შინ. უნდა ტანისაცემელი ჩაეწყო, რაცა
 ფურმა უთხრა. ხალხმა გზა უყვეს, როცა მიდიოდა. შეიქნა ქოთქოთობა.
 გადმოხტა ცხენიდან, დაანთო ელაპტრები ეკლესიაში. მარდად მიდის
 ცხენით, სანამ დედინაცუალი მოეა. ქოში ჩაუეარდა წყალში და მივიდა
 შინ. გაიხადა ტანისამოსი და ჩააწყო შიგ. დედინაცუალი და ის ქალიც
 მივიდნენ... ერთი ხენწიფე იყო და გაატანა ცხენები იმ წყალზედა. და
 ნაბირ-ვეზირებმა უთხრეს, წყალი არ დალიაო. ძლიერო ხელმწიფეო,
 იმ წყალში რაღაც ვღია ყვითლადა და იმითვის არა სვამენო. მემრე
 ადგა, წამოიდა ხემწიფე, მივიდა და ამოილო ქოში. ხემწიფე საქორ-
 წილო იყო რა... იმანა თქვა: ვისაც ეს გამოადგება, ის უნდა შავირთოო.
 ჩამოიარა სოფლებში, შეილო, და მივიდა იმ დედინაცუალთან. დედი-
 ნაცუალმა ეთერი ვოლორში ჩასვა და თავისი ქალი იქ დაიმყოფა, რომ
 მისცეს ხემწიფეს. შინჯავენ და ის ქოში ზოგს დიდი ადგება, ზოგს —
 პატარა. დედინაცუალმა თავის ქალს ფეხი წაათალა, ქოში დიდი უნდა,
 აღარ ადგება, აღარ ადგება. ხემწიფე დაჯდა ვოლორზე და ეთერამ
 დაბლიდან ნემსი ამოყო და უჩხელიტა. ხემწიფე წამოხტა: ეს რა ამ-

ბაეიანო. ქალი კი ამოიყვანეს და ქოშიც გამოაღვა. მე ეგ უნდა შევი-
რთო, თქვა ხემწიფემ და დანიშნა და წაიყვანა. ძალიან დიდი ქორწილი
ქონდა. როცა მეფე-დელოფალმა დაიძინა, ერთი მურმანი შაეჩვია.
კარგი იყო ის ქალი. ობლად იყო გაზღილი, მარა კარგი იყო. მურმანმა
ემშაკს უთხრა: ნეტავი ეს ქალი ჩემი გახდესო. ემშაკმა უთხრა: რას
მომცემო? შენი სული მამეო. რასაც ღამესაო ერთად დაიძინებენ, იქო
ბუხარი არი და ერთი ჯამი შეგეი დაღვიო ბუხარზე და კენრად გა-
დაიქცევა. დელოფალი როცა აღვება, თავს შეახლისო... ვგრე იქცა კენ-
რად და ეერ მაამორეს. მერე ხემწიფემ დაიძახა: ქალი ვის უნდა ეთერი,
ქალი ამპარგაენიანო. — მე მინდაო, მეო, — დაიძახა მურმანმა. წაი-
ყვანეს მემრე. ერთს სადმე ციხეში შაიყვანა, რო ცას წვერი უბჯენია, და
იქ არი. ცხრა რძალი ყავ და ერთი მული. ისინი ყავ პირისფარემად.
მემრე იმისმა ქმარ, აბესალომმა უთხრა, რომ ეთერიო, რა მიყოო.
მურმანმა უთხრა აბესალომს: ეთერი ციხეში არისო, ცას წვერი მიუბ-
ჯენიანო და ერთი მული ყავს პირისფარემიო. ხემწიფის შეილი გახდა
ვეთი ავად, რომ მეტი არ იყოს, ჯაერიდანა. მემრე თავის დას უთხრა:
წადი და უთხარი ეთერისაო: წამოეელი აპრილ-მაისსაო, ეთერო, ადუ-
ქი და წამოდი, იქნება მამირჩეს მმა ისაო. ადგა და მემრე ამოიღო თა-
ვის ზითეი, დანა. აბესალომს ენა აღარ ქონდა და ცოცხალი აღარ იყო.

ჩემო მზითვის დანაო,
ჯიბეში ზიხარ განაო,
ამოვიღებ და დავისვამ
მარჯენა ძუქუსთანაო.

ამოიღო და დაიკრა გულში. ისინი, ცოლ-ქმარი, დაიხოცნენ და
ორივე დაასაფლავეს. თავით ეარდი ამოვიდა და ბოლოში წყარო. ვინც
მივიდოდა, მესანდობარს სევამდა. მერე მურმანმა ძალად მოიკლა
თავი. იმას თავში ძეძუები მოუვიდა.

2. ეთერი-ობოლი (უდედმამო, უდედინაცვლო)

(№9, ქართლი)

იყო და არა იყო რა, იყვნენ ღარიბი ცოლ-ქმარი. მათ ჰყავდათ
მზეთუნახავი ქალი. ამ ქალს ეთერს ეძახდნენ. ეთერს მშობლები ადრე
დაეხოცა, დარჩა ობლად. ეთერმა იფიქრა, მე რომ არ დაეცხმარო, ვაი
თუ ჩემი მშობლების სული ჯოჯოხეთში მოხედესო. ადგა და ღმერთს
მეუთქვა. და ჯდა ქალი მარაგზაზე და გამვლელ-გამომვლელს თავს
უხილაეს. სწორედ ამ გზაზე, სადაც ეთერი იჯდა ხის ძირასა, ერთი
ხელმწიფის შეილი დადიოდა ხშირათ სანადიროთა. ამ ხელმწიფის
შეილს ერქო აბესალომი. ეთერმა აბესალომსაც უთხრა: ხელმწიფის
შეილი კი ხარ, მაგრამ, რაკი ღმერთის ფიცი მიმიცია, შენც უნდა გავი-
ხილო თავიო. ადგა აბესალომი და კალთაში თავი ჩაუდო. ორივეს დაუ-
ძინათ. მანამ ისინი გაიღვიძებდნენ, ქრისტე ღმერთმა ორთავეს გვირ-

გვინები დაადგა თაეზე. როცა გაელეცდათ, ნახეს, რო თაეზე გვირგვინები ადგიათ. აბესალომს მოეწონა ეთერი და უთხრა, ცოლად წამოშყეო.

წამოშყე, ეთერო, სახლში,
ძირს ნუ უზისარ სესაო,
ადეჟი, სახლში გამოშყე,
აქნუ იღერებ ეელსაო.

ეთერმა არ დაუჯერა სემწიფის შეილსა და უთხრა, შენი ცოლი ვერ გავხდებიო.

შენ დიდი ხარ, მდიდრის შეილი,
დელ-მამითა ხარ ქებული,
მე ღარიბი გლეხის შეილი,
ობლობით ვარ დაჩაგრული.
შენ წადი, ღმერთი გიშველის,
დამტოვე წყალწალებული.

მაგრამ აბესალომი არ მოეშვა. აბესალომს ძაან შეუყვარდა ეთერი. აბესალომი ეთერსა ქვეშ ჰქალას ეფიცებოდა, თუ გილაღატო:

ომში სმალი მოვიქნო,
ზედ შუაზე გამიწყედესა,
ომში წყალი მოვიკითხო,
წყარო იყოს, დამიმრესა,
ომში პური მოვიკითხო,
ისი იქვე გამიწყედესა.

ბოლოს ეთერმაც დაიჯერა აბესალომის ფიცი და წამოიყვია ცოლად. აბესალომმა ეთერს შეეგარიანი დანა აჩუქა (მამინ ესეთი წესი იყო).

აბესალომს ყაედა ერთი ეეზირი – მურმანი. ამასაც გასწყრომია ღმერთი და ეთერი შეჰყვარებია. ეხლა მურმანს უნდა, ისეთი წამალი იზოვნოს, რომ აბესალომმა ეთერი შეიძულოს და მას დარჩეს. ეშმაკს ეშმაკი გამოუჩნდა დამხმარედ და ასწაელა მურმანსა: ჯამით ფეგვი დადვი კარების ზემოთ. აბესალომი და ეთერი რომ შემოვლენ, აბესალომი თაეს შეჰკრავს და ფეგვი ეთერს დაეყრებაო. გაივსება ეთერი კბუნარით, ვერ გააყლიან და ეთერი შენ დაგრჩებაო. მართლაც, ესე მოხდა. აბესალომი იძულებული გახდა, ეთერი გამოეყვანა და ხალხში დაიძახა:

ვის გინდათ ქალი ეთერი,
მე სანადიროთ მიეალო.

რაკი არაეის უნდოდა, გამოვიდა მურმანი, დაუჩოქა და შელაღადა:

უბოძე მენსა მურმანსა,
შენი ერთგული ყმა ვარო.

მოკიდა თუ არა ხელი მურმანმა ეთერს, მამინევე გასციქვია კბენარი. აბესალომი ჯაერით ავაღ ვახდა. აღარც ჰქამა აგონდებოდა და აღარც – სმა. აბა, ხელმწიფის შეილი იყო, კი არაფერს არ აკლებდნენ!

მაგრამ... მოუნდა ეთერის ნახვა. წაეიდა და მურმანს შეეკითხა, ეთერი როგორ არიო.

მურმან, მურმან, შენსა მგესა,
ეთერი როგორ რამეა?

მურმანმა უპასუხა:

რას კითხულობ, ცათასწორო,	ბალი აუშენებია.
ცოლის ქება რა რიგია?	თავს ადგანან სამი მული,
შენ გინახაეს ბროლის ციხე,	ია-ვარდის კონანია,
როგორ ცამდი მაღალია,	სამი მამლი გვერდით უზის,
მიგ მიზის ქალი ეთერი,	დაღესილი ფრანგულია,
ყელი მოუღერებია.	მამამთილი ეზომი წვეს,
ყელ-ყური მძივით საესე აქეს,	მთელ სმელეთის პატრონია,
მკერდი ჩამოუთოვია,	რომ მისვიდე, არ მივიღებს,
მკერდის ჩამოთონისთვისა,	ქალი ამპარტაენია.

აბესალომს ერჩია, ეს სიტყვები სულაც არ გავგო. ის მაშინვე ძალიან ავად გახდა. უფრო შეწუხდა. თავისი და მარეხი გაგზავნა ეთერთან.

ადე, მარესო, ვარსკელაუო,
ეთერსა კარი უარე,
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
დაჯექ და მართლა უამბე.
თუ არა გკითხოს ამბავი,
გამობრუნდი და იარე.

მარეხი წაეიდა და მიეიდა კომკში. ეთერს შესჩივლა:

სამი თვე არის, მივლია:
მარგი, აპრილი, მაისი.
ფეხში მეველს გადმომივლია
მე საბრალოს სამთა ისი.
ადე, ეთერო, წამომყე,
შენ მომირჩინე ძმა ისი.

ეთერმა არ დაუჯერა და უთხრა:

ნუ სტყუი, ქალო, ნუ სტყუი,
ნულარ თეალთმაქცობ ენითა,
ღეთისგან დადგმული გვირგვინი
ძალით გადიგლო სელითა.
შენმა მგემა, მისმა მგემა,
ვისი ფიციე მიმიცია,
ჩემთვის მძივი, სამკაული,
მალიფაში ჩამიწყევია.

მარეხი ცდილობს დაარწმუნოს ეთერი, რომ მურმანი ლამქრობიდან აღარ დაბრუნდება (მურმანი ამ დროს სალაქქროდ არის წასული):

მურმან ლამქართ არს წასული,
იქიდან არ დაბრუნდება.
შენ ადექი, წამომყევი,
ჩემი ძმა კარგად გახდება.

ეთერო, ავიგებ ჩარდახსა
მარმარილოსა ქეისასა,

ისე შავიყვან შინამდი,
ფეხი არ სწიო ქეიმასა.

ეთერი წამოჰყვა მარეხს. აბესალომმა იცნო ეთერის ფეხის ხმა და ბრძანა:

– ეთერსა აქ მოსელისათვის
ცხენი უბოძეთ ჩაღარი.^{*}
– ეთერსა ცხენი არ უნდა,
მიეცით ქამარ-ხანჯალიო.

უპასუხა ეთერმა. მაგრამ აბესალომმა ეთერის ეს ნათქვამი ველარ გაიგონა. ის მოკედა. ეთერმა ამოიღო ის დანა, აბესალომმა რომ აჩუქა, და თქვა:

აბესალომის დანაო,
ჯიბეს მიღუეხარ თანაო,
ამოვიღებ და დავიცემ
მარჯვენა ძუძუსთანაო.
ერთადამც დავიხოცებით,
ერთადამც დავემარხიანო.
გზის ძირსაყ დაგეაღირებენ,
გზის თავსაყ დაგემარხიანო.
წყარონი გადმოსკლებიან,

შიგ ვერცხლის თასი დიანო.
ამდინარ-ჩამომდინარი
სმიან და გელოცაუდიანო:
ეს რა კარგნი დასოცილან,
ესევეუ აღგებიანო!
ჩვენზეუა მოვლენ იანი,
დილის ნიაეი შლიანო,
მურმანზეუ მოვლენ ეკლები,
ვირნი საკორგნად დიანო.

მაგრამ ეს სიგყეები ეშმაკს გაუგია და უთქვამს:

აღვომა წესი არ არის,
სულითაყ ცხონდებიანო.

მართლაც, ეთერი და აბესალომი ერთად დამარხეს. ლაშქრიდან რომ მოვიდა მურმანი და ეს ამბაეი გაიგო, გაითხარა ეთერისა და აბესალომს შუა საფლაეი და დაიმარხა. აბესალომის საფლაეზე მართლაც ია და ვარდი ამოვიდა, მურმანზე კი დილა-საღამოს ლეკეები ამოძერე-ბიან და ყმუიან ხოლმე.

2-ა. ეთერი-ოზბოლი (უდედმამო, უდედინაცვლო)

(№ 28, ფმაეი)

იყო ერთი ხელმწიფიშვილი და იმას ერქო ელუსამელი, და იმასა ჰყვანდა ერთი ყმა გვერდით, ეშმაკებთან გაფიეული. სახელი იმისა იყო შერელომა. ის ბაგონი ელუსამელი იყო, დიდი ხანი უეოლოდ და-დიოდა, უნდა ეოლად შაირთოს ის გლეხის ქალი, რომელიე იმას თეაღმი მოუეა. მისდიოდა ხმა, რომ ერთ ადგილას ერთი ქალი გლეხისა მეწისქეილეებთან მესაფუქეავედ იღეა, სახელად ეთერი. მიეიდა ის

* ასეა წიგნში. უნდა იყოს „საღარი“.

ელუსამელი და დაინახა ქალი, ერთი სიგყეთ, მზეს უდრის, და კითხა ერთს კაცს, ქმრიანი ხომ არ არისო, და იმანაც უთხრა, არაო. წავიდა და დედას უთხრა ელუსამელმა:

ბაღდადს რომ უფლის ყანა დვას,
ბრინჯაოს ადგა ნათელი.
ქარის წისქვილებ უბრუნავს,
მესაფქვავეთ ჰყავ ეთერი.
ის მომეწონა, დედაეო,
ის არის ჩემი საფერი.

რა იმისმა დედამ ეთერის ქება გაიგონა შეილისაგანა, გაგზავნა შეილი და უთხრა: წადი, შეილო, და მოიყვანეო. წამოვიდა ელუსამელი და უთხრა ეთერსა:

გაღამაყოლე, ეთერო,
ვგ შენი კაბის სასელი.

ეთერი:

ღამესსენ, ელუსამელო,
არა ეარ შენი საფერი.
შენ დიდი ხარ, დიდებული,
დედ-მამითაც ქებული.
ელუსამელი:

მე გლეხი ვარ, გლეხის ქალი,
გლეხურად თავდადებული.
შენ რო შენი კქნა, წახვიდე,
გამწირო წყალწალებული!

ეთერ, შენს მოღალატესა
ზეით ღმერთიმც გაუწყრება,
მტრისად მოქნეული სმალი
ვაღამიამც გაუკყდება.

იაღბუმის მინდორზედა
ქარიშხალიმც აუკყდება.
ძალიან მოწყურებულსა
წყაროს წყალიმც დაუმრება!

ეთერი:

ამ პურმა და ამ მარილმა,
ამ ღვინომა ეაზისამა,
სახნისმა და საკეუთელმა,
გაწეულმა ხარისამა,
შენს მეტი ბიჭი არ მინდა...
ფიცმა რა ქნას ქალისამა.

აღვა და გაჰყვა ეთერი ელუსამელსა. რა ნახა შერელომამა, რო იმის ბატონს იმისთანა ქალი მოუყვანა, შეშურდა და დაიბარა თავისთან ეშმაკები. მოუვიდნენ შერელომას ეშმაკები და უთხრეს: ძმო-ბილო, რა გინდაო? აბა, ჩემმა ბატონმა ეთერი მოიყვანა და ამისთანა სიკეთე მიყავით, რომ მაგას აამოროთ და მე დამჩესო. აიღეს ერთი მუჭა ფეტვი, მეულოცეს და მისცეს შერელომას და უთხრეს, რომ როცა ჯარზედ დასხდებიანო, მაშინ მიყარე და სულ მკებნარათ აჩნდება და დაიწუნებსო. შერელომამაც ისე მოიხმარა ის ფეტვი და გადააჩნდა სულ ის ფეტვი გილადა. ბერი ეყადნენ, მაგრამ ეერაფერი უმეუღეს. ადვა და ამოთქვა გირილითა ელუსამელმა:

ქალი ვის ვინდათ, ეთერი,
მე სელს ავიღებ, წაველო.

მერელომა:

მე მინდა, მერელომასა,
შენი ერთგული ყმა ვარო.

მისცა ხელში და წაიყვანა მერელიომამა თავის სახლშია გაკიდა რამდენმე ხანი, შეიყარნეს ერთადა სანადირო ტყეში, ჩამოუქვარდათ ლაპარაკი და უიხრა ელუსამელმა მერელიომასა:

მერელომა, შენსა მჩესა,
შენი ცოლი რა შევრია?

მერელომა:

რასი კითხაე, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუვია.
სო შენცი იცი ბროლის ციხე,
როგორ ცამდი მაღალია.
მივა მის ქალი ეთერი,
ყელი მოუღერებია.
ცხერი - სტერი, კილი - მძივი,
ბაგე სახეის ფურცელია.
კარგელ უღვან ცხრანი მამლნი,
ფხაასსმულნი აფთარნია.

თავით უზის მამამთილი,
გველვემასის მელაპავია.
ფესთით უზის დელამთილი,
აბრეშუმის საცურია.
გვერდით უზის თავის მული,
ცით ჩამოსულ ვარსკელავია.
ყელ-ყური მძივით სავეს აქეს,
მიგ ურვევია გიმერი.
არ შეედე და არ წახვიდე,
თორემ ვეღარას გიმეული!

წამოვიდა გამწარებული შინა და სურვილისაგან ძალიან წუხით შეიქმნა. დედამ ბებერი უარა, ბებერი აწამლა და ვერ გაუგო სატკიურის თავი და თითონ-კი მაღაედა, რითაც აეად იყო. უნდოდა, რომ მომკვლარიყო, რაკი იმისი სასურველი სხეისა ცოლი იქნებოდა შეელომითა და თანეც იმოდენა ფიცს გადაევიდა. წაევიდა ბოლოს იმისი დედა ერთ ნაქებ მკითხავთან და აკითხვინა. იმ მკითხავმა უიხრა, რომ როცა მიხვალს, ერთი ხორცის ქადა გამოუცხვეო და, მიუგან თუ არაო, მამსივე კარებს უკან დაიმალეო და ყური დაუგდეთ. მივიდა ბებერი, გამოუცხო ქადა და მოუგანა. თითონ კარებს უკან დაიმალა. როცა შემოსქრა ქადასა, სიქვა:

ლამაზი ხარ, ქადაო,
წვენ ვიდგა წურვილივითა,
მაგსერიგო, გულზედ მეწები,
ეთერის სურვილივითა.

დედა:

მვილო, ვისი გკლავს სურვილი,
ძილს არ გაძინებს მძინარსა.
წაველ და იმას გიპოენი,
წყალს ჩაუღვები მდინარსა

ელუსამელი:

აღგ, უმგარო, დედაო,
ეთერსა კარად უარე,

ჯერ-კი აგირდი ბრალადა,
მერმე თაე შეამპუარე.

წაიდა ბებერი, მივიდა და მიიჭრა ეთერთანა, აგირდა და უთხრა:

გამაბე, ქალო ეთერო, მზესა იმ შენის ძმისასა!	საჩრდილობელსა მზისასა, გაგიფენ საღიჩეებსა
კარმელ აგიგებ ჩარდასსა, სულ ბროლ-მარილის ქვისასა.	სულ ფერად-ფერადისებსა. ზედ შენ გაგაველე, ეთერო, ფესი არ დაკრა ქეიშასა.

მაინცადამაინც ეთერმა ეერ გაბელა წასელა და ახლა ბოლოს მკული მოუვიდა და უთხრა:

ეთერ, არ გებრალეზია,
რძალს გეუბნები ღობასა,
ერთი ძმა შეყანდა, მიკელება,
ყელში გავიღებ დანასა,
შენ შემოგაყრი ცოლვასა.

ეთერი:

რას ამბობ, მუქურ-ვარსკელაეო,
რას ფილოფოზობ ენითა?
ვანა შენ თვითონ არ იცი,
რალა გინდარის ჩემი თქმა:
ლეთისაგან დაღმულ გვირგვინი
გადიგლო თავის ხელითა.

გაისტუმრა ის მულიცა, მაგრამ თითონაც ძალიან ეწადა წასელა, რომ ცოცხალ ენახა, მაგრამ შერელომა ამინებდა. ამ დროს დაინახეს ინდუეთისაქნ ლამქარი. ის შერელომა ასისთავი იყო და იქ წასელა უნდოდა. მივიდა ეთერთანა და უთხრა:

შემისვიე, ქალო ეთერ, ძუძუ-მკერდსა ბროლისასა, სეაღე ლამქარს უნდა გაეყევე დიდის ინდუეთისასა. გადადიან გალაენასა ორლობეთა ფინისათა,	გადადიან, გადაჰკრიან ნამკერეებსა ლოდისებსა. ვინც იქ წაეა, ევლარც მოეა, ეაი დედას ბიჭისასა! ჩავეისოყენ ემაწვილებსა, უჩეველებსა ომისებსა.
---	--

ეთერი:

სამი წელია, შერელომ,
არ ვიცი თავის დალება,
მოსუალ და მაშინ შევისხევე,
მინდა აუ-კარგის გაგება.

შერელომა:

შენი ბრალია, ეთერო,
მზის ქონით გრილში ბერება.
შენ ამიკრძალე ის წესი,
რაც ცოლ-ქმართ შეეფერება.

ეთერი:

მაპაგიეე, შერელომო,
ჯერ სხვას მიეეც დიდი ალექმა.
გვილაღატე წამლებითა,
ღმერთმა გთხოვოს ჩემი წართმა.
წუთისოფელ დამიმწარე,
საბნელოში ვზივარ რათა?

შერელომა ლაშქარში წაეიდა თუ არა, ადგა ეთერი და წაეიდა ბატონიშვილთან და ბანზედ შეხდა. ჩაუგზავნა კაცი წინანდელს ნაქმრეეს და გამათხოვა კარზედ. მაგრამ საიღამ უნდა გამოვიდეს? მთავარი სული იმ დროს დალია. მაიხედა კიდე ელუსამელმა და სთქვა:

ვინ თქვა, თუ ეთერ მოვიდა,
მზე გორთა დილა მათალი,
ეთერსა აქ მოსელისადა
ცხენი უბოძეთ საღარი,
თან კეიცი გამოუყვანეთ
ძუნალები, მაღალი.

ეთერი:

ეთერსა ცხენი არ უნდა,
დანა მიეცით ჯაგარი.
შენ ადექ, კარზედ გამოდი,
რო სარ სულამომათალი.

ელუსამელი:

თუ მოხვალ, მინაც შემოდი,
მოკლე გაქვს შემოსათალი.
მე კარზედ ექვარ გამოვალ,
სული წაეიდა მთავარი.
მილაღატე, ქალო ეთერ,
ჭირ ჩემ თავს მიეეც მრავალი.
რო მკლავდა შენი სურვილი,
ვინ იყო ჩემი წამალი:
ეთერო, დანა დაიეც,
ჩემთან შენც დასთმე თავია,
ცოცხალსა შერელომასა
მე აქ გერჩიო მკედარია.
ცალ-ცალკემც დაგვაღირებენ,

ერთადამც დაგემარსეიანო,
ფოთოლთამც მოგვაღირებენ,
მიწათამც მოგვაყრიანო.
საფლავებელ ჩვენზე იანი
ფოთოლსამც გადაშლიანო.
შერელომაის საფლავებელ
ეკალიმც იქნებიანო,
ნარიმც ამოვა, ეკალი,
ვირებიმც მოსძოვიანო.
ჩვენ თავით ცივი წყარუა,
მივ ვერცხლის თასნი დგვიანო,
მამაველ-გამაველ მგზავრნი
შენდობას გვეგყოდიანო.

დაუთავებია თუ არა ეს ლექსი, მაშინვე სული დაუღვეია ბატონიმვილს და ეთერსაც დანა დაუცია გულზედა და თავი მოუკლია. დაუმარხიან ერთადა. ამ დროს ორ ეშმაკს უთქომს:

რა მშვენიერები სვენიან,
ისეემაყ აღდგებიანო!
აღდგომა წესიმც ნუ არის,
სულითამც ცხონდებიანო.

3. ეთერი — არნივის გაზრდილი

(№ 13, კახეთი)

იყო და არა იყო რა, ღეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო მაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი!

იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი. უშვილოდ გადაგებას აპირებდნენ, რომ ცოლს არ აენიქა ქმარისათვის: წადი მკითხაეთან, აკითხეინე, გაიგე, რა მიზეზით არ გეყავს შვილი, იქნება წამალი იცოდეს რამე, იქნება გეასწავლოს და გვეშველოსო. წაიდა კაცი მკითხაეთან და აკითხეინა. მკითხაემა სამი ვაშლი მიჰკა და თანაც დაარიგა: წაილე ეს ვაშლები. როდესაც მოკმეიდე, ეგ ორი ვაშლი მიეც შენ ცოლს, შეჭამოს. ერთიე რო მოკწყურდეს, მამინ შეჭამოსო და შვილი გეყოლებათო. გზაზედ კაცს მოკმეიდა, ელარ გაქძლო და შეჭამა ორი ვაშლი. მოკწყურდა წყალი და შეჭამა მესამეცა. ვაშლები შეჭამა თუ არა, კაცს კანკში ქალი ჩაესახა. მოიკრა კანკი კაცმა და გადაადგო გზაზედ. გაიგო სუნზედ ორბმა, მოფრინდა, დაკყოყინა კანკს. ჩაქიდა ფრჩხილები და წაილო თაეის ბუდეში, ერთი მაღალი ხის კენწეროზედ. გაჩნდა ქალი, უელის ორბი, უზიდაეს საკმელს. წაილოდა ორბი, დაიელიდა მთელ ქვეყანას, მოკძებნიდა, იპოვიდა, სადაც კარგი საკმელი იქნებოდა და მოუტანდა ქალსა. ქალი ღლით იზრდებოდა. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, რომ იმაზედ მშეენიერი ამომავალი მზეუ აღარ იქნებოდა. იმ ადგილში ერთი ხემწიფის შვილი იყო, სახელათ აბესალომი. იმ ადგილებში, სადაც ხე იდგა, სანადიროდ იარებოდა. შენიშნა ხეზედ ქალი და ჩაუეარდა იმისი სიყვარული გულში. მიდიოდა ყოველდე ხესთან და ესიყვარულებოდა შორით. აბესალომს ერთი ყმა ჰყევანდა, სახელათ მურმანი. ერთხელ აბესალომმა ყელმოღერებული ეთერი რო დაინახა, ელარ გაქძლო და დაუძახა ეთერს:

ჩამოდი, ეთერო, ძირსა,
მანდ რას უზისარ ხესაო,
ჩამოდი, ცოლად გამომყე,
მანდ ნუ იღერებ ყელსაო!

არაო, უპასუხა ეთერმა, მე შენ ცოლად რას გამოგადგებო:

მდიდარი ხარ, მდიდრის შვილი, დედ-მამითა ხარ ქებული.	ორბის კლანკით აღებული, ხის კენწეროს გარდილიო.
მე ობოლი, ობლის შვილი, კაცის კანკში ჩასახული.	შენ შენი ქენა და წახეიდე, გამიშეა წყალწაღებული.
შარის პირსა ნაგდებო,	

აბესალომმა ღეთის ფიცი მიჰკა, არ გიღალატებო:

მეეილამ ღმერთი ცეცხლსა ჰყრის, ქვემ აბესალომ უღებავ:	ომში სმალამოღებულსა აბეარეიე ჩამამიწყებავ,
ეთერო, შენსა ამ ღალატს ღეთის მეტი ვინ შეუღებავ,	წყალი უწყლოსა აღატავ, მღეა იყოს, ამამიშრებავ,

შეიღის წლის გზასა მავალსა
საეკალი წამომიწყდება,

მუსლებზე ნადები თოფი
უბემიმე დამიბრუნდება.

დაიჯერა ეთერმაც აბესალომის ფიცი, დაქთანსმლა ცოლიობაზედ. აბესალომმა ნიშნად ფიცს ერთი შეგვარიანი დანა მიაყილა, შესივა ცხენზედ და წაიყვანა სახლში. მურმანი წინ გაგზავნა თაყის და, მარჯებთან, და შეუთვალა: ცოლი მომყავს, ოქროს თაყმოსნიანს ვიყვარ. და საქორწილოდ განისამოსი მოგვიმზადეო. მიიყვანეს ვიერი შინა, ჩააყვეს განისამოსი, დასწერა აბესალომმა წიგნები და კომლზე კაცი დაიბარა თაყის სახელმწიფოდამ. გაგზავნა მურმანი გზაზედ, შექყრია ეთერის სურვილი და კელავს იმის სურვილი. ვინ არის კაცი ისეთი, რომ იბოდნა შექპლოს, ეთერი აბესალომს შეაქულოს და მე ჩამივლოს ხელშიო? აჟიქრობს თაყისთვის მურმანი. შამოხედება წინ ემშაკი მურმანს და კითხავს: სად მიდიხარ, ან მანგრე რას დაუღონებხარო? მურმანმა თაყის ამბავი უამბო. ემშაკმა უთხრა: შორს რად იელი, წამალს მე გასწავლიო, ისეთ წამალსო, რომ აბესალომმა ვიერი თაყის ხელით მენ მოგვესო. წამალს გასწაველი, თუ მენ სულს მამეკეო. ოღონდ ეთერი ჩემი გახდეს და სულს როგორ დავზოგავო, უთხრა მურმანმა. მამ ქალადლი დამიწერეო, უქასუხა ემშაკმა, რომ მენს პირს არ გადახეულ და მერე გასწაველი წამალსაო. დაუწერა მურმანმა ქალადლი და მიქა ემშაკს. ემშაკმა უთხრა: ჯეარს რო დიწერენ ვიერი და აბესალომი, ეთერს ჩემად ერთი მუქა ფეგვი ხელ-უკელმა შეაყარე, ეთერს მქებნარი შეხევეა და, რამდენიც უნდა აყალონ, ექლარ მოაყლიანო, სანამ მენი ხელი არ მოქხედებო. წავიდა გახარებულს ემშაკი თაყის ბუნაგში და სულგაყიდული მურმანი სახლში დაბრუნდა. ჯეარს რო დიწერენ ეთერმა და აბესალომმა და გამოდიოდნენ ეკლესიადამ. მურმანმა ქალს ერთი მუქა ფეგვი შეაყარა, შეხეხა მქებნარი ვიერს. აყლიან, მაგრამ უფრო მეტი ხევეა. შექწუდა აბესალომი, გამოიყვანა ეთერი ხალხში და საჯაროდ დაიძახა:

ორშაბათს შეყრილ მიჯნურნი
სამშაბათს ვაეიყარენით,
ვისაყ რო შეყარ გეწყინა,
ვაეყრილეთ, ვაისარენით!
ვის ვინდათ ქალი ვიერი,
მე ნადირობას მივალო?

აუსრულდა მურმანს გულისწადილი, გახარებულმა ჩოქით სალაში მიქა აბესალომს და შექალადა:

უბოძე მენსა მურმანსა,
მენი ერთგული ყმა ვარო.

აილო აბესალომმა ეთერი და მიქა მურმანს. რაკი მურმანმა ხელი მოშვიდა, ეთერს მქებნარი მოქმორდა იმწამსვე, წაიყვანა და დაისევა ცოლად. ეთერის სურვილი ცეცხლად მოედო აბესალომს, შექხდა მურმანს, ექლარ მოითმინა და ეთერის ამბავი კითხვა:

მურმან, მურმან შენსა მსხესა,
ეთერი როგორ რამება?

მურმანმა უპასუხა:

რას ჰკითხულობ, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუკია.
შენს ცინახამს ბროლის ცისე,
როგორ ცამდის მაღალია,
მიგა მის ქალი ეთერი,
ყელი მოუღერები.
წელი - წერილი, ბეჭი - ფართე,
თეძოს თაეი დაბალია,
მუბლი - წერილი, წარბი - ბრტყელი,
საფეთქელი მწყაზარია,

ცხერი - სგერი, კბილი - მძივი,
ბავე ხახვის ფურცელია.
ცხრანი მულნი გვერდს უსხედან,
ყველა პირის ფარეშია,
დედამთილი უკან უზის,
ვიშრის დაღალის მწენელია,
ცხრა მამლი კარებს ადგანან,
დაღესილი აღმასია,
მამამთილი ერდომე წევს,
გველემამის მელაპაეია.

ამის გამგონე აბესალოში ეთერის სიყვარულით უფრო შეიწუხდა და აეად ვახდა. მოინდომა მურმანის დამორება და ეთერის ისევე სელმის ჩავდება, დაიბარა მურმანი და უბძანა: წადი, უკედევების წყალი მოიხატანე, ვეები კარვად გაეხდო. მურმანი გულში შეფიქრიანდა, ჩემი თან ფარსავი არ არისო? გამოჰიხოეა ცხრა ღლის ეადა აბესალოში და წაეიდა ეთერთან გამოსათხოვებლად. ეთერს უთხრა:

ამაღამ კი ჩამიგოლე,
ქალო, მკერდსა ბროლისასა.
ქალო, აღგეთში მგზავნიან,
პირსა აღგეთის მთისასა,
სურვილისა ქეას ისერიან,
მონატგისსი ლოდისასა,

ვიამე, თაეს გავეიგენს,
უჩარელსა ლომისასა.
ნუ შეისევე აესა კაცსა,
ნურცა ავის გვარისასა,
წაეა, სწორში დაიკეხებს,
ხევენას ვიეაე მთეარისასა.

ეთერმა უპასუხა:

გაეისდი გამზა-აგლასსა,
ჩაეიცეამ ბამზა-ბუმზასა,
აეიღებ კოკა-კუტალსა,
წყალს შემოვიგან მდინარსა,

არც შეეალ შენის ძმისასა,
არც შენის მემობლისასა.
თუ შეეალ, ასრე გამოეალ,
როგორც და თაეის ძმისასა.

ის ღამე მურმანმა ეთერთან გაატარა.

ამაღამდელი დამეო.
ნუმც გათენდები მალეო,
ვეხევეი ბროლისა მკერდსა,
ვეღარ ვიშოვი სეაღეო!

მეორე ღღეს ღედას და დას ძალიან შეხევეწნა მურმანი: გაუფრთხილდით ეთერს, ნიავსა და მზის სხივსაც ნუ მიუშვებთ იმასთანაო.

აბესალოში საშინლად აეად ვახდა, კედებოდა, იმისი წაშალი აღარსად იყო. გამოეა აბესალომის და მარეხი, წაეა სოფელში და ჩაეის: მისა მიეკედება, მიშეველეთ რამე, უწამლეთ ჩემ იმასაო. იქნება ეთერის სურვილი ჰკლავდესო, უთხრეს მარეხს. შეიტანე, დაუწეე ტახტზე გრუდის

ფთა, გამტკიცული პური, წითელი ღვინო და ყორნის ფთაო. შეიგანა მარეხმა და ყველა ეს დააწყო ტახტზე. მობრუნდა აბესალომი, აილო ტრედის ფთა ხელში და უთხრა: ტრედის ფთაე, თეთრი ხარ, მაგრამ ეთერისთანა კი ვერა ხარო! აილო ახლა გამტკიცული პური და უთხრა: პურო, გამტკიცული ხარ, მაგრამ ეთერის სახისთანა კი ვერა ხარო! აილო წითელი ღვინო და უთხრა: წითელო ღვინოე, წითელი ხარ, მაგრამ ეთერის ლოყებივით კი ვერაო! ბოლოს ყორნის ბოლოე აილო და სთქვა: შაეი ხარ, შაეი, ყორნის ბოლოე, მაგრამ ეთერის თვალ-წარბისთანა კი - ვერაო. მარეხს უთხრა:

აღე, მარეხო, მასკელო,
ეთერსა კარსა უარე.
თუ გკითხოს ჩემი ამბაეი,
დაჯექ და წერილად უამბე!

